რედაქტორისგან

მასწავლებლებმა დიდი ხანია ვიცით, რომ თანამედროვე ცხოვრების წესმა და ყოფითმა მოთხოვნილებებმა ახალი პროფესიების გაჩენის აუცილებლობა წარმოშვა. როგორც ირკვევა, გაჩნდა ახალი მეცნიერებები და საგანმანათლებლო დისციპლინებიც, რომელთა ცოდნის გარეშე დღეს არსებულ ინფორმაციულ ოკეანეში არათუ გზის გაკვლევა, საკუთარი ადგილის პოვნაც კი ძნელია. ერთ-ერთი ასეთი დისციპლინაა მედიაწიგნიერება ანუ ინფორმაციული განათლებაა.

ზღვა ინფორმაციის არსებობისას ყოველთვის ჩნდება მისი გაფილტვრის, უფრო პირდაპირები რომ ვიყოთ, ცენზურის ფაქტორი, თუმცა ეს პროცესი თანამედროვე მსოფლიოში გაცილებით დემოკრატიულია. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ზოგ ქვეყანაში პროპაგანდის სამინისტროები და ამ ტიპის სამსახურები საზოგადოების ტვინის გამორეცხვისა და ცარიელ ადგილას მთავრობისთვის ხელსაყრელი ინფორმაციის განთავსების პროცესს წარმართავდნენ. დღეს ამ ინფორმაციის ჩვენს ტვინებში მოთავსება ყველას შეუძლია, თანაც ისეთი ფორმით, რომ, სრულიად არარეალურიც კი დავიჯეროთ. რაც მთავარია, შეიძლება მივიღოთ და დავიტოვოთ ინფორმაცია, რომელიც საერთოდ არ გვაინტერესებს, არ გვაღელვებს და არასოდეს გამოვიყენებთ, რაც დროისა და შესაძლებლობების ცუდი მენეჯმენტის ტიპური მაგალითია. უფრო ნეგატიურ შედეგს კი მაშინ ვიღებთ, როდესაც ინფორმაცია ჩვენით მანიპულირების იარაღად იქცევა: ხმას ვაძლევთ პარტიას, რომელიც თვალისმომჭრელ სარეკლამო კამპანიას ეწევა, ვყიდულობთ ლამაზად შეფუთულ უვარგის ნივთს, ვბაძავთ ადამიანებს, რომლებიც ასევე წარმოადგენენ სხვის მიერ გასაყიდად შექმნილ „პროდუქტს“ და სხვა.

სწორედ აქ წარმოიშობა მედიაწიგნიერების აუცილებლობა, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის შეიძლება საიმედო ფილტრად იქცეს. მედიაწიგნიერს გაცილებით ადვილად შეუძლია, ინტერნეტიდან თუ მედიის სხვა საშუალებებიდან მისთვის ოპტიმალური ინფორმაცია მიიღოს, დაამუშაოს და პრაქტიკაშიც გამოიყენოს; მიღებული ინფორმაცია წორი მეთოდებით, სანდო წყაროს დახმარებით გადაამოწმოს და, სურვილის შემთხვევაში, გადამოწმებული ინფორმაცია დააბრუნოს. დღეს ამ უნარების ფლობას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ოდესღაც წერა-კითხვის ცოდნას ჰქონდა.

ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ გარემოში, სადაც კომუნიკაციისთვის წერა-კითხვა ან საერთაშორისოდ აღიარებული ენების ფლობა არ კმარა; თვითგანვითარებისთვის გაცილებით მეტი თვისების შეძენა და, რაც მთავარია, მათი პრაქტიკაში გამოყენებაა საჭირო, რაც დასაქმებისა და სხვა სახის თვითრეალიზაციის წინაპირობად იქცევა. მედიაწიგნიერი ადამიანი გაცილებით ფართოდ აზროვნებს, შესწევს საკითხში ჩაღრმავების, პრობლემის აღმოჩენისა და მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახვის, კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც არჩევანს აადვილებს. ჩვენ ამაზე ფიქრი დავაგვიანეთ და გამოსავლის ძებნა ერთად უნდა დავიწყოთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N4(41), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომაძე, ია ვეკუა, მალინა საჯაია, მაია მენაბდე, თამთა კობახიძე, ნინო კაპანაძე, დავით ბოლქვაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

თამარ მოსიაშვილი

12 **სიმართლის ორი მხარე**

??????????????????????????????????????

მოსაზრება

ნინო ჭიაბრიშვილი

4 **როგორ იქმნება ცოდნა?**

ცოდნა იქმნება სპირალისებურად და, ერთი შეხედვით, ისეთი წინააღმდეგობრივი კონცეფციებისაგან, როგორიც არის წესრიგი და ქაოსი, მიკრო და მაკრო, ნაწილი და მთელი, გონება და სხეული, იმპლიციტური და ექსპლიციტური, „მე“ და „სხვები“, დედუქცია და ინდუქცია, შემოქმედებითობა და კონტროლი.

მაია ფირჩხაძე

17 **წარმატება და სასწავლო პროცესი**

მასწავლებლებმა გულდასმით უნდა შევარჩიოთ ის მეთოდები, რომლებიც შემეცნებას სასიხარულო და სასიამოვნო პროცესად გადააქცევს და მოსწავლეს წარმატების სიხარულს განაცდევინებს.

ნინო ლომიძე

35 **განათლების მიზნები და დანიშნულება**

საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების ინსტრუქციები.

მანანა ბოჭორიშვილი

21 **მასალის გამოკითხვის მიდგომები**

მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალის გამოკითხვა სწავლების ერთ-ერთი უნივერსალურ საშუალება. მისი სისტემატურობა მოსწავლეს ეხმარება, გაიუმჯობესოს ცოდნა. გამოკითხვისას ამა თუ იმ მიდგომის შესაბამისისტატეგიის არჩევა მრავალ კომპონენტზეა დამოკიდებული.

მაია ჯალიაშვილი

41 **უდისციპლინობის ფენომენი**

მოსწავლის ქცევისა და ემოციების მართვა უმნიშვნელოვანესია სწავლებისას. ამაზე ზრუნვა დაწყებითი კლასებიდანვე იწყება და სკოლის დამთავრებამდე გრძელდება. ხანდახან ადამიანი მოზრდილობის ასაკშიც ვერ მართავს თავს, ე.ი. არ არის თავისუფალი. ასეთი ადამიანი კი სხვის თავისუფლებასაც იოლად შელახავს და საზოგადოების თავსატეხად იქცევა.

დავით ბოლქვაძე

48 **სიკეთე სასწავლო პროცესში**

სიკეთეზე ორიენტირებული მიდგომა ბავშვებში ამცირებს ბულინგის შემთხვევებს, წარმატებით ებრძვის დეპრესიას, ამარცხებს სტრესს, აყალიბებს მადლიერების გრძნობას და ზოგადად – განაპირობებს ბედნიერ ბავშვობას.

გამოცდილება

ქეთევან ოსიაშვილი

32 **საგნობრივი სწავლება დაწყებით კლასებში**

სასურველია, რომ პირველკლასელისთვის გადასაცემი ცოდნა უფრო მთლიანობით ხასიათს ატარებდეს. კარგად ორგანიზებულ სასწავლო გარემოში პირველკლასელებთან საგაკვეთილო პროცესში არც კი უნდა ჩანდეს, სად მთავრდება მათემატიკის გაკვეთილი და იწყება ქართულის ან ბუნების გაკვეთილი.

ნაირა ცხვედიანი

54 **განათლების სივრცის „ახალი ენა“**

ცოდნის გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია და ის სხვა ფორმებთან ერთად საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გზასაც აქტიურად გამოიყენებს. რაღაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართული ენა საერთოდ მოუმზადებელი არ შეხვდეს ამ პროცესს.



შინაარსი



გლობალური განათლება

ლევან ალფაიძე

51 **რა იზიდავს ბავშვებს გაკვეთილზე**

„მიმაჩნია, რომ ყველაფერი ურთიერთობაზეა დამოკიდებული. არ ვგულისხმობ ურთიერთობას მასწავლებელსა და მოსწავლეს ან მოსწავლეებს შორის – ვფიქრობ, ეს არის ურთიერთობა ტექსტსა და გარე სამყაროს შორის“.

27-30

რესურსი

მაია ინასარიძე

9 **მასწავლებლის შეკითხვები – გზა მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციისკენ**

შეკითხვები ყოველთვის იყო და იქნება სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, რადგან მათ სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ მასწავლებლები: მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლად, პროვოცირებისათვის, უკუკავშირისა თუ წარმოსახვის უნარის, ზოგადად, სააზროვნო პროცესების გააქტიურებისათვის.

ეკატერინე ყიფიანი

25 **ციფრული სამყაროს ემიგრანტები ადგილობრივი მაცხოვრებლების შველას ითხოვენ**

მედიაწიგნიერება გულისხმობს ციფრული ხელსაწყოებისა და ინტერნეტის ზომიერ გამოყენებას. ეს აღზრდის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს. არ იქნება მიზანშეწონილი, თუ მშობლები ბავშვებს კომპიუტერთან მისვლას აუკრძალავენ. მათ შვილებს უნდა მისცენ ინტერნეტის გონივრულად გამოყენების მაგალითი, უნდა აკონტროლონ კომპიუტერთან გატარებული დრო და შესრულებული საქმიანობის შინაარსი.

მარიამ გოდუაძე

38 **სკოლა და პლაგიატთან ბრძოლის ხუთი სტრატეგია**

მოვაწყოთ საკლასო, ინტერდისციპლინური დისკუსიები პლაგიატის შესახებ. გავაცნოთ მოსწავლეებს პლაგიატის სახეები და შემთხვევები. ვასწავლოთ, რა არის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი პლაგიატი, თვითპლაგიატი, მოზაიკური, სტრუქტურული და შემთხვევითი პლაგიატი.

ცვატა ბერძენიშვილი

45 **აქციეთ მოსწავლეები საკუთარი პრობლემების ექსპერტებად**

ექსპერტებს შეუძლიათ პრობლემის სწრაფი პრეზენტაცია და მომდევნო ეტაპების სწრაფი დაგეგმვა. მათ მეხსიერებაში აკუმულირებული ნიმუშები/სქემები ეხმარება.

ნინო ჭიაბრიშვილი

როგორ იქმნება ცოდნა?

სამყაროში, სადაც ბაზრები, პროდუქტები, ტექნოლოგიები, კონკურენტები, რეგულაციები და თვით საზოგადოებებიც კი სწრაფად იცვლება, ინოვაცია და ცოდნა, რომელიც შესაძლებელს ხდის ამგვარ ინოვაციას, მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი წყარო ხდება. მართვის სპეციალისტები ცოდნას და ცოდნის შექმნისა და გამოყენების უნარს კომპანიის მდგრადი კონკურენტული უპირატესობის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევენ. ფირმის არსებობის მიზანი თანდათან ცოდნის მუდმივი შექმნა ხდება.

ორგანიზაცია უბრალოდ ინფორმაციის გადამამუშავებელი მანქანა არ არის, ის ქმედებისა და ინტერაქციის საშუალებით ცოდნის შემქმნელია. ის ურთიერთქმედებს საკუთარ გარემოსთან და ცოდნის შექმნით ფორმას უცვლის გარემოსაც და საკუთარ თავსაც. შესაბამისად, ცოდნასთან დაკავშირებით ფირმის შესაძლებლობების უმნიშვნელოვანესი ასპექტი ახალი ცოდნის მუდმივად შექმნის დინამიკური უნარია და არა ცოდნის ფონდის არსებობა.



სქემა 1. ცოდნის შექმნის სპირალისებური პროცესი

ცოდნა იქმნება სპირალისებურად და, ერთი შეხედვით, ისეთი წინააღმდეგობრივი კონცეფციებისაგან, როგორიც არის წესრიგი და ქაოსი, მიკრო და მაკრო, ნაწილი და მთელი, გონება და სხეული, იმპლიციტური და ექსპლიციტური, „მე“ და „სხვები“, დედუქცია და ინდუქცია, შემოქმედებითობა და კონტროლი და სხვ. ცოდნის შექმნის პროცესის მასტიმულირებელი დიალექტიკური აზროვნებაა, რომელიც ამგვარ წინააღმდეგობებს გადალახავს და მათ სინთეზს ახდენს (სქემა 1).

როგორია ცოდნა?

ცოდნა დინამიკურია, რადგან ის ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შორის სოციალური ინტერაქციის შედეგად იქმნება. ცოდნა კონტექსტურია, რადგან ის დამოკიდებულია კონკრეტულ დროსა და სივრცეზე. კონტექსტის გარეშე ის უბრალოდ ინფორმაციაა და არა ცოდნა. მაგალითად, „ყაზბეგის გამზირი 29“ უბრალოდ ინფორმაციაა, კონტექსტის გარეშე ის არაფერს ნიშნავს. გარკვეულ კონტექსტში ის ცოდნად იქცევა, მაგალითად, „ჩემი მეგობარი ყაზბეგის გამზირზე N29-ში ცხოვრობს, რომელიც „დელისის“ მეტროსთან ახლოს მდებარეობს“. ცოდნა ადამიანურიც არის, რადგან ის ადამიანის ქმედებას უკავშირდება. ცოდნას აქტიური და სუბიექტური ბუნება აქვს და ღრმად არის ფესვგადგმული ინდივიდის ფასეულობათა სისტემაში. ინფორმაცია ცოდნად იქცევა, როცა ხდება მისი ინტერპრე-

ტაცია გარკვეულ კონტექსტში ინდივიდების მიერ და განმტკიცდება მათივე შეხედულებებითა და რწმენებით. რაკი ცოდნა შეფარდებითია, ისეთი ცნებები, როგორიცაა „ჭეშმარიტება“, „სიკეთე“ ან „მშვენიერება“ მხოლოდ ინდივიდისეული შეფასებაა.

ვიცით, რომ არსებობს ცოდნის ორი ტიპი: ექსპლიციტური და იმპლიციტური. ექსპლიციტური ცოდნა შეიძლება გამოიხატოს ფორმალური და სისტემატიზებული ენით და გაზიარდეს მონაცემების, მეცნიერული ფორმულის, სპეციფიკაციის, გზამკვლევის და სხვათა ფორმით. შედარებით ადვილია მისი დამუშავება, გადაცემა და შენახვა. ამის საპირისპიროდ იმპლიციტური ცოდნა ძალზე პერსონალურია და ძნელია მისი ფორმალიზება. სუბიექტური ხედვა, ინტუიცია, წინათგრძნობა ამგვარი ცოდნის კატეგორიაში შედის. იმპლიციტური ცოდნა ღრმად არის ფესვმოკიდებული ქმედებაში, პროცედურებში, რუტინებში, შეხედულებებში, იდეებში, ღირებულებებსა და ემოციებში. ის მყოფობს ადამიანის გონებისა და სხეულის სიღრმისეულ კომპეტენციებში. ძნელია ასეთი ცოდნის კომუნიკაცია სხვებისათვის, რადგან ის ანალოგური პროცესია, რომელიც ერთგვარ „ერთდროულ გადამუშავებას“ მოითხოვს.

ცოდნის შექმნის პროცესი

ცოდნის შექმნა უწყვეტი, საზღვრების გადალახვის პროცესია – ადამიანი გადალახავს თავისი ძველი „მეს“ საზღვრებს და ახალ „მეში“ იდებს ბინას ახალი კონტექსტის შეცნობის, სამყაროს ახალი ხედვის და ახალი ცოდნის საშუალებით. ადამიანი ასევე გადალახავს საზღვრებს „მესა“ და „სხვებს“ შორის, რადგან ცოდნა იქმნება ინდივიდებს შორის და ინდივიდებსა და გარემოს შორის ინტერაქციით. ცოდნის შექმნისას მიკრო და მაკრო ერთმანეთთან ურთიერთქმედებს და ცვლილებები ხდება როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე: ინდივიდი (მიკრო) გავლენასაც ახდენს და იმ გარემოს (მაკრო) ზეგავლენის ქვეშაცაა, რომელშიც ინტერაქცია უხდება.

იმის გასაგებად, თუ როგორ ქმნის ორგანიზაცია დინამიკურად ცოდნას სასარგებლო იქნება ცოდნის შექმნის მოდელი, რომელიც სამი ელემენტისაგან შედგება: 1) SECI პროცესი, ცოდნის შექმნის პროცესი ექსპლიციტური და იმპლიციტური ცოდნის ერთმანეთში ურთიერთგადასვლით; 2) ba ცოდნის შექმნის ერთიანი კონტექსტი; 3) ცოდნის აქტივები – ხარჯები, შედეგები და ცოდნის შექმნის პროცესის მარეგულირებელი.

SECI პროცესი: ცოდნის გარდაქმნის ოთხი მოდელი

ორგანიზაცია ცოდნას იმპლიციტური და ექსპლიციტური ცოდნის ურთიერთქმედებით ქმნის. ამ ორი ტიპის ცოდნას შორის ინტერაქციას „ცოდნის გარდაქმნა“ ეწოდება. გარდაქმნის პროცესში იმპლიციტური და ექსპლიციტური ცოდნა ფართოვდება როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად.

იკუჯირო ნონაკასა და ჰიროტაკა ტაკეუკის დინამიკური ცოდნის შექმნის სპირალისებური პროცესი ემყარება იმპლიციტურ და ექსპლიციტურ ცოდნას შორის სპირალისებურ მოძრაობას. მათი აზრით, ცოდნის შექმნა ოთხი ინტეგრირებული პროცესის უწყვეტი ციკლის შედეგია, ესენია: (1) სოციალიზაცია (იმპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); (2) დაკონკრეტება/ხელშესახები ფორმის მიცემა (იმპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); (3) კომბინაცია (ექსპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); (4) გათავისება (ექსპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა) (სქემა 2).

ცოდნის გარდაქმნის ეს ოთხი მექანიზმი ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამოკიდებულია და იცვლება კონტექსტის მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალიზაცია ახალი იმპლიციტური ცოდნის გარდაქმნის პროცესია საერთო გამოცდილების საშუალებით. რაკი რთულია იმპლიციტური ცოდნის ფორმალიზება და ის დროსა და კონტექსტზეა მიბმული, მისი დაუფლება მხოლოდ ერთობლივად შეიძლება, მაგალითად, დროის ერთად გატარებით, ან ერთსა და იმავე გარემოში ცხოვრებით. ის უფრო მეტად „ხელიდან ხელში“ გადაეცემა, ვიდრე ინსტრუქციებით ან სახელმძღვანელოებით ისწავლება. ცოდნის სოციალიზაცია შესაძლებელია მოხდეს არაფორმალური შეხვედრების დროს, ორგანიზაციული საზღვრების მიღმა. ფირმა ხშირად სარგებლობს იმ იმპლიციტური ცოდნით, რომელიც აქვთ მის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს ამ უკანასკნელებთან ურთიერთობის საშუალებით.

დაკონკრეტება – იმპლიციტური ცოდნისათვის კონკრეტული ხელშესახები ფორმის მიცემაა. ამ დროს ცოდნა თითქოს

“ ცოდნის შექმნა ოთხი ინტეგრირებული პროცესის უწყვეტი ციკლის შედეგია, ესენია: სოციალიზაცია (იმპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); დაკონკრეტება/ხელშესახები ფორმის მიცემა (იმპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); კომბინაცია (ექსპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა); გათავისება (ექსპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა). “

კრისტალიზდება და სხვებისათვის გაზიარების ფორმას იძენს. ის ახალი ცოდნის საფუძველი ხდება. იმპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურად გარდაქმნა დამოკიდებულია მეტაფორის, ანალოგიისა და მოდელის თანმიმდევრულ გამოყენებაზე.

კომბინაცია ექსპლიციტური ცოდნის გარდაქმნაა ექსპლიციტური ცოდნის უფრო რთულ და სისტემურ ნაკრებებად. ექსპლიციტური ცოდნა თავმოყრილია ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ, მხოლოდ შემდეგ გაერთიანებული, რედაქტირებული და დამუშავებულია ახალი ცოდნის შესაქმნელად. ახალი ექსპლიციტური ცოდნა ვრცელდება ორგანიზაციის წევრებს შორის. კომპიუტერიზებული საკომუნიკაციო ქსელებისა და მონაცემთა ფართომასშტაბიანი ბაზის შემოქმედებითი გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის ამ ფორმის ტრანსფორმირებას.

გათავისების საშუალებით შექმნილი და მთელ ორგანიზაციაში გაზიარებული ექსპლიციტური ცოდნა ინდივიდების მიერ იმპლიციტურ ცოდნად გადაიქცევა. გათავისება მჭიდროდ უკავშირდება „კეთებით სწავლას“. როცა გათავისებული ცოდნა ინდივიდების იმპლიციტური ცოდნის ბაზის ნაწილი ხდება ერთობლივი მენტალური მოდელების ან ტექნიკური „ნოუ ჰაუს“ ფორმით, ის ორგანიზაციის ფასეულ აქტივად იქცევა. ინდივიდის დონეზე აკუმულირებული ასეთი იმპლიციტური ცოდნა ცოდნის ახალი სპირალის შექმნის სათავეა, თუკი სოციალიზაციის გზით ხდება მისი გაზიარება.

ინტერაქტიული სპირალისებური პროცესი მიმდინარეობს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. ხდება ცოდნის ტრანსფერი ორგანიზაციის საზღვრებს მიღმა. სხვადასხვა ორგანიზაციების ცოდნის ინტერაქციის შედეგად იქმნება ახალი ცოდნა. ასეთი დინამიკური ინტერაქციის საშუალებით ერთი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ცოდნა, შესაძლებელია ორგანიზაციის ფარგლებს მიღმა ისეთი აგენტების ცოდნის მობილიზაციის სტიმული გახდეს, როგორებიც არიან: მომხმარებლები, სხვა კომპანიები, უნივერსიტეტები ან დისტრიბუტორები. მაგალითად, წარმოების ინოვაციურმა პროცესმა შესაძლებელია შეცვალოს მიმწოდებელთა წარმოების პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, ორგანიზაციაში საქონლისა და პროცესების ინოვაციის სტიმული გახდეს. სქემა 3 გვიჩვენებს როგორ ურთიერთქმედებს ორგანიზაცია ცოდნის შესაქმნელად გარე აგენტებთან.



სქემა 2. ცოდნის სპირალი



სქემა 3. ცოდნის შექმნა გარე აგენტებთან ერთად

Ba: ცოდნის შესაქმნელად საჭირო ერთობლივი კონტექსტი

ცოდნის შესაქმნელად საჭიროა კონტექსტი. კონცეფციაზე დაყრდნობით, რომელიც თავდაპირველად იაპონელმა ფილოსოფოსმა კიტარო ნიშიდამ შემოგვთავაზა, Ba შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთობლივი კონტექსტი, რომელშიც ხდება ცოდნის გაზიარება, შექმნა და გამოყენება. სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტები მნიშვნელოვანია ინდივიდებისათვის, რადგან ასეთი კონტექსტი ქმნის ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭების საფუძველს. ფრიდრიხ ნიცშე აღნიშნავდა, რომ „არ არსებობს ფაქტები, არსებობს მხოლოდ ინტერპრეტაციები". Ba ის ადგილია, სადაც ხდება ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ცოდნად გადაქცევა (იხ. სქემა 4).

იაპონური სიტყვა Ba მხოლოდ ფიზიკურ სივრცეს არ მიანიშნებს, ის სპეციფიკური დრო და ადგილია. ეს კონცეფცია აერთიანებს ფიზიკურ სივრცეს (ოფისის სივრცე), ვირტუალური სივრცე (ელ.ფოსტა) და მენტალური სივრცე (საერთო იდეები).

როგორც აღვნიშნეთ, ცოდნის შექმნა დინამიკური ადამიანური პროცესია, რომელიც არსებულ საზღვრებს სცილდება. ცოდნა ინდივიდთა ან ინდივიდთა და გარემოს ინტერაქციის შედეგია. Ba კონტექსტია, რომელიც საერთოა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ინტერაქცია აქვთ და საკუთარი „მეს" ფარგლების მიღმა მოგზაურობით ცოდნას ქმნიან.

Ba ბუნებით რთული და ცვალებადია. ის საზღვრებს უწესებს ინდივიდებს ინტერაქციისათვის და იმავდროულად მისი საზღვრები ღიაა. ის ინდივიდებს დროსა და სივრცეს აძლევს და, იმავდროულად, დროისა და სივრცის საზღვრებს არღვევს. მონაწილეთა კონტექსტის ან მისი წევრების ცვლილებასთან ერთად Ba მუდამ იცვლება.

არსებობს Ba–ს ოთხი ტიპი: საწყისი Ba, დიალოგური Ba, სისტემატიზების Ba, და ვარჯიშის Ba.

საწყისი Ba ის ადგილია, სადაც ინდივიდები უზიარებენ გამოცდილებას, გრძნობებს, ემოციებსა და მენტალურ მოდელებს. ის გვთავაზობს კონტექსტს სოციალიზაციისათვის, მის ბაზაზე ჩნდება ზრუნვა, სიყვარული, ნდობა და ერთგულება, რომელიც ინდივიდებს შორის ცოდნის გარდაქმნის საფუძველია. დიალოგური Ba განისაზღვრება კოლექტიური და ინდივიდუალური ინტერაქციებით. ეს ის ადგილია, სადაც ინდივიდები ერთმანეთს უზიარებენ მენტალურ მოდელებსა და უნარ-ჩვევებს, ხდება მათი საერთო ტერმინებით სახელდება და კონცეფციებად ჩამოყალიბება. შესაბამისად, დიალოგური Ba, გვთავაზობს კონტექსტს დაკონკრეტებისთვის.

სისტემატიზების Ba განისაზღვრება, როგორც კოლექტიური და ვირტუალური ინტერაქცია. ის ძირითადად არსებული ექსპლიციტური ცოდნის კომბინაციისათვის გვთავაზობს კონტექსტს, რადგან ექსპლიციტური ცოდნა შედარებით იოლად შეიძლება გადაეცეს მრავალ ადამიანს წერილობითი ფორმით.

ვარჯიშის Ba განისაზღვრება, როგორც ინდივიდუალური და ვირტუალური ინტერაქცია. ის გვთავაზობს კონტექსტს გათავისებისათვის. ინდივიდები ითავისებენ ცოდნას, რომლის კომუნიკაცია ხდება ვირტუალური მედიის (წერილობითი ინსტრუქციები ან მოდელირების პროგრამები) საშუალებით.



სქემა 5. Ba–ს ოთხი ტიპი

ცოდნის აქტივები

ცოდნის შექმნის პროცესის საფუძველია ცოდნის აქტივები. აქტივები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფირმისთვის დამახასიათებელი რესურსები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ფირმის მიერ რაიმე ღირებულების შექმნა. ცოდნის აქტივები არის ხარჯები, შედეგები და ცოდნის შექმნის პროცესის მარეგულირებელი ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ საზომთა მრავალი სისტემა შეიქმნა, არსებული სისტემები ცოდნის აქტივების ზუსტ გაზომვას ვერ უზრუნველყოფს ცოდნის იმპლიციტური ბუნებიდან გამომდინარე.

იმის გასაგებად, როგორ ვქმნით, ვითვისებთ და ვიყენებთ ცოდნის აქტივებს, სასარგებლო იქნება ცოდნის დაჯგუფება ხუთ ტიპად: ექსპერიმენტული ცოდნის აქტივები, კონცეპტუალური ცოდნის აქტივები, სისტემური ცოდნის აქტივები და რუტინული ცოდნის აქტივები (იხ. სქემა 6).

ექსპერიმენტული ცოდნის აქტივები

საერთ. გამოცდილებით გაზიარებული იმპლიციტური ცოდნა

- ინდივიდების უნარ-ჩვევები და ნოუ ჰაუ
- ზრუნვა, სიყვარული, ნდობა და უსაფრთხოება
- ენერგია, გატაცება და ზეწოლა

კონცეპტუალური ცოდნის აქტივები

იმიჯის, სიმბოლოებისა და ენის საშუალებით გამოხატული ექსპლიციტური ცოდნა

- პროდუქტის კონცეფცია
- დიზაინი
- ბრენდი

რუტინული ცოდნის აქტივები

ქმედებებსა და პრაქტიკაში გამოვლენილი რუტინად ქცეული იმპლიციტური ცოდნა

- ნოუ ჰაუ ყოველდღიურ ოპერაციებში
- ორგანიზაციული რუტინა
- ორგანიზაციული კულტურა

სისტემური ცოდნის აქტივები

სისტემატიზებული და დანაწევრებული ექსპლიციტური ცოდნა

- დოკუმენტები, სპეციფიკაციები, ინსტრუქციები
- მონაცემთა ბაზა
- პატენტები და ლიცენზიები

სქემა 6. ცოდნის აქტივების ოთხი კატეგორია

> **ინფორმაცია ცოდნად იქცევა, როცა ხდება მისი ინტერპრეტაცია გარკვეულ კონტექსტში ინდივიდების მიერ და განმტკიცდება მათივე შეხედულებებითა და რწმენებით.**

ექსპერიმენტული ცოდნის აქტივები შედგება გაზიარებული იმპლიციტური ცოდნისაგან, რომელიც იქმნება „ხელიდან ხელში“ გამოცდილების საფუძველზე ორგანიზაციის წევრებს, ორგანიზაციის წევრებსა და მომხმარებლებს, მიმწოდებლებს და ფილიალებს შორის. უნარ–ჩვევები და ნოუ ჰაუ, რომელსაც ინდივიდები სამუშაო გამოცდილებით ითვისებენ და აგროვებენ ასეთი აქტივების მაგალითია.

კონცეპტუალური ცოდნის აქტივები შედგება ექსპლიციტური ცოდნისაგან, რომელიც გამოხატულია იმიჯების, სიმბოლოებისა და ენის საშუალებით. ბრენდი, რომელსაც ენდობა მომხმარებელი, კონცეფციები ან დიზაინი, რომელიც აღიქმება ორგანიზაციის წევრების მიერ ამგვარი აქტივების მაგალითებია.

სისტემური ცოდნის აქტივები შედგება სისტემატიზებული და დანაწევრებული ექსპლიციტური ცოდნისაგან. მაგალითად, ზუსტი ტექნოლოგიები, პროდუქტის სპეციფიკაციები, ინსტრუქციები, დოკუმენტაცია, ინფორმაცია მომხმარებლებზე და მიმწოდებლებზე. კანონით დაცული ინტელექტუალური საკუთრება – ლიცენზიები და პატენტებიც ამ კატეგორიაში შედის. ეს ცოდნის აქტივების ყველაზე „ხილული“ ფორმაა. თანამედროვე ცოდნის მენეჯმენტი სწორედ სისტემური ცოდნის აქტივებზეა ორიენტირებული.

რუტინული ცოდნის აქტივები შედგება იმპლიციტური ცოდნისაგან, რომელიც რუტინული ხასიათის არის და ვლინდება ორგანიზაციის ქმედებებსა და პრაქტიკაში. ნოუ ჰაუ, ორგანიზაციული კულტურა და ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზაციული რუტინა ამგვარი პრაქტიკული ბუნების აქტივების მაგალითებია.

მასწავლებლის შეკითხვები – გზა მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციისაკენ

მაია ინასარიძე

ამ რამდენიმე თვის წინ ერთმა მასწავლებელმა მთხოვა, გაკვეთილზე დამესწარით, ტექსტზე ვმუშაობთ და თქვენი აზრი მაინტერესებსო. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ იწყებდა. მას შემდეგ რაც პოემის პირველი თავი წაიკითხეს, მასწავლებელმა მოსწავლეებს ტექსტის გააზრების ხარისხი შესამოწმებლად შეკითხვები დაუსვა. მარტივ შეკითხვებზე, ისეთზე, რომელიც ტექსტიდან ზედაპირული ინფორმაციის ამოღებას გულისხმობდა, მოსწავლეები უხალისოდ პასუხობდნენ, მაგრამ როცა მასწავლებელმა დასვა შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ქისტების ადგილსამყოფლის აღწერას პოემაშიო, კლასი გამოცოცხლდა. იყო განსხვავებული პასუხები. ზოგი ამბობდა, ემოციურ ფონს ქმნისო, ზოგმა – მკითხველის ინტერსს აღძრავსო, ზოგმა – რაღაც მოულოდნელისათვის გვამზადებსო... აღარ გავაგრძელებ. ერთს ვიტყვი: იყო ისეთი საინტერესო აზრები, რომლებმაც მეც ახლებურად დამანახვეს ათასგზის წაკითხული. მასწავლებელი არ კმაყოფილდებოდა მოსწავლეთა პასუხებით და დაუმთავრებლად იმეორებდა: „კიდევ?.. კიდევ?..“ კლასი ჩაწყნარდა. პასუხები ამოიწურა. მართალი გითხრათ, გულში ვფიქრობდი, ნეტავ რა შეიძლება კიდევ ითქვასმეთქი. როცა პაუზა გაგრძელდა, მასწავლებელმა საყვედურის ტონით მიმართა მოსწავლეებს: „წინასწარმეტყველური ფუნქცია აქვს, წი-ნასწარ-მეტყ-ვე-ლუ-რი“. დამარცვლით წარმოთქვა ბოლო სიტყვა...

ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენებია. ტიპური ვითარებაა. მასწავლებელი სვამს შეკითხვას, რომელიც მოსწავლეთა აზროვნების მაღალ დონეზეა ორიენტირებული და რომელიც სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას გულისხმობს, მაგრამ მოითხოვს და მიიღებს მხოლოდ იმ პასუხს, რომელიც მას მიაჩნია მართებულად, ანუ ისევ ჩარჩოში აქცევს მოსწავლეთა აზროვნებას. აი, მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება თავისთავად კარგი შეკითხვა შეეწიროს ე.წ. „მასწავლებლის ავტორიტარიზმს“. არ შეიძლება, არ დაეთანხმო როზმარი სმიდს, რომელიც წერდა, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, „სასკოლო პრაქტიკა მოსწავლეებს უყალიბებს მოლოდინს, რომ ყველა შეკითხვაზე არსებობს მხოლოდ ერთი სწორი პასუხი (Смид Р., 1999, с. 149)“. სწორედ ამის მაგალითია ზემოთ აღწერილი სიტუაცია.

შეკითხვები ყოველთვის იყო და იქნება სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, რადგან მათ სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ მასწავლებლები: მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლად, პროვოცირებისათვის, უკუკავშირისა თუ წარმოსახვის უნარის, ზოგადად, სააზროვნო პროცესების გააქტიურებისათვის და სხვ.

გაკვეთილზე აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის მასტიმულირებელი გარემოს შესაქმნელად მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს პარტნიორული ურთიერთო-

„გაკვეთილზე აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის მასტიმულირებელი გარემოს შესაქმნელად მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს პარტნიორული ურთიერთობები, ურთიერთობები კი დიალოგით იწყება.“

> **მაშინაც კი, როცა მოსწავლეებს ვუსვამთ ცოდნაზე ორიენტირებულ კითხვას, უნდა შევუქმნათ განცდა, რომ არასწორი პასუხის შემთხვევაში მას მასწავლებელი არ მიატოვებს და რომ შეცდომა საშიში არ არის, შეცდომა „ჩვენი მეგობარია“, რომელიც გზას გვიკვლევს არცოდნიდან ცოდნისკენ.**

ბები, ურთიერთობები კი დიალოგით იწყება. ჩვეულებრივ, დიალოგში ერთი მოსაუბრე სვამს კითხვას, რომელზედაც პასუხი მას ან არა აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს კიდეც, მაგრამ სხვისი აზრის მოსმენა უნდა. იქმნება კი დიალოგური სიტუაცია, ანუ კომუნიკაცია, როცა მასწავლებელი სვამს შეკითხვას, რომელზედაც პასუხი მას „თავში“ აქვს. ის მოსწავლისაგან მოითხოვს ისეთი პასუხს, რომელიც მის ცოდნას ემთხვევა. რაც მთავარია, მოსწავლემაც იცის, რომ მის პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიწონებს მასწავლებელი, თუ ზუსტად დაემთხვევა იმას, რაც მასწავლებელმა იცის (რაღაც „იცის“ სიტყვის თამაშს დაემსგავსა ჩვენი აზრი და, იმედია, ტავტოლოგიად არ ჩამითვლის მკითხველი). მოსწავლე ნერვიულობს, რამდენად ზუსტად შეესაბამება მისი პასუხი მასწავლებლის ცოდნას. სავსებით შესაძლებელია, ამ ნერვიულობის დროს მოხდეს მისი გონების ბლოკირება და მან უბრალოდ ვერ გიპასუხოთ ის, რაც მან იცის. ალბათ, ყველას გქონიათ შემთხვევა, მშობელი საყვედურით რომ მოსულა თქვენთან და გულისტკივილით უთქვამს: ყველაფერი იცოდა, იმდენი იმეცადინა სახლში და აქ რა ემართებაო?..

„აბა რა ვქნათ, როგორ გავიგოთ, იცის თუ არა საკითხი მოსწავლემ?“ – იკითხავს მასწავლებელი და, ერთი შეხედვით, ლეგიტიმური კითხვაა. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარგი შეკითხვა ისაა, რომელიც ალტერნატიული პასუხებისათვის დიდ სივრცეს იძლევა და რომელზედაც თავად მასწავლებელს შეიძლება პასუხი არ ჰქონდეს. ეს როგორ? – ისევ გაიკვირვებს მავანი. ასეთ კითხვებს თქვენც სვამთ, მაგალითად, „რას ფიქრობთ, მართებულია თუ არა ნესტანის გადაწყვეტილება საქმროს მკვლელობასთან დაკავშირებით?“ „რა ასოციაციებს იწვევს თქვენში თოვლის „ქალწულებივით ხიდიდან ფენა“? „თქვენ რას მოიმოქმედებდით, დავით აღმაშენებლის ადგილზე რომ ყოფილიყავით, კლდეკარის ერისთავების ღალატის შემთხვევაში?“ ასეთი შეკითხვები ნებისმიერ მოსწავლეს უხსნის შიშის განცდას, ამავდროულად, ის პიროვნებად გრძნობს თავს, რადგან მისით ინტერესდებიან, აღიარებენ. ასე იქმნება გაკვეთილზე დიალოგური სიტუაცია, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის საფუძველია.

მაშინაც კი, როცა მოსწავლეებს ვუსვამთ ცოდნაზე ორიენტირებულ კითხვას, უნდა შევუქმნათ განცდა, რომ არასწორი პასუხის შემთხვევაში მას მასწავლებელი არ მიატოვებს და რომ შეცდომა საშიში არ არის, შეცდომა „ჩვენი მეგობარია“, რომელიც გზას გვიკვლევს არცოდნიდან ცოდნისკენ.

ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვების მოფიქრება მასწავლებლისათვის ადვილია. ალბათ, ამიტომაც არის რომ ისინი უფრო ხშირად სწორედ ასეთ შეკითხვებს სვამენ, თუმცა დეკლარირებულად აღიარებენ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული შეკითხვების უპირატესობას. ეს დაადასტურა მასწავლებლების დამოკიდებულებებისა და საკლასო პრაქტიკის კვლევამ საქართველოს საჯარო სკოლებში – რატომ და როგორ სვამენ მასწავლებლები შეკითხვებს (ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, ირინე ყვანია, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, GESJ: Education Science and Psychology 2015 | No.2(34). კვლევის დასკვნაში ვკითხულობთ: „დაკვირვებამ ცხადყო, რომ მასწავლებლების მიერ რეალურად დასმული კითხვების 3/4-მდე დახურულია და მათში აქცენტი ნაკლებად კეთდება მაღალი დონის კოგნიტური პროცესების შემოწმებაზე“. სამწუხარო და დამაფიქრებელი რეალობაა.

მაინც როგორი შეკითხვები დავსვათ?

შეკითხვათა მრავლნაირი კლასიფიკაცია არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ბენჟამენ ბლუმის ტაქსონომიაზე დამყარებული კლასიფიკაცია. არსებობს მისი მოდიფიცირებული ვარიანტიც, რომელიც შეკითხვათა ექვს ტიპს აერთიანებს. ეს არის:

- **ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები**, რომლებიც გულისხმობს ფაქტების დასახელებას, კონკრეტული ინფორმაციის აღდგენას. რა რისკ-ფაქტორები ახლავს ამ ტიპის შეკითხვებს, ზემოთ ამის შესახებ მოკლედ ვისაუბრეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ასეთი შეკითხვებზე პასუხების მოძებნის გზას ვასწავლით მოსწავლეებს და ძალისხმევას ამაზე უფრო დავხარჯავთ, ვიდრე ინფორმაციის დამახსოვრებაზე, უკეთესია.

- **დამაზუსტებელი შეკითხვები**, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწყება ასე: „თუ მე სწორად გავიგე...“ „ანუ შენ ამბობ, რომ...“ და ა.შ. ასეთი შეკითხვების დროს სასურველია, მასწავლე-

ბელმა ზუსტად არ გაიმეოროს მოსწავლის ნათქვამი (ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის დაბნეულობა და შიში, რომ რაღაც სწორად არ თქვა), არამედ გააკეთოს მისი პერიფრაზირება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, არ გააკეთოს ეს ნეგატიური მიმიკით (მაგალითად, მაღლა აწეული წარბები, გაკვირვებული მზერა ფართოდ გახელილი თვალებით).

- **ახსნითი შეკითხვები**, რომლებიც, ჩვეულებრივ იწყება კითხვითი სიტყვით „რატომ". ასეთ შეკითხვებსაც ახლავს გარკვეული რისკები. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება ის აღიქვას, როგორც ძალდატანება, გაამართლოს საკუთარი პასუხი. ამიტომ სასურველია, თუ მასწავლებელი გულწრფელად გამოხატავს დაინტერესებას, რატომ ფიქრობს ის ასე? ასევე გასათვალისწინებელია, რომ, თუ „რატომ" კითხვაზე მოსწავლემ პასუხი უკვე იცის (ამოიკითხა სახელმძღვანელოში ან მოისმინა მასზე პასუხი მასწავლებლისაგან), ახსნითი შეკითხვა გადაიქცევა ცოდნაზე ორიენტირებულად. ასეთი შეკითხვები კარგია პერსონაჟის ქცევის მოტივის, მოვლენის მიზეზების ასახსნელად და სხვ. მათი საშუალებით ჩვენ ვუბიძგებთ მოსწავლეებს ინტერპრეტირებისაკენ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვისკენ.

- **შეფასებითი შეკითხვები.** საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანის ემოციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სააზროვნო პროცესებზე. ჩვენ ფაქტისა თუ მოვლენის მიმართ ჯერ ემოციური დამოკიდებულება გვიყალიბდება და ამის შემდეგ – კრიტიკული (გაიხსენეთ „კორნელის გრაფა" – ემოციური და კრიტიკული კომენტარი). ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებს დავეხმაროთ, გაერკვნენ საკუთარ ემოციებში. სწორედ ამას ემსახურება ამ ტიპის შეკითხვები. ისინი ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, ისტორიული გმირების, პერსონაჟების, თუნდაც მათემატიკური ფორმულების მიმართ. მაგალითად, „რა გრძნობა დაგეუფლა, როცა ეს ამოცანა ამოხსენი?" „რა გრძნობებს იწვევს შენში ეს ლექსი?" „რა დამოკიდებულება გაქვს ამ პერსონაჟის მიმართ?" და ა.შ. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შეფასებითი შეკითხვების დასმა არ არის რეკომენდებული იმ დროს, როდსაც ისედაც მაღალია მოსწავლეთა აქტიურობისა და ჩართულობის ხარისხი, მაგალითად დისკუსიისას. ასევე, ასეთი ტიპის შეკითხვების დასმისას მას უნდა ეტყობოდეს, რომ ის ნამდვილად არის დაინტერესებული მოსწავლის პასუხით და არ სვამს შეკითხვას ფორმალურად.

- **პრაქტიკული შეკითხვები** – ეს ისეთი შეკითხვებია, რომლებიც მიმართულია თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირზე. მაგალითად, „თქვენ რას მოიმოქმედებდით მის ადგილას?" „როგორ შეიძლება გამოიყენო ცხოვრებაში მართკუთხდის ფართობის გამოთვლის ფორმულა?" და ა.შ.

- **შემოქმედებითი ხასიათის შეკითხვები** ისეთი შეკითხვებია, რომლებიც შეიცავს პირობითობის, პროგნოზირების, ვარაუდების ელემენტებს, „აიძულებს" მოსწავლეებს გააქტიურონ საკუთარი წარმოსახვა. მაგალითად, „როგორ ფიქრობ, როგორი იქნებოდა საქართველო დღეს, რომ არა 1801 წლის მანიფესტი?" „რა მოხდებოდა, ყველა მცენარე რომ სიმაღლეში ალვის ხეს გატოლებოდა?" „თქვენი აზრით, როგორი დასასრული ექნება ამ რომანს?" და ა. შ. შემოქმედებითი შეკითხვები მთლიანად ცვლის გაკვეთილის ტრადიციულ მოდელს. აქ არ არსებობს სწორი და მცდარი პასუხები. ყველა მოსწავლე თავისუფალია თავის წარმოსახვაში. თითოეულის ფანტაზიას ისეთივე წონა და მნიშვნელობა აქვს, როგორიც მასწავლებლისას. აქ ისინი თანასწორნი არიან. ხშირად მასწავლებლები ერიდებიან ასეთი შეითხვების დასმას, რადგან უჭირთ მოსწავლეთა ფანტაზიის ნაკადის შეჩერება, მაგრამ შედეგი ღირს გარისკვად.

შეკითხვებით ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეთა აზროვნების ცნობიერად წარმართვა და ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც სრულად გამოვლინდება თითოეულის ინტელექტუალური პოტენციალი. ამიტომ დავუსვათ მოსწავლეებს შეკითხვები, მაგრამ დავუსვათ წინასწარ კარგად მოფიქრებული და აზროვნების სხვადასხვა დონის განვითარებისკენ მიმართული შეკითხვები.

თამარ მოსიაშვილი

სიმართლის ორი მხარე

თევზმა თევზს უთხრა, ცოტა იქით მიიძარიო.
საით მივიძრა, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო.

ქართული ანდაზა

როგორია წყალი ჩემს ჭიქაში?

ამ სტატიის ეპიგრაფზე ფიქრი მომიწია. საბოლოოდ, ქართულ ხალხურ ანდაზაზე შევჩერდი, თუმცა არაბული ანდაზაც შეესაბამება ამ სტატიას. არაბებს უთქვამთ, ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო და მართლაც, ორ საზამთროს ორი ხელი უნდა, ორ მოსაზრებას – ორი ადამიანი. ამ სტატიაში ვისაუბრებთ საკლასო ოთახში მედიაწიგნიერების ინტეგრაციაზე. მანამ კი ერთ ამბავს მოგიყვებით:

კოლეგებთან ერთად ვსაუბრობდით მედიაწიგნიერების სასწავლო პროცესში დანერგვის ხერხებსა და მიზნებზე; შეხვედრაში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ; მორიგი დიკუსიის დროს მონაწილეებს დავუსვი რიტორიკული კითხვა:

რა შეიძლება დავუპირისპიროთ მედიას?

პასუხს ამაოდ ველოდი. შემდეგ მსმენელებს ჩემი აზრი მოვახსენე. მედიას შეიძლება დავუპირისპიროთ სიმართლე, რეალობა. ამ პასუხით მინდოდა, ერთად გვემსჯელა სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვის აუცილებლობასა და საშუალებებზე. თუმცა ჩემი პასუხის შემდეგ ერთმა მსმენელმა, ბუნებისმეტყველმა, თავისი ამბავი გვიამბო. ,,მოსწავლეებს წყლის ტემპერატურის გაზომვას ვასწავლიდი. მერხზე წყლით სავსე ორი მეტალის ჭიქა დავდგი, მესამე კი ჩემს მაგიდაზე დავდე. ორ მოსწავლეს ვთხოვე, ხელი მიედოთ წყლით სავსე ორი ჭიქისთვის. შემდეგ ვთხოვე, მოსულიყვნენ ჩემს მაგიდასთან და ხელი შეეხოთ ჩემი ჭიქისთვის. ბავშვებს ვკითხე: „როგორია წყალი?“ ერთმა მოსწავლემ მითხრა, ცხელიაო, მეორემ კი – ცივიაო.

შემდეგ კლასში დავსვი კითხვა: „რატომ ფიქრობენ განსხვავებულად? შეიძლება წყალი ერთდროულად ცივიც იყოს და ცხელიც?“ ბავშვებს არ გაუჭირდათ ამ „საიდუმლოს“ ამოხსნა, და მათი პასუხი იყო: „გააჩნია, რა შემთხვევაში“. ამ პატარა სახალისო აქტივობის „საიდუმლო“ მარტივია: სანამ ჩემს ჭიქას შეამოწმებდნენ, მათ შეამოწმეს განსხვავებული ჭიქები; ერთში თბილი წყალი იყო ჩასხმული, მეორეში კი – ცივი. ბავშვებმა განსხვავებული გამოცდილება მიიღეს და, შესაბამისად, განსხვავებულად შეაფასეს ჩემს ჭიქაში ჩასხმული ოთახის ტემპერატურის მქონე წყალი“.

მედიაწიგნიერების თერმომეტრი

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ რეალობას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ვქმნით. როდესაც საბუნებისმეტყველო კვლევას ვატარებთ, რეალობის შესამოწმებლად ინსტრუმენტები გვაქვს. ყველაზე ობიექტურ ინფორმაციას თერმომეტრი გვაწვდის და ჩვენც ვთანხმდებით ,,სიმართლეზე“. მედიაწიგნიერების შემთხვევაში, საქმე ასე მარტივად არაა. მედია სინამდვილის რეპრეზენტაციაა და მისი გააზრებისთვისაც გვჭირდება თერმომეტრი, თუმცა, პრობლემათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ერთი უნიკალური თერმომეტრის შექმნა შეუძლებელია. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი პრობლემაა და მედიაც ამ პრობლემებს სხვადასხვა მხრიდან აშუქებს. მედია „გვაიძულებს“,

აღმოვაჩინოთ სიმართლე, ვიპოვოთ საჭირო თერმომეტრი, ან ბრმად მივყვეთ საინფორმაციო ნაკადებს და ვირწმუნოთ ის „სიმართლე“, რომელიც ინტენსიურად შუქდება. ვფიქრობ, ბევრი თერმომეტრის აღმოჩენა უმჯობესია, ვიდრე მედიის გზავნილების ტყვეობაში ყოფნა.

მედიაწიგნიერებაში გამოყენებული მიდგომები ძალიან ჰგავს საბუნებისმეტყველო კვლევის დროს გამოყენებულ სამეცნიერო მეთოდს. როგორც ბუნებისმეტყველებაში, მედიაწიგნიერებაშიც აუცილებელია ჰიპოთეზის შემოწმება და კრიტიკული აზროვნება.

მედიაწიგნიერმა ადამიანმა უნდა მოახერხოს ინფორმაციაში სიმართლის „ამოცნობა“. როგორ? რამდენიმე მარტივი მიდგომა არსებობს. პირველ რიგში, **აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მარკეტინგული ინტერესები და ინფორმაცია**. მედიაწიგნიერი ადამიანი სვამს კითხვებს: ვინ შექმნა ეს გზავნილი? რატომ შექმნა? ვინაა აუდიტორია? ვინ გადაიხადა ფული? ვინაა მოგებული ამ გზავნილის შედეგად? ვის მიადგა ზიანი? ის ასევე ეძებს პასუხებს ამ კითხვებზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მედიაწიგნიერების დანერგვას ფორმალურ სივრცეში, ასევე, გვწამს, რომ მედიაწიგნიერების დანერგვა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია მედიაწიგნიერების საჭიროება ყველა საგანში და სწავლების ყველა საფეხურზე. საგანმანათლებლო პოლიტიკა მწვანე შუქს უნთებს სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვის მსურველ მასწავლებლებს.

მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის!

სანამ განვმარტავდეთ, რა არის მედია, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ **მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის**. მედიაგანათლების ფარგლებში ცოდნას იღებენ ჟურნალისტები, ხოლო მედიაწიგნიერება არის ის კომპეტენცია, რომელიც გვჭირდება, რომ გავიკვლიოთ გზა ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში.

მედიაა ვიზუალური საშუალებებით, სიტყვებითა და ხმით გამოხატული ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მასობრივი აუდიტორიისთვის. მედიაა წიგნები, ჟურნალები, რადიო და სატელევიზიო გზავნილები, ფილმები, ვიდეო თამაშები, სოციალური მედია და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული გზავნილიც კი. საკლასო ოთახში მედიაა სახელმძღვანელო, პლაკატები და რუკები. მედიასაშუალება ფინანსებს ხარჯავს მასალის მომზადებაში, თუმცა რიგითი მოქალაქეებიც, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ საინტერესო მასალებს ქმნიან, ყოველგვარი ფინანსური ინვესტიციის გარეშე.

როგორ ჩავატაროთ „მედიაწიგნიერების“ გაკვეთილები?

თუ გადაწყვეტთ მედიაწიგნიერების მიდგომის ინტეგრირებას გაკვეთილზე, მაშინ მოგიწევთ კლასში პრობლემის მრავალმხრივი განხილვა, რისთვისაც აუცილებელია ქვემოთ მოცემულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

ყურადღება მიაქციეთ ფაქტების სისწორეს/სიზუსტეს – რა არის ამ ინფორმაციის წყარო? მეცნიერულად სანდოა? რატომ?

წაახალისეთ კრიტიკული აზროვნება – დაეხმარეთ მოსწავლეებს საკითხის მრავალი ასპექტის დანახვაში ისე, რომ არ მოექცნენ თქვენი შეხედულებების გავლენის ქვეშ. (დასვით საკითხი ასე: რას ამბობს მედია გლობალური დათბობის შესახებ? წყალდიდობის ან ღვარცოფის შესახებ? რომელია უფრო სანდო? რატომ?)

სამეცნიერო აზრისა და პირადი მოსაზრების გამიჯვნა – ჰკითხეთ მოსწავლეებს, რატომ ფიქრობენ, რომ ტარანტული შხამიანია? ან ღვარცოფის მიზეზი ახალი გზა იყო? ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ხუდონჰესი დაარღვევს ბუნებრივ წონასწორობას?

მეცნიერული არგუმენტები – როდესაც მოსწავლეების მოსაზრებებს შეიტყობთ, ჰკითხეთ მათ, რა არგუმენტები მოჰყავს ავტორს იმის დასასაბუთებლად, რომ ხუდონჰესი გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას? ან ღვარცოფი ახალმა გზამ გამოიწვია? სანდოა ეს არგუმენტები თუ გადამოწმება სჭირდება? როგორ არის ინტერპრეტირებული მონაცემები?

მედიაწიგნიერების გაკვეთილზე მნიშვნელოვანია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. დატოვეთ მოსწავლე პირისპირ მედიასთან, რომ კარგად გაეცნოს ინფორმაციას და არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ. შემდეგ მთელ კლასთან ერთად განიხილეთ საკითხი. საკითხის

გამოტანა?

გამოტანა

ერთობლივი განხილვა ხელს უწყობს აზრების გაცვლას, გააზრებას; მოსწავლეები იღებენ საჯარო ანალიზის გამოცდილებას.

მედიარესურსის განხილვის დროს შეარჩიეთ მედიაწიგნიერების მიზანი.

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- მედიაფორმების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

მედიარესურსის შერჩევა

მედიარესურსის შერჩევისას აუცილებელია შეფასდეს დოკუმენტის შესაბამისობა მოსწავლეების ასაკთან და გაკვეთლის მიზნებთან. წინასწარ შეაფასეთ მედიარესურსის სექსუალური, რელიგიური და სხვა შინაარსი. დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: გამოიწვევს ეს რესურსი გაკვეთილის მიზნების შესაბამის დისკუსიას? მედიის შერჩევისას იხელმძღვანელეთ პრინციპით „არ ავნო". უნდა შეარჩიოთ ისეთი შინაარსით მდიდარი მასალა, რომლის სწავლებაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. სანამ მედიას შეიტანთ და მოსწავლეები მის დეკოდირებას დაიწყებენ, მათ თემის საკვანძო საკითხები შესწავლილი უნდა ჰქონდეთ. მულტიმედიარესურსში შეიძლება მეცნიერული ცოდნა მწირი იყოს ან არასწორად იყოს წარმოდგენილი. მედიის გამოყენება შეგიძლიათ მხატვრული ნაწარმოების, პითაგორას თეორემის, საქართველოს კონსტიტუციის, გლობალური დათბობის ან ჟანგბადის მიმოქცევის სწავლებისას. მედიაწიგნიერების ინტეგრაცია აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას. საგაზეთო სტატიების, ვიდეოკლიპების, სიმღერების, ლექსებისა და სამეცნიერო ფანტასტიკის გამოყენება მოსწავლისთვის ერთგვარი სარკმელია; მას საშუალება ეძლევა, „გარედან" შეხედოს წარსულს და იწინასწარმეტყველოს მომავალი.

მედიაწიგნიერების ერთი საგაკვეთილო იდეა

ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, ღვარცოფი ძალიან გახშირდა; დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა საქართველოს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. ეროვნული სასწავლო გეგმით გეოგრაფიაში მერვე და მეცხრე კლასებში გათვალისწინებულია ბუნებრივ-კატასტროფული და გარემოსდაცვითი მოვლენების შესწავლა (ესგ, გეო.VIII.4. გეო.IX.1).

VIII კლასში მოსწავლეს მოეთხოვება ინფორმაციის მოგროვება კავკასიის ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე, გარემოსდაცვით პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ხოლო მეცხრე კლასში ესგ-ში მედიაწიგნიერებაა აქცენტირებული (გეო.IX.1). ერთ-ერთი ინდიკატორია: მოსწავლე „აგროვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელო, მასმედია და სხვა), მსჯელობს საქართველოს ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე (მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი და სხვა), გარემოსდაცვით პრობლემებზე და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე".

მედიაპროდუქტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მასწავლებლის გარდა ვინმემ განსაზღვროს, რომელ კლასში რომელი მედიარესურსის გამოყენებაა შესაძლებელი. მასწავლებელმა ყველაზე უკეთ იცის, როგორია მისი მოსწავლეების მზაობა, ასაკობრივი თავისებურებები და მათი გამოცდილება.

მოსწავლისთვის ყველაზე დიდი აღმოჩენაა, როდესაც საკლასო ოთახში ნასწავლს ცხოვრებას დაუკავშირებს და პიროვნულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებას შორის კავშირს დაინახავს. ღვარცოფზე ქართულ მედიაში მრავალი რესურსი შეიძლება მოიძიოთ.

გთავაზობთ ნეტგაზეთში 2014 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის „ორი ღვარცოფი სამ თვეში დარიალის ხეობაში" განხილვას მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენებით. სტატიის სრული ვერსია იხილეთ საიტზე: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35078/.

2014 წლის 17 მაისსა და 20 აგვისტოს დევდორაკის ხეობაში მეწყერი ჩამოწვა. შემდეგ ხეობაში ღვარცოფი მოვარდა. სტიქიური უბედურება ქართული მედიის ინტერესის საგანი გახდა. ამავე ხეობაში შენდება ჰესი, და სტიქიის მიზეზად ზოგიერთი სპეციალისტი მშენებარე ჰესს ასახელებდა. მედია ეძებს პრობლემის გამომწვევ მიზეზს და

ინტერვიუს იღებს სახელმწიფო სტრუქტურისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან. სტატიაში სამი რესპოდენტია: ჟურნალისტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი.

ჟურნალისტი გვიყვება ამბავს:

„20 აგვისტოს, საღამოს 22 საათზე, დევდორაკის ხეობაში ღვარცოფულმა ნაკადმა გაიარა. ეს ის ადგილია, სადაც 17 მაისს კლდოვან-ყინულოვანი მასა მოწყდა. ღვარცოფული გავლის შედეგად, 350-400 ათასი კუბი მიწა ჩამოვიდა, რის გამოც სამხედრო გზის მონაკვეთი მწყობრიდან გამოვიდა, ჩრდილოეთ-სამხრეთის 1200 მილიმეტრიანი მაგისტრალური გაზსადენი დაზიანდა, ასევე დაზიანდა ლარსის ჰესი, დაიტბორა ლარსის საბაჟო-გამშვები პუნტი და „დარიალ-ჰესის“ გვირაბი“.

სტატიაში დასმულია კრიტიკული კითხვა: რა გახდა ღვარცოფის მიზეზი და შესაძლებელი იყო თუ არა სტიქიის პროგნოზირება?

დეპარტამენტის უფროსის აზრით:

„არავითარი კავშირი „დარიალჰესის“ მშენებლობას დევდორაკის ღვარცოფთან არ აქვს. მშენებარე ჰესი მდებარეობს მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. რაც შეეხება დევდორაკს, ეს არის მარცხენა შენაკადი. ღვარცოფი, რომელიც ჩამოყალიბდა 17 მაისს, 11-ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული „დარიალჰესიდან“. 17 მაისის სტიქიის დროს ჰესის სატრანსპორტო გვირაბმა დადებითი როლი ითამაშა, ამ გვირაბმა გაატარა ქვაღორღოვან-ყინულოვანი მასა. მდინარე თერგის შეგუბება იმ მასშტაბებით არ მოხდა წყალსაცავის ქვედა დინებაში. ის, რომ ამ მშენებლობამ ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ღვარცოფულ მოვლენებზე და პროვოცირება მოახდინა, ეს გამორიცხულია. არ ყოფილა იმ დონის ტექტონიკური ძვრები“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი კი თვლის რომ:

„ჰესის მშენებლობა დარიალის ხეობაში სტიქიის მიზეზი ვერ გახდებოდა, თუმცა დევდორაკის ხეობა რისკის ზონაა და ამ ტერიტორიზე ჰესის მშენებლობა ადამიანების სიცოცხლეს მუდმივად შეუქმნის საფრთხეს. მდინარე დევდორაკის მყინვარიდან, ადრე თუ გვიან, 5-10 წელიწადში მაინც მოხდებოდა ზვავების ჩამოწოლა, ღვარცოფები, მეწყერები. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს ბრალია, როცა ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში არ თქვა, რომ ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენება არ შეიძლება. ეს არის საშიში იმ ადამიანების სიცოცხლისათვის, ვინც ჰესზე იქნება დასაქმებული და ასევე ეკონომიკურ მოგებას ვერ მოუტანს ინვესტორს, რაც უწერია ბიზნესგეგმაში, ვინაიდან მუდმივად იქნება სტიქიის საფრთხის ქვეშ ეს ენერგოობიექტი“.

ჟურნალისტი სვამს მეორე კითხვას:

შესაძლებელი იყო თუ არა 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ მოსალოდნელი სტიქიის პროგნოზირება და უნდა შეჩერებულიყო თუ არა „დარიალჰესის“ მშენებლობა დროებით მაინც?

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის აზრით:

„სტიქიის პროგნოზირება შეუძლებელი იყო: მსგავსი ტიპის ღვარცოფების თუ მეწყერების ჩამოყალიბებისთვის ყველა ღვაცოფული წყალსადინარი, ხევი იქნება თუ მდინარე, მათ შორის დევდორაკიც, პერიოდული აქტივიზაციით ხასიათდება. ეს აქტივიზაცია ოდესღაც შეიძლება ციკლურობას ემორჩილებოდა, მაგრამ დღეისათვის პრაქტიკულად არანაირ კანონზომირებას არ ემორჩილება. შეუძლებელია პროგნოზირება. ჩვენ ვიცით, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესი, მაგრამ დროში ამის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია“.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი კი თვლის, რომ:

„დარიალის ხეობაში 17 მაისის შემდეგ სტიქიის განმეორება მოსალოდნელი

> იყო: შეიძლება ვერ ეთქვათ, რა დროში მოხდებოდა სტიქია. ის, რომ მოხდებოდა, თავისთავად ცხადი იყო. 17 მაისს, როცა მასა მოწყდა მყინვარიდან, დაახლოებით 5 მილიონი კუბური მეტრი მიწა ჩამოვიდა. მთის ძირამდე ჩამოაღწია ერთმა მილიონმა კუბურმა მეტრმა და დროთა განმავლობაში დანარჩენიც წამოვიდოდა, რადგან ამ მიწის მასის გამოტანა ტექნიკით შეუძლებელია... 17 მაისის სტიქიის შემდეგ „დარიალჰესის" მშენებლობა ან უნდა შეეჩერებინათ, ან ობიექტის დროებით დაკონსერვება მომხდარიყო. საინტერესოა, რას აპირებენ? რაღაც პერიოდულობით უნდა გაწირონ ადამინები, რომლებიც ამ ჰესზე მუშაობენ? თანაც პროექტი ვერ იქნება ეკონომიკურად მომგებიანი: ჰიდროელექტროსადგური რამდენ დენს გამოიმუშავებს და რა ეკონომიკურ მოგებას მოიტანს - ეს არის დამოკიდებული მდინარის ჩამონადენზე. ანუ რამდენად სუფთა წყალი იქნება მომარაგებული. რაც უფრო მეტი ნატანი იქნება – ეს ნიშნავს, რომ ნაკლებ დენს გამოიმუშავებს ჰესი".

სტატიაში მოცემულია ფაქტი და ორი „სიმართლე". გაკვეთილის მიზანია ღვარცოფის მიზეზების კრიტიკული შეფასება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიის კრიტიკული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლე არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ. სთხოვეთ მოსწავლეებს, ინდივიდუალურად წაიკითხონ სტატია, ცალ-ცალკე განიხილონ დეპარტამენტის უფროსისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

პირველი საფეხური: ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა

ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის მიზნით მოსწავლეებს დაუსვით კითხვები:

რა ფაქტს ეხება დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებები?

როგორ ხდება ფაქტის ინტერპრეტაცია? არის მსგავსი მოსაზრებები გამოთქმული? რა განსხვავებაა გამოთქმულ მოსაზრებებს შორის?

მეორე საფეხური: მოსაზრებების შეფასება

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამიჯნავენ ფაქტსა და მოსაზრებას, სასურველია შეფასდეს სტატიაში მოყვანილი მოსაზრებები. დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

ვინ არის ავტორი? რა არის ამ მოსაზრების საფუძველი? რატომ?

სანდოობა: რომელი მოსაზრება ეფუძნება სანდო არგუმენტებს? რატომ ფიქრობთ, რომ მოსაზრების არგუმენტი სანდოა/არ არის სანდო?

ჩაიწერეთ პასუხები და გამოყავით საპირისპირო მოსაზრებები. მოსწავლეების ნაწილი დეპარტამენტის უფროსის მოსაზრებას ჩათვლის სანდოდ, ნაწილი კი – არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებას.

მესამე საფეხური: მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარება სამეცნიერო ცოდნასთან

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გააანალიზებენ სტატიას, სასურველია, კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ სამეცნიერო ცოდნას და გაიხსენონ, მეცნიერთა აზრით, რა იწვევს ღვარცოფებს; შეიძლება თუ არა მათი პროგნოზირება და როგორ ავირიდოთ თავიდან.

მოსწავლეები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ეკოლოგიურ საკითხებზე. შესაძლოა მოსწავლეთა ჯგუფმა მოამზადოს სტატია სასკოლო საზოგადოებისთვის; შესაძლოა ეს სტატია განთავსდეს ბლოგზე და ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის.

კიდევ ერთხელ, რატომ – მედიაწიგნიერება?

მედიაწიგნიერება მოსწავლეებს მოაზროვნეებად აყალიბებს. მედია ბევრ მითს ქმნის. ხშირად გააანალიზეთ პოპულარული მედია. დაუკავშირეთ მისი შინაარსი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მედიაწიგნიერების მიდგომებით გაკვეთილის ჩატარება ნიშნავს გაკვეთილზე მედიარესურსის განხილვასა და ახალი მედიარესურსის შექმნას; ხოლო განხილვა-შექმნის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა კრიტიკული და შემოქმედებითი საზროვნო უნარების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016
2. http://www.projectlooksharp.org/?action=kits ნანახია 2015 წლის 16 ივლისს;
3. http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35078/ ნანახია 2015 წლის 16 ივლისს.

წარმატება და სასწავლო პროცესი

მაია ფირჩხაძე

ადამიანის ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაციას, როგორც ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს, დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის წარმატებისთვის და განათლების მიზნების მიღწევისთვის (Skinner, 1904-1990). საინტერესო აქტივობები, რომლებიც მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციაზეა დაფუძნებული, მისი წარმატების გარანტიაა. წარმატების სიტუაციის შექმნა პედაგოგიური მოღვაწეობის უმთავრესი მიზანია (ფ. შლეხტე, 1997). მასწავლებლებმა გულდასმით უნდა შევარჩიოთ ის მეთოდები, რომლებიც შემეცნებას სასიხარულო და სასიამოვნო პროცესად გადააქცევს და მოსწავლეს წარმატების სიხარულს განაცდევინებს.

წარმატებასა და განათლებას შორის კავშირი ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (სქ.1):

განათლება

- ცოდნა
- შრომა
- წარუმატებლობის დაძლევა
- შეცდომების გათვალისწინება
- თანამშრომლობა
- საკუთარი აზრის ქონა

წარმატება

- მიზანი
- ქმედება
- წარმატება რაიმეს მიღწევაში
- სხვების აღიარება
- კარგი შეფასებები
- საკუთარი მიღწევები
- შედეგები

როგორ შევქმნათ წარმატების სიტუაცია კლასში? წარმატების სიტუაციის შექმნა მიზანმიმართული ქმედებაა, რომელიც წინასწარ მოფიქრებას, დაგეგმილ სტრატეგიას და ტაქტიკას ეფუძნება. მოსწავლის ცხოვრებაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარმატება მისი შინაგანი ძალის ერთადერთი წყაროა, რომელიც ბადებს ენერგიას სიძნელეების დაძლევისთვის და სწავლის სურვილისთვის. ამიტომ პედაგოგის მხარდაჭერა ასეთ დროს შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

წარმატების სიტუაციის შექმნის გზაზე

- **პირველი ეტაპია** – სიტუაციის შექმნის ეტაპი/ დავალების და წარმატების მოტივის ფორმულირება;
- **მეორე ეტაპია** – ორგანიზაციული ეტაპი/ მოსწავლის ინტელექტუალური და ემოციური მოტივაცია;
- **მესამე ეტაპია** – შეჯამების ეტაპი /მოსალოდნელი და რეალური შედეგების შეჯამება, როდესაც ფასდება არა მარტო პროდუქტი, არამედ მოსწავლის მცდელობაც და ძალისხმევაც.

ზოგადად, წარმატების სიტუაციის სახეებია:

მოსალოდნელი წარმატება, რომლის საფუძველია იმედი და რწმენა. თუმცა სასწაულები, როგორც ცნობილია, ცარიელ ადგილზე არ ხდება. ამიტომ მასწავლებლის მახვილი თვალი და სწორად დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეებს იმედი არ გაუცრუვდეთ და საერთოდ არ თქვან უარი წარმატებისთვის ბრძოლაზე;

წარმატების კონსტანტაცია, როდესაც მასწავლებელი აფიქსირებს მოსწავლის მიღწევას, უხარია მისი წარმატება. აქ მნიშვნელოვანია საერთო სასიამოვნო განწყობილების შექმნა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს აღიარების სიხარულს;

განმაზოგადებელი წარმატება, როდესაც წარმატება

გადაიქცევა აუცილებელ მოთხოვნილებად და დამატებით მოტივატორად. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეს ზუსტად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი შესაძლებლობები.

წარმატების ტიპები, ანუ წარმატების სიტაუციის კლასიფიკაცია ასეთია:

„ახდენილი ოცნება“ - მოსალოდნელი წარმატების მიღწევა/ შესაბამისი გზების და საშუალებების დასახელება;

„მოულოდნელი სიხარული“ – მოსალოდნელზე მაღალი წარმატების მიღწევა და ამ შედეგების განმტკიცება შემდეგი წარმატებისთვის სიტუაციის შექმნით;

„ოჯახური/საერთო სიხარული“ – ახლობლების ზომიერი მხარდაჭერა სასწავლო პროცესში;

„შემეცნების სიხარული“ – შემეცნებისგან მიღებული სიამოვნების განცდის განმტკიცება, ინტერესის ბოლომდე შენარჩუნება, შედარებით რთული დავალების მიცემა და არა – გადატვირთვა;

„წარმოსახვითი წარმატება“ – როდესაც მოსწავლე კმაყოფილია მცირედის მიღწევითაც; როდესაც მეტი შეუძლია, თუმცა ვერ ხედავს ამ შესაძლებლობებს;

„საშიში წარმატება“ – დაბალი აქტივობის პირობებში მოსწავლე ზედმეტადაა კმაყოფილი თავისი მიღწევებით და არ უნდა მეტად თავის გამოჩენა.

მოგვცემს თუ არა წარმატების აღიარება მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის თვალშისაცემ ეფექტს? მასწავლებელთა ნაწილი ჯერაც თვლის, რომ წარმატების აღიარება, შექება ან დაჯილდოება არა მხოლოდ ხელს არ უწყობს მოსწავლეთა მიღწევებს, არამედ აფერხებს მათ და აქვეითებს კიდეც მოტივაციას. სინამდვილეში კი წარმატების სიხარულის განცდა პედაგოგიკის ფსიქოლოგიაში აღიარებულია დამატებით მოტივატორად.

წარმატების აღიარების როგორი ფორმები უნდა გამოვიყენოთ ეფექტური შედეგისთვის?

ცნობილია, რომ შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო. გარეგანი მოტივაციისას კი მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მუდმივად წახალისებას და ჯილდოს მოელის **(კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.),** თუმცა ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა მოსწავლისათვის შესაძლებელია არც იყოს საინტერესო (ზოგადად, გარეგანი მოტივაცია და მასწავლებლის მხარდაჭერა იმ მოსწავლეებს სჭირდებათ, რომლებიც სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ და საამისოდ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა).

ჯილდომ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს, ან პირიქით, სულაც გაზარდოს მოტივაცია - ყველაფერი მაინც გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ჯილდომ შეიძლება მოსწავლეთა მოტივაცია შეამციროს, მაგრამ შეუძლებელია მან ყოველთვის უარყოფით გავლენა მოახდინოს შინაგან მოტივაციაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეიძლება ჯილდოს მიღებას მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე მაშინ ჰქონდეს უარყოფითი ზეგავლენა, როდესაც დავალების შესრულებისთვის ისე დაჯილდოვდება, რომ შეფასებული არ იქნება მის მიერ შესრულებული დავალების ხარისხი. რაც შეეხება შექებას, ის მოსწავლის აღიარების ყველაზე გავრცელებული ფორმაა, მაგრამ მისი შინაგანი მოტივაციის შემცირების მიზეზიც შეიძლება ისიც გახდეს.

მოსწავლის მომავალ მიღწევებს ეს საფრთხე მაშინ დაემუქრება, როდესაც ადვილი დავალების შესრულებისთვის შეაქებენ. ასეთ შექებას მოსწავლეები, როგორც წესი, დაუმსახურებლად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, ადვილი დავალების შესრულებისთვის მიღებულმა შექებამ მოსწავლეს შესაძლოა საკუთარ შესაძლებლობებზე დაბალი წარმოდგენაც კი შეუქმნას. ასეთივე საფრთხე იქმნება მაშინაც, როცა მასწავლებლები არასისტემურად და არათანაბრად უნაწილებენ მოსწავლეებს შექებას.

შესაბამისად, მოსწავლის წარმატების აღიარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დროისა და პირობების გათვალისწინება:

- **ჯილდო ყველაზე ეფექტური მაშინაა, როცა მისი მიღება აკადემიური მოსწრების გარკვეული სტანდარტის მიღწევას უკავშირდება:**

მასწავლებლები მოსწავლეებს გარკვეული სავარჯიშოს

დასრულებისათვის არ უნდა დაპირდნენ ჯილდოს. დავალების დასრულებისათვის მოსწავლეთა დაჯილდოება არ ზრდის მათ შინაგან მოტივაციას და შეიძლება მისი შესუსტებაც კი გამოიწვიოს. მოსწავლეებს გაუჩნდებათ განცდა, რომ მათ „უხდიან" იმისათვის, რომ კონრეტული დავალების შესრულებაში ჩაებნენ. დავალების წარმატებით შესრულებისათვის მოსწავლეთა დაჯილდოება კი, პირიქით, ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებელმა კონკრეტული სტანდარტის მიღწევაში მოსწავლის წარმატების აღიარების დროს ხაზი უნდა გაუსვას მის პიროვნულ დამსახურებასაც, რაც ასევე დამატებითი მოტივატორია.

აბსტრაქტული, სიმბოლური აღიარება უფრო ეფექტურია, ვიდრე ხელშესახები ჯილდო:

მოსწავლეთა აღიარების აბსტრაქტული, სიმბოლური ფორმა უფრო ეფექტურია, ვიდრე ხელშესახები ჯილდო. მართალია, მატერიალურმა დაჯილდოებამაც კი შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს მოსწავლის მოტივაციაზე, მაგრამ ეს – მაშინ, როცა ხელშესახები ჯილდოს მიღება კონკრეტული დავალების წარმატებით (გარკვეული სტანდარტის შესაბამისად) შესრულებას დაუკავშირდება. მასწავლებელმა აღიარების ასეთ ხელშესახებ ფორმად შეიძლება სასაჩუქრე ბარათები, სტიკერები, ჯილდოები და მცირე საჩუქრები გამოიყენოს. ზოგადად, ხელშესახები ჯილდო არ ითვლება მოტივაციის ამაღლების ეფექტურ საშუალებად.

სხვა შემთხვევაში, რაც უფრო სიმბოლური, აბსტრაქტულია წარმატების აღიარების ფორმა, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე. როდესაც ადამიანების შესაფასებლად შექებასა და პოზიტიური შეფასების სხვა ფორმებს თუნდაც დროებით იყენებენ, მათი შეწყვეტის შემდეგ ადამიანები საქმისადმი ინტერესს მაინც ამჟღავნებენ, მაგალითად, სიტყვიერი შექება გარე მოტივატორია, რომელიც დამოკიდებულებების და ქცევის პოზიტიურ ცვლილებას იწვევს.

მოსწავლის წარმატების აღიარება შესაძლებელია სწავლის ნებისმიერ საფეხურზე, ნებისმიერ კლასში და ნებისმიერ საგანში, რასაც შედეგად მოსდევს არა მარტო პროდუქტის განხილვა, არამედ იმ გზებისა და საშუალებების მიმოხილვაც, რომლების დახმარებითაც შეძლო მოსწავლემ წარმატების მიღწევა.

როგორ შევაქოთ მოსწავლე?

განვიხილოთ ეფექტური შექების სახელმძღვანელო პრინციპები.

ეფექტური შექება

1. დამოკიდებულია გარემოებებზე /შევაქოთ მცდელობისათვის;
2. აკონკრეტებს მიღწევებს/ მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ, რატომ ვაქებთ;
3. მრავალფეროვნებას, სპონტანურობასა და დამაჯერებლობის სხვა ნიშნებს ამჟღავნებს; ადასტურებს იმას, რომ ყურადღება ექცევა მოსწავლის მიღწევებს/შევაქოთ გამოყენებული საშუალებებისთვის

„წარმატების სიტუაციის შექმნა მიზანმიმართული ქმედებაა, რომელიც წინასწარ მოფიქრებას, დაგეგმილ სტრატეგიას და ტაქტიკას ეფუძნება."

მოსწავლის წარმატების აღიარება შესაძლებელია სწავლის ნებისმიერ საფეხურზე, ნებისმიერ კლასში და ნებისმიერ საგანში, რასაც შედეგად მოსდევს არა მარტო პროდუქტის განხილვა, არამედ იმ გზებისა და საშუალებების მიმოხილვაც, რომლების დახმარებითაც შეძლო მოსწავლემ წარმატების მიღწევა.

და არა მხოლოდ მიზნის გამო;

4. იმ დაფასების გამოხატულებაა, რომელიც კონკრეტული კრიტერიუმების მიღწევას უკავშირდება (რაც შეიძლება ძალისხმევასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს გულისხმობდეს);
5. მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას მათი კომპეტენციის ან მიღწევის შესახებ/ შევაქოთ ქმედება და არა პიროვნება;
6. ხელს უწყობს მოსწავლის ორიენტაციას დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ ქცევასა და პრობლემების გადაჭრაზე/ ყურადღება გავამხვილოთ კარგზე;
7. მოსწავლეების წინა მიღწევებს იმისთვის იყენებს, რომ მათი ამჟამინდელი მიღწევები აღწეროს;
8. მოსწავლე შექებას რთული დავალების წარმატებით შესრულებისთვის ან შესასრულებლად გაღებული ძალისხმევისთვის იღებს/ შევაქოთ შედარების გარეშე;
9. წარმატებას ძალისხმევასა და უნართან აკავშირებს; მიანიშნებს მოსწავლეს, რომ მას ანალოგიური წარმატების გამეორება მომავალშიც შეუძლია/ მაგრამ ერთ მოსწავლეს ნუ დავუპირისპირებთ მთელ კლასს;
10. მოსწავლეებს უღვივებს იმის რწმენას, რომ მათ დავალებაზე მუშაობა სიამოვნებთ, ან მნიშვნელოვან უნარებს უვითარებს;
11. მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციას დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ ქცევაზე ახდენს/ განვამტკიცოთ შექება;
12. მოსწავლეებს უვითარებს დავალების შესრულებასთან დაკავშირებული უნარების დაფასების გრძნობას/ გამოვიყენოთ „მე – გზავნილი“.

არაეფექტური შექება

1. მას იძლევიან შემთხვევით ან არასისტემატურად;
2. მხოლოდ ზოგად პოზიტიურ რეაქციას ამჟღავნებს;
3. ადვილად შესამჩნევია, რომ მოსწავლეს დიდი ყურადღება არ დაუთმია დავალებისთვის;
4. აფასებს მონაწილეობას და ყურადღებას არ აქცევს პროცესებსა და შედეგებს;
5. არ აწვდის მოსწავლეებს არანაირ ინფორმაციას მათი სტატუსის შესახებ;
6. ხელს უწყობს მოსწავლეებს, იფიქრონ სხვა მოსწავლეებთან კონურენციაზე;
7. სხვა მოსწავლეების მიღწევებს იმისათვის იყენებს, რომ კონკრეტული მოსწავლის მიღწევები აღწეროს;
8. მოსწავლეს იმის გაუთვალისწინებლად ეძლევა, თუ რა ძალისხმევა გაიღო მან დავალების შესასრულებლად;
9. წარმატებას მხოლოდ უნარს ან გარეშე ფაქტორებს უკავშირებს; გარეშე ფაქტორებში იგულისხმება იღბალი ან დავალების სიმარტივე;
10. მოსწავლეებს იმის გრძნობას უღვივებს, რომ დავალებაზე გარე ფაქტორების გამო მუშაობენ – მასწავლებლის დასაკმაყოფილებლად, შეჯიბრების მოსაგებად ან ჯილდოს მისაღებად და ა.შ.
11. მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციას ახდენს მასწავლებელზე, როგორც ფაქტორზე, რომელიც მოსწავლეებით მანიპულირებს;
12. მოსწავლეებს არ აძლევს საშუალებას, ყურადღება მხოლოდ დავალების შესრულებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებისკენ მიმართონ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. მოსწავლეთა წარმატების აღიარების ტექნიკის გამოყენება ზრდის მათ აკადემიურ მიღწევებს, სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. ისინი უკეთესად სწავლობენ და უფრო მეტი ენერგიით ცდილობენ მიზნის მიღწევას.

მასალის გამოკითხვა – მიდგომები

მანანა ბოჭორიშვილი

მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალის გამოკითხვა სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უნივერსალური საშუალებაა. მისი სისტემატურობა მოსწავლეს ეხმარება ცოდნის გაუმჯობესებაში. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გამოკითხვისას ამა თუ იმ მიდგომის შესაბამისი სტრატეგიის არჩევა მრავალ ასპექტზეა დამოკიდებული. გამოკითხვის პროცესისათვის კითხვების მოსამზადებლად მასწავლებელმა, უპირველესად, უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის კითხვები რა გავლენას ახდენს მოსწავლეზე და, ზოგადად, კლასზე. დაწერილი გაკვეთილის გეგმა, სადაც ჩამოთვლილია ძირითადი კითხვების სია, ეხმარება მასწავლებელს, კარგად განსაზღვროს გაკვეთილის სტრუქტურა. სასურველია ისეთი კითხვების გამოყენება, რომლებიც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, უფრო მეტი მოსწავლე ჩართოს გაკვეთილის პროცესში.

ამ სტატიაში განვიხილავთ მასალის გამოკითხვის დროს გამოყენებული შეკითხვების ტიპებს, რომლებიც შეესაბამება გამოკითხვის ოთხ ძირითად მიდგომას:

1. კრებითი, კორვენგენციული შეკითხვები;
2. გავრცობითი შეკითხვები;
3. შეფასებაზე ორიენტირებული შეკითხვები;
4. რთული საზროვნო შეკითხვები.

კრებითი (კონვერგენციული) შეკითხვები – ძირითადად ვიწრო მიზნებისთვის გამოიყენება. ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლის პასუხი უნდა ეხებოდეს კონკრეტულ, ძირითად თემას. კრებითი კითხვები მოითხოვს მოკლე პასუხებს და საჭიროებს აზროვნების შედარებით დაბალ დონეს, ანუ გამოიყენება ცოდნის შესამოწმებლად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრებითი შეკითხვები უსარგებლოა. ბევრ სიტუაციაში არსებითია იმის გაგება, თუ რა იციან მოსწავლეებმა ამა თუ იმ ფაქტის შესახებ.

როდის არის კონვერგენციული შეკითხვების საშუალებით გამოკითხვა შესაფერისი?

თუ მასწავლებელი იყენებს სწავლების ინდუქციურ მეთოდს (მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეებს საკუთარი დასკვნები გამოაქვთ), მაშინ ის სვამს მთელ რიგ კრებით კითხვებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ მოკლეპასუხიანი კითხვებიც, როგორც ერთგვარი გამააქტიურებელი, მოტივაციის გამაძლიერებელი სავარჯიშო. უცხო ენის მასწავლებლები ხშირად იყენებენ კრებით, მოკლეპასუხიან კითხვებს მოსწავლეების ზეპირი მეტყველებისა და მართლწერის განსავითარებლად. ეს ტექნიკა მოსწავლეების მონაწილეობასაც გულისხმობს. იგივე მეთოდი შეიძლება მათემატიკის ან ფიზიკის მასწავლებელ-

გამოტანა?

მა ტექნიკური უნარ-ჩვევების განსავითარებლად გამოიყენოს. მაგალითად, ბიოლოგიის მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისში შეიძლება დასვას კრებითი კითხვები და ამით მიიპყროს კლასის ყურადღება. ამ მიდგომის დროს კითხვები ორ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ავიწროებდეს შესაძლო პასუხების რაოდენობას;
2. უფრო მეხსიერების/ცოდნის შემოწმებაზე იყოს ორიენტირებული, ვიდრე ანალიტიკურ აზროვნებაზე.

კონვერგენციული შეკითხვების მაგალითები:

- რომელ ნაშრომებში გამოიყენა რობერტ ბრაუნინგმა დრამატული მონოლოგი, როგორც ლექსის ფორმა?
- რა პირობებში ადუღდება წყალი 100°C -ის ქვემოთ?
- რის საშუალებით ფუვდება პურის ცომი?
- რატომ ცხოვრობს შედარებით ნაკლები ხალხი უდაბნოში?
- სად და როდის აშენდა ფორტი ტაიკონდეროგა?
- რას უდრის ხუთი მესამე ხარისხში?

გავრცობითი კითხვები – გავრცობითი კითხვები კრებითი კითხვების საპირისპიროა. კონკრეტული პასუხების ნაცვლად, ეს მიდგომა მოსწავლეებისგან უფრო მრავლისმომცველ და გრძელ პასუხებს მოითხოვს. გავრცობითი ტექნიკა იდეალურია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც თავდაჯერება სჭირდებათ, რადგან გავრცობით კითხვებს ყოველთვის არ აქვს სწორი ან არასწორი პასუხები. პრაქტიკოს მასწავლებლებს ხშირად ურჩევენ: თუ გსურთ, თქვენი მოსწავლეებისაგან მიიღოთ მრავალფეროვანი პასუხები, შეგიძლიათ გამოიყენეთ გავრცობითი კითხვები. გამოკითხვისას



ეს საკმაოდ გამოცდილი და ეფექტური მიდგომაა. ის ეფექტურია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სირთულეებს აწყდებიან სწავლისას. ამ გზით მათ კლასში ცოდნის გამომჟღავნებისა და თავის გამოჩენის შესაძლებლობას ეძლევათ.

თავისუფლად აზროვნების უნარისა და ვრცელი პასუხების გაცემის უნარის ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. როდესაც მოსწავლე რამდენიმე სასწავლო წლის განმავლობაში მიეჩვია მოკლე და ზუსტ პასუხებს და მასწავლებელს სურს, ის შეაჩვიოს უფრო რთულ კითხვებს, ამისთვის ხანგრძლივი პერიოდია საჭირო. გავრცობით კითხვებზე პასუხი მოსწავლეებისაგან მოითხოვს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოპოვებას და ამ წყაროებიდან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას, საკუთარი აზრის გამოხატვას.

გავრცობითი კითხვების მაგალითები:

- 1492 წლის 12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბის მანჰეტენის კუნძულზე გადასვლა, სოციალური და კულტურული კუთხით, როგორ განვითარებას გამოიწვევდა?
- რა მოხდებოდა სკოლაში კომპიუტერებისა და ინტერნეტის გარეშე?
- ახსენით, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ რომანტიკოს პოეტებს ბუნებასთან?
- თქვენი აზრით, რა ეფექტური მეთოდები არსებობს, რაც ხელს უწყობს კაპიტალისტური ქვეყნების ხანგრძლივ განვითარებას?
- გლობალური დათბობის ოპონენტი რომ იყოთ, რა მტკიცებულებებს მოიყვანდით საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად?
- რატომ აშენდა ფორტი ტაიკონდეროგა ტბა ჩემპლეინზე?

შეფასებითი კითხვების გამოყენებით გამოკითხვა

დაფუძნებულია გავრცობით მეთოდზე, მაგრამ მას ემატება ერთი ახალი კომპონენტი – შეფასება. გავრცობით კითხვასა და შეფასებით კითხვას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შეფასებითი კითხვები ეფუძნება შეფასებით კრიტერიუმს. მაგალითად, შეფასებითი კითხვა შეიძლება ითხოვდეს იმის განსაზღვრას, თუ რატომ არის რაღაც კარგი ან ცუდი, რატომ არის რაღაც მნიშვნელოვანი, ან რატომ ხსნის ერთი რომელიმე თეორია კონკრეტულ საკითხს სხვა თეორიებზე უკეთესად. შეფასებითი კითხვის ფორმირებისას არსებითია ის, თუ რომელმა მოსწავლემ უნდა გააკეთოს დასკვნა. როგორც გავრცობით კითხვებზე, შეფასებით კითხვებზეც ყველა მოსწავლის პასუხი უნდა მიიღოთ. ამ დროს მასწავლებლის ძირითადი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს შეფასებისას ლოგიკური აზროვნების გამოყენებაში. მაგალითად, მასწავლებელი სვამს კითხვას და მოსწავლე პასუხობს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება: „რატომ?“ და მოსწავლე პასუხობს: „იმიტომ“. ამ პასუხით მასწავლებელი მაშინვე უნდა მიხვდეს, რომ მოსწავლემ არ იცის, როგორ ჩამოაყალიბოს ლოგიკური, თანმიმდევრული შეფასებითი პასუხი. ამ დროს აუცილებელია მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს ლოგიკურად აზროვნებაში. მან შეიძლება შესთავაზოს რამდენიმე შეკითხვა:

- რა მოხდება, თუ ვინმე დანაშუალს ჩაიდენს?
- რა მოხდება, თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება?

ზოგიერთი მოსწავლე შეიძლება დააბნიოს კითხვამ: „რატომ?“ ასეთ შემთხვევაში ამ კითხვის ნაცვლად უნდა დასვას კითხვა: „რა?“ მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილზე ფონების განხილვისას მასწავლებელმა შეიძლება იკითხოს: „როგორც წესი, რა ტიპის ფონს იყენებს ვან გოგი?“ შეიძლება ამგვარად ფორმირებული კითხვა უკეთესი იყოს, ვიდრე შემდეგი ვარიანტი: „რატომ გამოიყენა ვან გოგმა ეს ფონი?“ ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მტკიცებულების სიმძიმე მოსწავლიდან საკითხზე გადავიტანოთ.

შეფასებაზე ორიენტირებული პასუხები კარგად გადმოსცემს მოსწავლის აზროვნების ფართო სპექტრს. მასწავლებელს შეუძლია დააწყოს ისინი ლოგიკური განვითარების, თანმიმდევრულობისა და დასაბუთების მიხედვით. კიდევ ვიმეორებთ: მიიღეთ ყველას პასუხი. თუ აშკარა შეუთავსებლობას წააწყდებით, ნუ იჩქარებთ მის საჯაშკარაოზე გამოტანას. განიხილეთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს გაკვეთილში.

შეფასებითი კითხვები:

- რატომ გახდა მსოფლიო უკეთესი (უარესი) კომპიუტერის და ინტერნეტის გამოგონების შემდეგ?
- ჰიბრიდულ ავტომობილებზე გადასვლის რა მიზეზები შეგიძლიათ დაასახელოთ?
- რა დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა შეგიძლიათ იმის შესახებ, რომ ქვეყნის შიდა

გამოტანა?

- გზების ასეთმა სისტემამ დააზიანა ჩვენი ქალაქის გარემო?
- დაიცავით (ან გააკრიტიკეთ) ალასკაზე ნავთობის მოპოვება. რატომ არის გლობალური დათბობა კრიტიკული საკითხი?
- რატომ გახდა ფორტ ტაიკონდეროგას ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანი ადრეული კოლონიალური განვითარებისთვის?

შედეგზე ორიენტირებული შეკითხვები საფუძველს კლასიკური, სოკრატესეული გამოკითხვის მეთოდიდან იღებს. შედეგზე ორიენტირებული კითხვები იწვევს მრავალფეროვან პასუხებს, ისევე როგორც გავრცობითი კითხვები. ძირითადი განსხვავება ამ მეთოდსა და დანარჩენებს შორის არის ის, რომ შედეგზე ორიენტირებული კითხვების მთავარ მიზანს წარმოადგენს, განუვითაროს მოსწავლეს მაღალი დონის აზროვნების უნარი: გაარკვიოს მოტივი, გააკეთოს შედარებები, იმსჯელოს მიზეზებზე, გაიაზროს გავლენა ან განსაზღვროს შედეგები. „რატომ“ ან „რა“ კითხვების დასმის ნაცვლად, როგორც ეს შეფასებითი მეთოდის დროს იყო, მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, იფიქრონ, იმსჯელონ შედეგზე, გამოიტანონ დასკვნები.

შედეგზე ორიენტირებულ სტრატეგიაზე დაფუძნებული აზროვნების დროს ხდება:

- მოტივების ძიება;
- ხედვის გაფართოება;
- დასკვნების გამოტანა;
- გაუთვალისწინებელი შედეგების ძიება;
- პრობლემების დასმა;
- დამაჯერებელი ტექნიკის ანალიზი;
- აზრის ინტერპრეტირება;
- განმტკიცებული აზრის ეჭვქვეშ დაყენება;
- ასეთი ტიპის კითხვები იწვევენ ვრცელ, კარგად გააზრებულ პასუხებს.

შედეგზე ორიენტირებული კითხვები:

- ჩამოაყალიბეთ „ბედის მანიფესტის“ ახლებური (21-ე საუკუნის) ინტერპრეტაცია. რა პრობლემები რჩება გადაუჭრელი სკოლაში, დაცვის სამსახურის არსებობის მიუხედავად?
- ჩამოთვალეთ რაციონალური არგუმენტები სკოლის შიდა აქტივობების მხარდასაჭერად. რა ტიპის პრობლემები უნდა გავითვალისწინოთ იმ შემთხვევაში, თუ მდგრადი განვითარების კურსი სავალდებულო გახდება მეცხრეკლასელებისთვის?
- თქვენი აზრით, რომელი ღირებულებებია მნიშვნელოვანი ჩვენი სკოლისთვის?
- რა დაშვებები გავაკეთეთ შიდა ავტომაგისტრალის სისტემის მშენებლობისას?
- რა გავლენა მოახდინა პერსონალური კომპიუტერის ქონამ ჩვენს სასკოლო კურსებზე?
- რა მეტაფორებს ხმარობენ მე-19 საუკუნის მწერლები ჩვენი ქვეყნის აღწერისას და რას გულისხმობენ ისინი?

ციფრული სამყაროს ემიგრანტები ადგილობრივი მაცხოვრებლების შველას ითხოვენ

ეკატერინე ყიფიანი

მოსწავლეებს საყვარელ ტელესერიალზე მოკლე მიმოხილვის დაწერას თუ დაავალებთ, აუცილებლად გთხოვენ, ტელესერიალის ნაცვლად საყვარელი ინტერნეტ-თამაში აღწერონ.

თუ იდეალური წესრიგია კლასში, მერხებს შორის ჩამოიარეთ და დარწმუნდებით, რომ ამ სიწყნარეს ქმნის ინტერნეტში ჩართული მობილური ტელეფონები, რომლებიც მოსწავლეებს ჩანთებისთვის ამოუფარებიათ და ჩაჰკირკიტებენ.

ადრე მეგონა, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, ახლა კი ვიცი, რომ მათი საუკეთესო მეგობარი ონლაინ-თამაშებია. ამ თამაშებით მათი გატაცება სახიფათოდ გამოიყურება. მშობლები წუხან, რომ მათ შვილებს აღარ შეუძლიათ სკოლაში სიარული, რადგან ღამეს კომპიუტერთან ათენებენ, დილით კი დასაძინებლად მიდიან. აღარც საყვარელი სპორტის გახსენება შველით, მისთვისაც აღარ რჩებათ დრო. სადილსაც კომპიუტერის წინ მიირთმევენ. თუ ინტერნეტი გაუთიშეთ, მათი სიმშვიდე მყისვე ქრება და აგრესიულად გამოხატავენ პროტესტს.

ბავშვებს და ზრდასრულებს სჯერათ, რომ კომპიუტერული თამაშები მათ ინტელექტს ავითარებს. სამწუხაროდ, აზროვნების ასეთი განვითარება ხელს უშლის მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, სოციალიზაციას და პიროვნულ განვითარებას.

ჟურნალისტ კლაუს ვილჰელმთან ჩაწერილ ინტერვიუში ფსიქიატრი ბერტ ტე ვილდტი, რომელიც ამავდროულად მედიის და არასწორი მიდრეკილებების მკვლევარია, საინტერესოდ აფასებს ინტერნეტზე დამოკიდებულებას და გასაგებად აღწერს იმ საფრთხეს, რაც უმთავრესად ჩვენს მომავალ თაობას ემუქრება, რადგან ჩვენ ციფრული სამყაროს ემიგრანტები ვართ, ბავშვები კი ამ სამყაროს ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან. კიბერსივრცე მათი მეორე საარსებო გარემოა და თან მათი პიროვნების შემავსებელი ნაწილი. ინტერნეტის გარეშე ისინი საკუთარ არსებობას ვერ შეიგრძნობენ. Facebook და ცნობილი ინტერნეტ-თამაში World of Warcraft მათი სხეულის გაგრძელებაა. ვირტუალურ იდენტობასთან კავშირის გაწყვეტა მათთვის არარსებობის ტოლფასია. ასეთია ბავშვების რეალური შეგრძნება.

ქსელური თამაშებისადმი ლტოლვა ქცევის დარღვევაა

ინტერნეტზე დამოკიდებულება დაავადების სახით ჯერ არაა შეტანილი ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-5), რადგან მისი ისტორია სხვა დარღვევებთან შედარებით ძალიან ხანმოკლეა. თუმცა, როცა კვლევის ობიექტად აირჩიეს კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება, აღმოჩნდა, რომ ის ყოველმხრივ მიეკუთვნება ისეთ ქცევით დარღვევას, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს.

ინტერნეტზე დამოკიდებულებასა და წამალზე დამოკიდებულებას შორის ბევრი საერთოა.

ბავშვისთვის აუცილებელია როგორც ციფრულ სამყაროში ორიენტირება, ასევე ჯანსაღი სულიერი და ფიზიკური განვითარება რეალურ გარემოში. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კომპიუტერისა და ინტერნეტის გარეშე ისინი ბევრის შემძლენი არიან და არსებობას განაგრძობენ.

ორივე შემთხვევაში ადამიანები კარგავენ ქცევის კონტროლის უნარს. სურთ, თავი დაანებონ სახიფთო ქმედებას, რაც შეუძლებელი ხდება. ორივე შემთხვევაში დოზაზე მოთხოვნილება იზრდება, რათა განიცადონ დაკმაყოფილების სასურველი შეგრძნება. თუ წამალი აღარ აქვთ, ეწყებათ დეპრესია ან აგრესიულად იქცევიან. დეპრივაციის შემდეგ ზოგს ცივი ოფლი ასხამს შუბლზე, კანკალებს და ღამე ვერ იძინებს. ნებისმიერ ქცევით დარღვევას უნდა ჰქონდეს უარყოფითი ეფექტი ცხოვრების რომელიმე სფეროზე, სხვა შემთხვევაში ის ქცევით დარღვევად არ ჩაითვლება. ინტერნეტზე დამოკიდებულების დროსაც არის ასეთი უკუჩვენება: მოსწავლეები უარს ამბობენ სკოლაზე, სხვებს პრობლემები უჩნდებათ სკოლასა თუ სამსახურში, თანაკლასელებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან, მშობლებთან. ისინი აუტანლები ხდებიან. პირდაუბანელები და დაუვარცხნელები უსხდებიან კომპიუტერს. აღარ ზრუნავენ საკუთარ სხეულზე. აკლიათ მოძრაობა, ჯანმრთელი საკვები, სინათლე.

ვირტუალურ სამყაროში გაჩნდა სხვა ქცევითი დარღვევებიც, მაგ., აზარტული თამაშებისადმი ლტოლვა, შეძენის ლტოლვა. დადგენილია, რომ ალკოჰოლსა და წამლებზე დამოკიდებულ ადამიანებს აწუხებთ იმგვარივე თანმხლები დაავადებები (დეპრესია, ფობიები, ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი – ADHD), როგორიც ინტერნეტზე დამოკიდებულებს. ცნობილია ისიც, რომ ინტერნეტზე დამოკიდებულების დაძლევის შემდეგ ADHD პაციენტებს უვითარდებათ სხვა სახის მიდრეკილებები, რადგან მათ აქვთ განწყობა ამგვარი ქცევის დარღვევებისადმი. შესაძლებელია, რომ დეპრესია და ფობიები გამოიწვიოს რაიმე ამგვარმა ქცევის დარღვევამ, მაგალითად ინტერნეტზე დამოკიდებულებამ. როდესაც ბავშვი ადრეულ ასაკშივე ხდება ინტერნეტის „მსხვერპლი“ და უვითარდება მასზე დამოკიდებულება, ცხადია, ის ვერ ახერხებს რეალურ სამყაროში თავის შესაძლებლობების დაფასებას, ვერ უვითარდება უსაფრთხოების შეგრძნება. ბოლოს რთულია იმის დადგენა, რა უსწრებდა წინ: ინტერნეტისადმი ლტოლვა თუ დეპრესია. ბერტ დე ვილტი წერს, რომ ფსიქოლოგებმა უკვე იციან ის პიროვნული მახასიათებლები, ანუ რისკფაქტორები, რომლების არსებობის შემთხვევაშიც მოსალოდნელია, რომ ადამიანს განუვითარდეს ინტერნეტზე დამოკიდებულება ან სხვა სახის ქცევის დარღვევა. ასეთი ადამიანები გამოირჩევიან იმპულსურობით, ვერ იტანენ იმედგაცრუებას, ვერ აკონტროლებენ ემოციებს და აქვთ დაბალი თვითშეფასება.

ქსელური თამაშები და განმტკიცების სისტემა

როგორც ირკვევა, გადამწყვეტი როლი აკისრია განმტკიცების სისტემას და მის მექანიზმებს, დაჯილდოებას. ქსელურ თამაშებში ყოველი ნაბიჯი იზომება და აღირიცხება წარმატება თუ წარუმატებლობა. თამაშები ისეა შედგენილი, რომ წარმატების ალბათობა უფრო მაღალია. წარმატება იწვევს სიამოვნების განცდას. ამ დროს თავის ტვინში ხდება ენდორფინების გამოყოფა, რის შედეგადაც ადამიანს ეუფლება ხანმოკლე ნეტარების განცდა. სიამოვნების განცდა არის დაჯილდოება. ამავე დროს ტვინის სპეციალურ უბანში ხდება დოფამინის გამოყოფაც, რაც განხორციელებული ქცევის განმტკიცებას იწვევს.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

სად არიან შვილები, შვილები სად არიან

დავით გორგილაძე

თავის დროზე, მაკოლეი კალკინი რომ ვარსკვლავი იყო, ვარსკვლავი ისეთი უნდა – 1990-იანების კუმირი, რომლის პერსონაჟისაც ყველა ვაზისუბნელ ბავშვს გვშურდა. ბავშვი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა: საკუთარი ოთახი დიდ, ლამაზსა და კეთილმოწყობილ სახლში (მგონი მაშინ პირველად გავიგე, რომ ბავშვს შეიძლებოდა თავისი ოთახი ჰქონოდა); ყველანაირი სათამაშო; ტირის თოფი; ნაირ-ნაირი ტანსაცმელი... მაგრამ თავგადასავლები უყვარდა ამ სიყვარულის გამო დაამახსოვრა თავი მსოფლიოს..

„მარტო სახლში", რომელსაც კრის კოლუმბუსმა საბავშვო ფილმობა დაანათლა, სინამდვილეში ყველა ასაკის მაყურებლის კინო აღმოჩნდა. მისი მთავარი გმირის – კევინ მაკალისტერის როლის შემსრულებელი მაკოლეი კალკინი მაშინ ათი წლის ბიჭი იყო, ახლა ოცდათოთხმეტისაა და დიადი, თუმცა ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, დეპრესია უტევს ხოლმე.

90-იანების შუაწელში მაკოლეი დაიკარგა. სულ მეფიქრებოდა, სად წავიდა ეს ბიჭი. მოგვიანებით, როცა გადაკარგული ვარსკვლავის ასაკი ხალხმა პირველი კლასის არითმეტიკის დახმარებით გადათვალა და მიხვდა, რომ მან სრულწლოვანებას მიაღწია, ჭორებმაც არ დააყოვნა და ხან ის მესმოდა გამოუსწორებელი ნარკომანი გახდაო, ხანაც თავის მოკვლა სცადაო. ცოტი ხნის წინ კი, სულაც ის ამბავი გაავრცელეს წონიანმა მედიასაშუალებებმა, რომ მაკოლეი ნარკოტიკის ზედოზირებით გარდაიცვალა.

„საკუთარ თავზე უამრავი ჭორი მსმენია. ერთხელ ჩემი ადვოკატი მირეკავს და მეუბნება: „ოჰო, მაკ, ისევ ცოცხალი ხარ? მე კი ვპასუხობ: „კი, რა თქმა უნდა, დივანზე ვზივარ". „ახლა დამირეკეს CNN-დან მითხრეს, რომ ნარკოტიკების ზედოზირებით დაიღუპე" – მითხრა ადვოკატმა". ეს ციტატა ჟურნალ Esquire-ის ელექტრონულ ფურცლებზე, მაკოლეი კალკინის ინტერვიუში წავიკითხე და ამ 34 წლის ბავშვის შესახებ ბევრი რამ გახდა ჩემთვის ცხადი. ისიც კარგად გავიგე სად დაგვეკარგა, რა გზას დაადგა. ეს ინტერვიუ ერთდროულად ღიმილისმომგვრელი და ნაღვლიანი წასაკითხი აღმოჩნდა ჩემთვის.

არადა, ეს პატიოსანი კაცი, თურმე, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. იმას სუნთქავს, რასაც ჩვენ – ვაზისუბნელი ყოფილი ბავშვები. ძაღლებს ასეირნებს, თევზებს აჭმევს, ხანდახან სადილს ამზადებს და ზოგჯერ იმ ადამიანებსაც ხვდება, ვინც მისთვის ძვირფასია, მაგრამ წითელ ხალიჩასა და ვიდეოკამერებს ხომ ეგეთი თავისებურება ახასიათებთ, თუ ზედ არ გადაუვლი ან თვალში არ გაეჩხირები ცოცხლად აღარ გთვლიან. ალბათ ჰგონიათ, რომ ერთხელ თუ გაუგე გემო წითელ ხალიჩას, მერე უმისოდ ცხოვრებას აზრი აღარ აქვს, ანუ მოკვდი.

„მე არ მქონდა შანსი ბავშვი ვყოფილიყავი. 14 ასაკში კი პენსიაზე გავედი. ადამიანთა უმეტესობისთვის მე ისევ ბავშვი ვარ. ეს ერთდროულად დალოცვაცაა და წყევლაც" – Esquire-თან ინტერვიუში ამბობს მაკოლეი. ისე ხდება, რომ საქართველოში უცხოელების მაგალითების გათვალისწინება უჭირთ ხოლმე. ხშირად ისინი უცხოქვეყნელებად კი არა, უცხოპლანეტელებად უფრო ესახებათ. ჰგონიათ, რომ უცხოელების თავის ქალა სხვანაირია. იქ სხვანაირად უყვართ და, რაც ჩვენთვის უფრო მთავარია, სხვანაირად სძულთ. ამიტომაც, ჩვენებს ხანდახან ჰგონიათ, რომ უცხოური ამბები ქართულ თარგზე არ იჭრება. არადა, ამ ქვეყანაშიც ბევრი მახსოვს ნაადრევად დაბერებული, ამოსვლაავერმოსწრებული ჩასული ვარსკვლავი.

ასე იყო თუ ისე, იმ ავბედით ხანაში, ლორდი ვოლდემორის სახელის მსგავსად, მის ხსენებასაც რომ ვარიდებთ ხოლმე თავს, ქართულ შოუ-ბიზნესს პულსი ესინჯებოდა. ნარისხი, უფრო კი უხარისხობა ცალკე დასაწერი თემაა (მე ამის სპეციალისტი არ ვარ). ამჯერად მხოლოდ პულსის არსებობა-არარსებობაზე ვწერ. იმ დროს, როგორც მარკეტოლოგები იტყვიან, ბაზრის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ მცირეწლოვან მომღერლებს ეჭირათ. ცნობილი ჯგუფები დუეტებს წერდნენ მათთან (თავს ვერ დავდებ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა იმის გამოც, რომ ამის სანაცვლოდ ვიდეოკლიპების გადაღების ხარჯების დაფარვას ამ ბავშვების ოჯახები კისრულობდნენ).

მერე? სად არიან (ახლა) შვილები? შვილები სად არიან? – მუშაობენ, შრომობენ, იღწვიან, უსაქმურობენ... ოღონდ არა იმ საქმეში, საიდანაც ისინი ხალხმა გაიცნო და ბევრი შეიყვარა კიდეც. შეიძლება არ დამეთანხმონ (და მართლებიც იყვნენ), მაგრამ ამას პენსიაში გასვლა ჰქვია. ვინ იცის, იქნებ ქართულ შოუ-ბიზნესთან შედარებით ბევრად უფრო მაღალანაზღაურებად, მაგრამ მაინც პენსიაში.

მაკოლეი კალკინი: „რას ვეტყოდი ჩემს შვილებს? 18 წლამდე შოუ ბიზნესთან საქმე არ დაიჭიროთ. მანამდე აჯობებს რაიმე სხვა ისწავლოთ. სიჩქარე საჭირო არ არის. გააკეთეთ ეს მაშინ, როცა იგრძნობთ, რომ ზრდასრულები ხართ".

ამ კაცის სიტყვა დაიჯერება, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. არადა მშობლებს, ჩვენთანაც და სხვაგანაც, სადღაც ეჩქარებათ, რაღაცის მოსწრება უნდათ. ისინი შვილებს აიძულებენ, რომ იყვნენ გამორჩეულები, იყვნენ ვარსკვლავები. შეჰყავთ სხვადასხვა სტუდიებში, რომლებსაც ყვავილების სახელები აქვთ, იხდიან უამრავ ფულს, რათა მათი შვილები რომელიღაც უცნობ არხებზე გამოჩნდნენ და სიმღერას პირი ააყოლონ. გადაცემის დაწყებამდე კი ურეკავენ მთელ სანათესაოს, რათა ნათესავებმა თავიანთ მეზობლებსაც უთხრან და ერთად უყურონ 154-ე არხზე 1 წუთიან ვიდეოს, რომელშიც მშობლებმა 5000 $ გადაიხადეს. 5000 ამერიკული მწვანე ხომ ხუმრობა არაა. ამავდროულად კი შვილებს არ ეკითხებიან უნდათ ეს თუ არა. ემღერებათ კი? იქნებ ხატვა უფრო აინტერესებთ.

მშობლების ასეთი სიჩქარე ხშირად იმას იწვევს, რომ მათ შვილები იძულებულნი ხდებიან ბავშვობაშივე დაასრულონ კარიერა და დაიწყონ ახალი ცხოვრება მაშინ, როცა არ იციან ეს როგორ კეთდება. მშობლები ზოგჯერ ვერ ვხვდებიან, რომ ვარსკვლავობა ბავშვობის ასაკში ქეიფის განსხვავებული სასმისების სმით დაწყებას ჰგავს – შენს მაქსიმუმს მალე აღწევ, მარათონს სწრაფად ეთიშები და მომდევნო დღეს ქეიფისთვის აღარც ძალა და აღარც სურვილი არ გაქვს. თუმცა, ქართული სუფრებისგან განსხვავებით, ცხოვრებაში ეს ყველაფერი უფრო სერიოზულად და მტკივნეულად ხდება, ხოლო ნაბახუსევი გაცილებით უფრო დამტანჯველია.

ზვიად კვარაცხელია

ერთი ოთხიანის გამო

ზაზა ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილა, პარალელურ კლასში სწავლობდა და არც ის ვიცოდი, ისიც ჩემსავით „არსენალის“ ფანი თუ იყო. სხვა თუ არაფერი, სხვანაირად გამოველაპარაკებოდი მაინც: მეგონა, ჩუმი, უცნაური და დაძაბული ტიპი დამხვდებოდა, ამიტომ „ზდაროვა, როგორ ხარ“-ის იქით იშვიათად წავსულვარ.

ჩუმი ჩანდა, მაგრამ ამბობდნენ, რომ ტექნიკურ საგნებში მასწავლებლებსაც ეშინოდათ მისი. დაუნდობელი ყოფილა უვიცობის მიმართ – არც კლასელს პატიობდა და არც მასწავლებელს, ისე დაუნანებლად გაამასხრებდა ხოლმე, თურმე ვერც შეატყობდი.

ვიცანი, იმწუთასვე ვიცანი. ალბათ ათი წელი იქნება, თვალიც არ მოგვიკრავს ერთმანეთისთვის. სუფრის მეორე მხარეს იჯდა, სვამდა, სადღეგრძელოებს არ ტოვებდა და ვიფიქრე, რომ უეჭველად ბანკში მუშაობდა კრედიტ-ოფიცრად: მხოლოდ ბანკის თანამშრომლები სვამენ ასე უზომოდ დასვენების დღეებში, თითქოს სამუშაო საათებიდან გამოყოლილ ნევროზს და დაძაბულობას ალკოჰოლით ალღობენ.

მერე გარეთ გავედით, სიგარეტს მოუკიდა და მხარზე ხელი გადამხვია ძველი ძმაკაცივით. „კლასელები ვართ ბოლობოლო“, – თქვა ღიმილით, „ჰო, პარალელური კლასელები“, – დააზუსტა მაშინვე, ჯიბიდან სმარტფონი დააძრო, უაზროდ, სიჩუმის მოსაკლავად ჩააცქერდა, მერე ისევ ჩაიცურა ჯიბეში.

– შენ არ გეცოდინება, არც გემახსოვრება, – შორს, სიბნელისკენ იყურებოდა, შუქის კვალი ირიბად ეცემოდა სახეზე და გეგონებოდა ბოლი ასდისო, – მე კიდე... რა დამავიწყებს! ყველას დაუძახეს, ყველა აიშალა, წინა მერხებზე ვინც იჯდა. ა და ბე კლასი ერთად ვიყავით რატომღაც, დიდი ოთახი რომ იყო, ხო გახსოვს, იქ. ფრიადოსნები გაყავდათ, პირველი სემესტრის ბოლო იყო და ფოტოები უნდა გადაეღოთ საპატიო დაფაზე გასაკრავად.

– კი, როგორ არ მახსოვს.

– გადიოდა და გადიოდა ხალხი. ათ-ათად მიდიოდნენ და ამაყები, ბედნიერები და გახარებული ბრუნდებოდნენ. მე ერთი ოთხიანი გამომყვა ქართულ ენაში და არ მიწევდა გასვლა, ფორმაც არ ჩამიცვამს, ისე ვიყავი, ჩვეულებრივად.

სიგარეტი ჩააქრო, გაიხედ-გამოიხედა, ურნას დაუწყო ძებნა, ვერ იპოვა და ნამწვი წკიპურტით მოისროლა ჭიშკრის გადაღმა.

– მწვანე დაფა იყო... არა, წითელი იყო და ზედ მწვანე ფოთლები ეხატა. ბევრი ფოთოლი, გაბნეული. იმ ფოთლებზე ფრიადოსნების სურათებს აწებებდნენ. ქვეშ გვარს და სახელს მიუწერდნენ და მორჩა, მთელი კონცერტი ეგ იყო. მაგრამ კონცერტი მერე იწყებოდა: ყოველ დღე, ყველა ბავშვი რომ შენ სურათს ნახავდა საპატიო დაფაზე, შენი სახელი ეცოდინებოდა, ვარსკვლავი იყავი!

გამეცინა, დავეთანხმე. ღვინო მოეკიდა, სიგარეტს სიგარეტზე ეაჩრებოდა. სუფრაზე ხომ არ შევბრუნდეთო, შემომპარა, არა-მეთქი, დამეზარა, ნახევარზე მეტი ხალხი აშლილი იყო უკვე, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც წასასვლელად ემზადებოდა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, უკვე უნდა დამთავრდეს ეს კონცერტი, ფრიადოსნები მორჩნენ ჩაკარტიჩკებას, კლასელებში ბაქიბუქობასაც მორჩნენ და ბოლო ათი უნდა გავიდეს ფოტოგრაფთან. დამრიგებელმა სია ამოიკითხა და მთელ ოთახს მოავლო თვალი. ბოლო რიგში მშობლები ისხდნენ, აქტიური და უსაქმური მშობლები, შვილებს რომ დაყვებიან ხოლმე, მთელი სკოლის ალიან-ჩალიანი რომ იციან. სიის ჩამთავრება იყო და ათი ბავშვი წამოიწია მერხიდან, შემოსასვლელისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით, შესასვლელთან პატარა საცობიც კი შეიქნა. დამრიგებელი ჯერ თვალით ითვლიდა, შემდეგ შემობრუნდა და „სადაც ათი იქ თერთმეტიც რომ იყოს არაფერი დაშავდება ღმერთმანი თამთა შენ ერთი ოთხიანი გყავს არაუშავს გამოასწორებ ერთი ოთხიანის გამო ხომ არ დაიჩაგრები ადექი ახლავე და შენც გადაგიღებენ ფოტოს“ – თქვა ღიმილით, სხაპასხუპით და უნებურად ბოლო მერხისკენ გაექცა თვალი: თამთას დედა, ქალბატონი ირინე არც მალავდა, რომ ფრიად კმაყოფილი იყო.

ზაზამ მუშტში ჩაჭყლიტა სიგარეტი და ისევ შორს, სიბნელეს გაუშტერა თვალი.

– და თამთაც შემოსასვლელის საცობში აღმოჩნდა. რიგში. მაშინ შევამჩნიე: ფორმა ეცვა, შავი კაბა და ქათქათა პერანგი. უცებ შემზიზღდა ყველაფერი. უცებ ოფლის და ძღნერის სუნი დადგა. თამთასთვის ნაჩუქარი ყვავილებიც შემზიზღდა, ის სიტყვები, მას რომ ვეუბნებოდი ჩუმად დერეფანში, კიბესთან, ფიზკულტურის გაკვეთილზე. ჩემი სულელური საქციელებიც შემზიზღდა, თამთას დედისთვის რომ თავის მოწონებას ვცდილობდი. თვალები სიბრაზის ცრემლით მქონდა სავსე და ვერც დამრიგებელს ვუთხარი, რომ პატარა მათხოვარი ქალია და ხათრის გამო ყველაფერს დაიკიდებს. ვერც ვეტყოდი, იმიტომ რომ შემარცხვენდა და ხმას გამაკმენდინებდა: „ა, ხო, სულ დამავიწყდა: შენც ხომ ერთი ოთხიანი გყავს!” ეს რომ ეთქვა, მოვკვდებოდი, თავს მოვიკლავდი. ამიტომ არაფერი ვთქვი და სკოლა ისე დავამთავრეთ, თამთასთვისაც არაფერი მითქვამს, არაფერი მიგრძნობინებია. ოღონდ ეგ იყო: იმის მერე არც დერეფანში გამყავდა ჩუმი, ყველასგან დამალული სიტყვების სათქმელად, არც კიბესთან, არც ფიზკულტურის გაკვეთილზე ვეჩურჩულებოდი. არც ერთი სიტყვა. მხოლოდ ნიშნები. ნიშნები და საპატიო დაფა, წითელი ფონის მწვანე ფოთოლზე დაწებებული ფოტო.

რონიკო Roniko

თქვენთვის, ძვირფასო პედაგოგებო!

მხედველობა და პედაგოგის პროფესია

არსებობს პროფესიების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მხედველობის, თვალის ინტენსიურ მუშაობასთან. პედაგოგის პროფესია ერთ-ერთი მათგანია. ამიტომ, პედაგოგებისათვის მხედველობის კორექციის საკითხები მეტად

მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ხშირი კითხვა, აქტიური ვიზუალური კონტაქტი საკლასო აუდიტორიასთან, კომპიუტერთან მუშაობა მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. დროთა განმავლობაში, ეს ყველაფერი იწვევს მხედველობის პარამეტრების ცვლილებას: სულ უფრო და უფრო რთულად იკითხება წვრილი ტექსტები, ჩნდება გაბუნდოვანების შეგრძნება, თვალების სწრაფი დაღლა და ა.შ.

სათვალე მხედველობის საკორექციო ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მნიშვნელოვანია რომ, მხედველობის კორექციისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პაციენტის ინდივიდუალურ პარამეტრებს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მომხმარებლის არათუ ფიზიკური თავისებურებები, არამედ ჩვევები, საქმიანობის სპეციფიკა და ა.შ. ოპტიკური ჩარჩო და სასათვალე ლინზა სწორედ ამ სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს. ამგვარი მიდგომა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ოპტიმალურ, მკაფიო ხედვას და თვალის ჯანმრთელობაზე სწორ ზრუნვას, რასაც გთავაზობთ კიდეც „რონიკო“.

„რონიკოში“ ოპტიკური ჩარჩოების და სხვადასხვა წარმოების სასათვალე ლინზების ყველაზე დიდი არჩევანია. არსებობს ერთ-ფოკალური და მულტიფოკალური სასათვალე ლინზები. ერთფოკალურ ლინზას ერთი ოპტიკური ზონა აქვს და უზრუნველყოფს მხედველობის კორექციას ერთ კონკრეტულ დისტანციაზე: ახლო ან შორ მანძილზე. არსებობს ასევე მულტიფოკალური (პროგრესული) ლინზა. იგი საშუალებას გვაძლევს ერთი სათვალით კარგად დავინახოთ ნებისმიერ მანძილზე: შორს, ახლოს და შუალედურ ზონაში.

რაც შეეხება ოპტიკურ ჩარჩოებს, „რონიკოში“ უმაღლესი ხარისხის, თანამედროვე, მოდური დიზაინის სათვალეები ხელმისაწვდომ ფასადაა წარმოდგენილი. გირჩევთ, ეწვიოთ „რონიკოს“ ოპტიკურ სალონებს, სადაც მაღალკვალიფიციური ექიმები და კონსულტანტები გაითვალისწინებენ თქვენს მოთხოვნებს და შემოგთავაზებენ თქვენს საჭიროებებზე, სტილსა და გემოვნებაზე მორგებულ საუკეთესო პროდუქტს.

„რონიკოს“ შესახებ

ოპტიკური კომპანია „რონიკო“ უკვე 20 წელია მოღვაწეობს საქართველოში. ყველაზე ფართო ქსელი, წარმოდგენილი 18 ოპტიკური სალონით; ოპტიკური პროდუქციის ყველაზე დიდი არჩევანი; ოფთალმოლოგიური კაბინეტები და პროფესიონალებით დაკომპლექტებული ფილიალები – სწორედ ეს არის „რონიკო“. კომპანია ასრულებს უმნიშვნელოვანეს მისიას – ეხმარება ადამიანებს გაიუმჯობესონ მხედველობა.

„რონიკოს“ ოპტიკურ სალონებში ფუნქციონირებს ოფთალმოლოგიური კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია მხედველობის სადიაგნოსტიკო უახლესი აპარატურით. მხედველობის სიმახვილის დადგენა ხდება კვალიფიციური ექიმი-ოფთალმოლოგების მიერ როგორც ობიექტური (კომპიუტერული), ასევე სუბიექტური მეთოდებით.

„რონიკოში“ ყველაფერი ერთ სივრცეშია: ადგილზე ხდება მხედველობის დიაგნოსტიკა, რეცეპტის შედგენა და სასურველი ჩარჩოსა და სასათვალე ლინზის შერჩევა. აქვე მზადდება ნებისმიერი სირთულის სათვალე, – პაციენტის ინდივიდუალური პარამეტრების გათვალისწინებით. ამ ტიპის კომპლექსური მომსახურეობა მომხმარებელს საშუალებას აძლევს დაზოგოს დრო, ენერგია და დამატებითი ხარჯები.

კომპლექსური შემოთავაზება სპეციალურად თქვენთვის

პედაგოგებს „რონიკო“ გთავაზობთ განსაკუთრებულ პირობებს: იხილეთ ამოსაჭრელი ფასდაკლების კუპონი და ისარგებლეთ კომპლექსური შემოთავაზებით.

გახსოვდეთ, სწორად შერჩეული სათვალე თვალის ჯანმრთელობის საწინდარია.

ფასდაკლების კუპონი!

რონიკო Roniko

სპეციალურად თქვენთვის, ძვირფასო პედაგოგებო!

ეწვიეთ „რონიკოს“ და ისარგებლეთ კომპლექსური შემოთავაზებით:

- მხედველობის დიაგნოსტიკა - 50%
- ჩარჩოები - 20%
- სასათვალე ლინზები - 20%

ფასდაკლების კუპონით სარგებლობის ბოლო ვადაა 31.12.2015

ამოჭერით ფასდაკლების კუპონი და წარადგინეთ „რონიკოს“ ოპტიკურ სალონებში

www.facebook.com/ronikooptics; tel.: + (995) 32 242 02 22

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 242 02 22, 224 14 41

ronikooptics

რეკლამა

ბავშვებს და ზრდასრულებს სჯერათ, რომ კომპიუტერული თამაშები მათ ინტელექტს ავითარებს. სამწუხაროდ, აზროვნების ასეთი განვითარება ხელს უშლის მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, სოციალიზაციას და პიროვნულ განვითარებას.

თამაშებში წარმატებას ხშირად შემთხვევითობა განსაზღვრავს. როცა, დამსახურების მიუხედავად, მათ ჯილდო არ ერგებათ, მოთამაშეებს თამაშის სურვილი უმძაფრდებათ. ამგვარად ატყვევებს ეს დაჯილდოების მექანიზმი მათ.

ყველაფერს თან ერთვის სოციალური წრე. ცნობილია, რომ ისეთი კომპიუტერული თამაშები, რომლებიც სოციალურ ქსელში ყოფნას არ საჭიროებს, არ იწვევს ქცევის დარღვევას და ლტოლვის გაჩენას. ამრიგად, მრავალ ამხანაგთან და გუნდთან კავშირი ზრდის ქსელური თამაშებისადმი მიდრეკილებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თამაშების დროს არსებობს სოციალური წნეხი. პუნქტუალურობის და უუნარობის შემთხვევაში მოთამაშე ტოვებს გუნდს. მოზარდები სამსახურებრივი პასუხისმგებლობით უყურებენ ქსელურ თამაშებს. ზოგი გილდია იმასაც კი მოითხოვს, რომ მოთამაშე იყოს უმუშევარი, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კარგი მოთამაშის სახელის მოხვეჭა.

ქსელური თამაშების ფსიქოთერაპია

ნურავის ჰგონია, რომ მოინდომებს და თავს დააღწევს ამ



აბეზარ ქსელურ თამაშებს, – ასე ამბობს ფსიქიატრი დე ვილდტი. თუმცა, თუ თქვენ ამჩნევთ, რომ ზედმეტად ხართ გატაცებული თამაშებით და თავის დანებება გსურთ, მარტოც ეცადეთ. მე მჯერა, რომ თქვენ ეს შეგიძლიათ. სხვა შემთხვევაში თქვენ მკურნალობა დაგჭირდებათ.

თერაპია ასევე კომპლექსური ხასიათისაა. თავდაპირველად ხდება დიაგნოსტირება: სახეზეა თუ არა ინტერნეტდამოკიდებულება. შემდეგ დგინდება თანმხლები დაავადებების არსებობა. მერე უნდა გაირკვეს, რამდენად მონდომებულია პაციენტი, რომ გაიაროს თერაპიის კურსი. ზოგადად, ასეთი ადამიანები ოჯახის წევრების, ნათესავების ან მეგობრების რჩევიათ მიდიან ფსიქოთერაპევტებთან. ბევრი რამ პაციენტის მოტივაციაზეა დამოკიდებული.

ინტერნეტისგან სრული დამოუკიდებლობა ილუზიაა, მაგრამ კომპიუტერული თამაშების გარეშე ყოფნა წარმოსადგენია, ასევე შესაძლებელია კიბერსექსის გარეშე ცხოვრებაც. აუცილებლობას არ წარმოადგენს სოციალურ ქსელებში ჩართვაც. ინტერნეტზე დამოკიდებულების მოსახსნელად სასურველია მისგან სრული ჩამოცილება და სოციალური ქსელებიდან და თამაშებიდან ამორიცხვა.

თავიდან ეს პაციენტებს წარმოუდგენლად ეჩვენებათ. კარგია, რომ თერაპია ტარდება ჯგუფებში. შემდეგ რომელიმე მათგანი ახერხებს ინტერნეტის გარეშე ყოფნას და სხვებისთვის სამაგალითო ხდება. სხვა შემთხვევაში ისინი სწავლობენ კომპიუტერული თამაშებისთვის გამოყოფილი დროის კონტროლს. მოთამაშეები, ჩვეულებრივ, ათ საათს ატარებენ ხოლმე კომპიუტერთან. ამიტომ სრულმა აბსტინენციამ (ჩამოშორებამ) შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, ცხოვრებით დაღლის შეგრძნება. აღნიშნულის თავიდან აცილება შესაძლებელია საინტერესო აქტივობების დაგეგმვით, დროის სრულად გამოყენებით. ამავდროულად მიმდინარეობს ღრმა ფსიქოლოგიური კვლევა და იმ მიზეზების დადგენა, რამაც ეს ადამიანი კომპიუტერს მიაჯაჭვა.

მედიაწიგნიერება გულისხმობს ციფრული ხელსაწყოებისა და ინტერნეტის ზომიერ გამოყენებას. ეს აღზრდის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს. არ იქნება მიზანშეწონილი, თუ მშობლები ბავშვებს კომპიუტერთან მისვლას აუკრძალავენ. მათ შვილებს უნდა მისცენ ინტერნეტის გონივრულად გამოყენების მაგალითი, უნდა აკონტროლონ კომპიუტერთან გატარებული დრო და შესრულებული საქმიანობის შინაარსი. ბავშვისთვის აუცილებელია როგორც ციფრულ სამყაროში ორიენტირება, ასევე ჯანსაღი სულიერი და ფიზიკური განვითარება რეალურ გარემოში. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კომპიუტერისა და ინტერნეტის გარეშე ისინი ბევრის შემძლენი არიან და არსებობას განაგრძობენ.

თუ უფრო დაწვრილებით გსურთ იმ მეთოდების გაცნობა, რომლებიც ინტერნეტზე დამოკიდებულებისგან ათავისუფლებს ადამიანებს, მაშინ გირჩევთ, წაიკითხოთ ბერტ ტე ვილდტის ახლახან გამოქვეყნებული წიგნი „Digital Junkies" („ციფრული ნარკომანები").

ქეთევან ოსიაშვილი

საგნობრივი სწავლება დაწყებით კლასებში

> **თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დაწყებით კლასებში დაშვებული შეცდომების გამოსწორების ყველა მცდელობა მოგვიანებით, როგორც წესი, უშედეგოდ მთავრდება, ყველაზე დიდი სიფრთხილით სწორედ ამ პერიოდთან დაკავშირებულ სიახლეებს უნდა მოვეკიდოთ.**

ყველა იმ სიახლეს შორის, რომელსაც განათლების სისტემაში ვხვდებით, დაწყებით კლასებთან დაკავშირებული ინოვაციები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცევა ხოლმე. ეს ბუნებრივია, ვინაიდან დაწყებითი სასკოლო პერიოდი თითქმის ყოველთვის განსაზღვრავს ბავშვის მომავალი სასკოლო ცხოვრების ხასიათს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაწყებით კლასებში დაშვებული შეცდომების გამოსწორების ყველა მცდელობა მოგვიანებით, როგორც წესი, უშედეგოდ მთავრდება, ყველაზე დიდი სიფრთხილით სწორედ ამ პერიოდთან დაკავშირებულ სიახლეებს უნდა მოვეკიდოთ.

ბოლო ათწლეულში განათლების სისტემაში განხორციელებულ ინოვაციებს შორის განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა საგნობრივი სწავლება დაწყებით კლასებში. ტრადიციულად, დაწყებით კლასებში, თითქმის ყველა საგანს ყოველთვის ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს ჩვენი პირველი მასწავლებელი, რომელიც სკოლაში ჩვენთვის მეგზურისა და დედის ფუნქციასაც კი ასრულებდა; რომელიც ისეთი ძლიერი და უცილობელი ავტორიტეტი იყო ჩვენთვის და ჩვენი თანატოლებისთვის, რომ მის აზრს და შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე არასოდეს ვაქცევდით განსჯის საგნად. მის გარეშე სკოლაში ყოფნა წარმოუდგენლადაც კი გვეჩვენებოდა, ვინაიდან ის მუდმივად ჩვენ გვერდით ტრიალებდა. დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების დროს თითოეულ საგანს სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლის და, ხშირ შემთხვევაში, ბავშვს, რომელსაც სკოლასთან და სასწავლო პროცესთან ადაპტაციის პროცესი ჯერ არც კი დაუსრულებია, დღის განმავლობაში რამდენიმე, არცთუ იშვიათად სრულიად განსხვავებული მასწავლებლების გაკვეთილებზე უწევს ყოფნა და მათი დავალებებისა და მითითებების შესრულება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საგნობრივი სწავლება დაწყებით კლასებში დღესაც კი არანაირი საკანონმდებლო აქტებითა და ნორმატიული დოკუმენტებით არ არის განმტკიცებული. მიუხედავად ამისა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლები აქტიურად ნერგავენ მას და, მათი განცხადებით, ამით დიდ წარმატებასაც აღწევენ. შემთხვევითი არ არის, რომ საგნობრივი სწავლება დაწყებით კლასებში სერიოზული განსჯის საგნად არის ქცეული და მას ჰყავს, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც, რომელთაც სწავლების ასეთი ფორმის დამკვიდრება სასკოლო სწავლების საწყის

ეტაპზე გაუმართლებლად მიაჩნიათ.

ალბათ, ყველასთვის საინტერესო იქნება ის, თუ რას ეფუძნებიან და რა არგუმენტებით ამყარებენ დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების მომხრეები თავის პოზიციებს.

ტრადიციულად დაწყებითი კლასების მოსწავლეების მე-5 კლასში გადასვლას ყოველთვის მოყვებოდა ხოლმე მათი აკადემიური მოსწრების სერიოზული დაქვეითება და მანამდე არარსებული ქცევითი პრობლემების აღმოცენება, რაც მე-5 კლასებში შემსვლელი მასწავლებლები, როგორც წესი, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აბრალებდნენ და საყვედურობდნენ მათ ზედმეტი ლოიალურობის, დამთმობლობისა და სუბიექტურობის გამო. თავის მხრივ, დაწყებითი კლასების მასწავლებლები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მათ კლასებში ახლად შესული მასწავლებლების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ვერ უგებდნენ მოსწავლეებს, არ ითვალისწინებდნენ მათ თავისებურებებს და არაობიექტურობას ამჟღავნებდნენ პატარების მიმართ, რომელთათვისაც აქამდე უცხო იყო ამდენ განსხვავებულ მასწავლებელთან ურთიერთობა. დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების მომხრეები თვლიან, რომ თუ მოსწავლე პირველივე კლასიდან მიეჩვევა სხვადასხვა მასწავლებელთან ურთიერთობას, მოგვიანებით მას აღარ გაუჭირდება მის სასკოლო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების უმტკივნეულოდ გადატანა.

მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელსაც საგნობრივი სწავლების მომხრეები წინა პლანზე წევენ, არის ის, რომ, მათი აზრით, შეუძლებელია ერთი მასწავლებელი, პირველ კლასშიც კი ყველა საგანს ერთნაირად მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობდეს და ერთნაირი წარმატებით ატარებდეს გაკვეთილებს რამდენიმე საგანში. ამდენად, თუ ჩვენ მათ ერთი კონკრეტული საგნის არჩევის და ამ საგანში ჩაღრმავების საშუალებას მივცემთ, შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნება.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების მომხრეების აზრით, როდესაც ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ვერ გაიხსნა, ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები ერთ საგანში, მას შეიძლება მიეკეროს „სუსტი“ მოსწავლის იარლიყი, რომელიც მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში მიჰყვება. როდესაც ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის, ასეთ ბავშვს ხშირად უჭირს და არც შეულია თავის წარუმატებლობას ერთ საგანში კომპენსირება გაუკეთოს წარმატებით და მიღწევებით სხვა რომელიმე საგანში. ეს კი მას არასასურველ მდგომარეობაში

> **„დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების დროს თითოეულ საგანს სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლის და, ხშირ შემთხვევაში, ბავშვს, რომელსაც სკოლასთან და სასწავლო პროცესთან ადაპტაციის პროცესი ჯერ არც კი დაუსრულებია, დღის განმავლობაში რამდენიმე, არცთუ იშვიათად სრულიად განსხვავებული მასწავლებლების გაკვეთილებზე უწევს ყოფნა და მათი დავალებებისა და მითითებების შესრულება.“**

რეკლამა

აყენებს, თვითრეალიზაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში უშლის ხელს და სკოლისა და სწავლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას უყალიბებს.

დაწყებით კლასებში საგნობრივი სწავლების მომხრეთა წარმოდგენილი არგუმენტები არცთუ უსაფუძვლოა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სწავლების ასეთ ფორმას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, თუმცა, უფრო მესამე, მეოთხე კლასებში. რაც შეეხება პირველ-მეორე კლასებს, განსაკუთრებით კი პირველ კლასს, საგნობრივმა სწავლებამ შეიძლება ძალიან გაართულოს მდგომარეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველკლასელი ჯერ კიდევ არ არის მოსწავლე, ის მხოლოდ იწყებს მოსწავლედ ჩამოყალიბებას. მის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილება მოხდა, მას სრულიად ახალი როლის შესრულება უწევს, ახალ სამყაროსთან შეგუება, ახალი წესებით ცხოვრება და ყოველივე ამაში მას სერიოზული დახმარება სჭირდება. თუმცა, როცა ამ დახმარებას ერთდროულად 7-8 მასწავლებელი ცდილობს, რომელთაც ურთიერთობის სრულიად განსხვავებული სტილი შეიძლება ჰქონდეთ, მისთვის მდგომარეობა საკმაოდ რთულდება. უნდა გავითვალისწინოთ იცის, რომ პირველკლასელის აღქმები ჯერ კიდევ დიფუზურია და მოკლებულია შინაგან დანაწევრებულობას. ამდენად, არ არის გამართლებული სასწავლო დისციპლინების ერთმანეთისაგან ასე მკვეთრად გამიჯვნა. სასურველია, რომ პირველკლასელისთვის გადასაცემი ცოდნა უფრო მთლიანობით ხასიათს ატარებდეს. კარგად ორგანიზებულ სასწავლო გარემოში პირველკლასელებთან საგაკვეთილო პროცესში არც კი უნდა ჩანდეს, სად მთავრდება მათემატიკის გაკვეთილი და იწყება ქართულის ან ბუნების გაკვეთილი. ამ პერიოდში ჩვენ არა ცალკეული საგნების სწავლებაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, არამედ სკოლასთან ადაპტაციის ხელშეწყობაზე, სასწავლო უნარების გამომუშავებაზე, სწავლის სწავლებაზე, იმისათვის, რომ ის სირთულეები, რომელიც მას მომავალში შეხვდება, ადვილად დაძლიოს. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად პირველკლასელის გვერდით მუდმივად უნდა ტრიალებდეს მისი პირველი მასწავლებელი, რომელიც საჭირო დროს დახმარებას აღმოუჩენს. საგნობრივი სწავლების შემთხვევაში კი პედაგოგს მუდმივად სხვადასხვა კლასში უწევს გაკვეთილების ჩატარება, რის გამოც სადამრიგებლო კლასის პატარები, გარკვეული დროის განმავლობაში შეიძლება მისი ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ და საჭირო დახმარება დროულად ვერ მიიღონ, რაც ერთგვარად გაართულებს მდგომარეობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სიახლის დანერგვას შეიძლება სერიოზული სირთულეები მოყვეს, რაც წინასწარ უნდა იყოს გათვლილი და სათანადოდ შეფასებული.

განათლების მიზნები და დანიშნულება

ნინო ლომიძე

ვფიქრობ, კოლეგები (სხვადასხვა საგნის მასწავლებლები) არ გამინაწყენდებიან, თუ წერილს ერთი ზოგადი განაცხადით დავიწყებ: ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესასწავლ საგნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან „ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაცაა – ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალება (იხ. საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში) და ამავდროულად, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორედ ის ქმნის ბაზისს ადამიანის მსოფლხედვის, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და პიროვნული ზრდისთვის.

საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების/სავარჯიშოს ინსტრუქციები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები დეტალურადაა გაწერილი საგნობრივი პროგრამის დოკუმენტში. ამ მიზნებსა და ამოცანებს შორის არის სწორედ ის პუნქტები, რომლებზეც წერილის ფარგლებში მინდა ყურადღების გამახვილება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. სხვათა შორის, ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- შეაყვაროს [მოსწავლეს] კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება.

კოლეგები დამეთანხმებიან, რომ სწავლების პროცესში კითხვები – რა საჭიროა ამ ტექსტის სწავლა? რაში დამჭირდება ამის ცოდნა? რატომ უნდა წავიკითხო და ვისწავლო ის, რაც არ მომწონს? აღარ შემიძლია ძველი ქართულით დაწერილი ტექსტების კითხვა და წვალება... – ხშირად გაისმის და ამ კითხვების ავტორები მოსწავლეები არიან. ადრესატები კი ჩვენ, მასწავლებლები.

„კოლეგები დამეთანხმებიან, რომ სწავლების პროცესში კითხვები – რა საჭიროა ამ ტექსტის სწავლა? რაში დამჭირდება ამის ცოდნა? რატომ უნდა წავიკითხო და ვისწავლო ის, რაც არ მომწონს? აღარ შემიძლია ძველი ქართულით დაწერილი ტექსტების კითხვა და წვალება... – ხშირად გაისმის და ამ კითხვების ავტორები მოსწავლეები არიან. ადრესატები კი ჩვენ, მასწავლებლები.“

აქვე მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციტატა ფორუმიდან, სადაც აბიტურიენტები, რომლებმაც 2014 წელს უკვე ჩააბარეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, გამალებული ითვლიდნენ პარალელებს, აჯერებდნენ, რომელ პარალელში შეიძლებოდა „მოეხსნათ“ ქულა, დებდნენ ესეების ნიმუშებს, რომლებიც სავსე იყო შაბლონური, გაზეპირებული ფრაზებით და ვიშვიშებდნენ: „გადავკარგავ ქართულის წიგნებს“, „წიგნი აღარ იქნება ჩემს ხელში აწი...“ „ამოვისუნთქე. მორჩა წამება. იმედი მაქვს, ოდესმე დამიბრუნდება წიგნის გადაშლის სურვილი და ხალისი“, „ჰაგიოგრაფია არ გამაგონოთ. მარტივი წინადადების იქით

საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების/სავარჯიშოს ინსტრუქციები.

არაფრის აღქმის უნარი აღარ შემრჩა. ჩემი ნება რომ იყოს, სმაილებით შემოვიფარგლებოდი...“

ცხადია, ამ რამდენიმე გამოხმაურების განზოგადება და მათ მიხედვით რაიმე დასკვნის გაკეთება არავალიდური და უმართებულოა, მაგრამ ამ ყველაფერს პირად გამოცდილებასაც დავამატებ და იმ მოცემულობასაც, რომ კვლევა ამ მიმართულებით სკოლებში, სამწუხაროდ, არ ჩატარებულა. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამგვარი ნეგატიური განწყობებისა და დამოკიდებულებების მიღმა, საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, ვისთვისაც მშობლიური ლიტერატურა და მხატვრული ლიტერატურის სამყარო, ზოგადად, ფასდაუდებელი განძი და საბადო იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა, მოდით, ამჯერად პრობლემა დავსახოთ და მასზე ავაგოთ მსჯელობა:

რა იწვევს უკუეფექტს ისეთი საინტერსო და მრავალფეროვანი დარგის შესწავლისას, როგორიც ლიტერატურაა? ერთი მხრივ, სტანდარტის და პროგრამის და, მეორე მხრივ, ამ სტანდარტისა და პროგრამის „სამიზნე აუდიტორიის“, მოსწავლეების გამოხმაურებების გაცნობისას რატომ ჩნდება იმის განცდა, რომ „საშუალება“ (სწავლების პროცესი) არსებითად სცდება მიზანს (ზემოთმოყვანილს, მაგალითად)? რამდენად ხერხდება არსებული სახელმძღვანელოების და პროგრამის ფარგლებში ამ მიზნების (შეაყვაროს კითხვა, გამოუმუშაოს ლიტერატურის აღქმის და გაცნობიერების უნარი, უზრუნველყოთ ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური თემების ურთიერთკავშირის გააზრება...) განხორციელება? სად არის საძიებელი პრობლემის სათავე და რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ცხადია, ერთი სტატიის ფარგლებში ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება. ამიტომ სტატიის მიზნად დისკუსიის წამოჭრას, დასმულ საკითხებზე მსჯელობას და კოლეგების გამოცდილების გაზიარების სურვილს დავსახავ.

საკუთარი დაკვირვების შედეგებს კი მოკლედ, თეზისების სახით ჩამოვაყალიბებ:

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) მოსწავლეების მთავარი მიზანი და მამოტივირებელი სწავლის პროცესში საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაა. (კითხვა – „ეს გამოცდაზე იქნება?“ – ყველაზე ხშირად დასმული კითხვაა ამ პერიოდში. არადა, რამდენი ამაზე მეტად საინტერესო კითხვის და საკითხის წამოჭრა შეიძლება ასეთ დროს...)

მცირე დროში მოსწავლეებს საკმაოდ დიდი მოცულობის პროგრამის ათვისება და „დამუშავება“ უწევთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საატესტატო გამოცდების ტესტები ლიტერატურის ნაწილში, ძირითადად, ფაქტობრივ, შინაარსობრივ ცოდნაზეა ორიენტირებული და რეალურად, იმას ამოწმებს, რამდენად ახსოვს მოსწავლეს შესწავლილი ნაწარმოების დეტალები. შედეგიც არ აყოვნებს. გამოცდების ჩაბარებისთანავე მათი უმრავლესობა სწორედ იმ განწყობას და დამოკიდებულებას ავლენს, რაზეც ზევით ვისაუბრეთ. რამდენად მოსალოდნელია, რომ ლიტერატურისადმი ამ დამოკიდებულებით განსმჭვალული ადამიანი „შეიყვარებს კითხვას“ ან „გამოიუმუშავებს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარს”?

საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის სავალდებულო ნაწილი (60 პროცენტი) იმდენადაა დატვირთული საკმაოდ მოცულობითი ტექსტებით, რომ მასწავლებლის (ან სახელმძღვანელოს ავტორების) სურვილით, გემოვნებით ან კონკრეტული საჭიროებების მიხედვით შესარჩევი მხატვრული ტექსტებისთვის დრო და ენერგია არც მასწავლებლებს და არც მოსწავლეებს, უბრალოდ, არ რჩებათ. საინტერესოა, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება – როდის შეიტანეთ თქვენთვის სასურველი მხატვრული ტექსტი კლასში დასამუშავებლად, რა ტექსტი იყო ეს და რამდენი დრო დაუთმეთ მის შესწავლას?



ტექსტების უმრავლესობა, მათი თანმდევი დავალებები, სავარჯიშოები, მეთოდური მითითებები, თეორიული ნაწილი, სადაც სხვადასხვა ცნობებია მოწოდებული შესასწავლი საკითხის ირგვლივ, არაერთ უხერხულობას ქმნის სწავლების პროცესში მაშინ, როცა კლასში ეთნიკური უმცირესობის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ან სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე მოსწავლეები არიან. ლიტერატურის შესწავლა, გააზრება, მსჯელობა ჩაკეტილ, მონოკულტურულ, წინასწარგანსაზღვრულ ჭრილში ხდება.

უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, რელიგიური თემატიკა და ტექსტები, რითიც განსაკუთრებით გაჯერებულია, მაგალითად, მეათე კლასის პროგრამა (შეისწავლება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები) რელიგიური ინდოქტრინაციის მექანიზმად გამოიყენება, რაც პრობლემურია განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლეებისთვის. ჰაგიოგრაფიული ტექსტები შეისწავლება არა როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ როგორც რელიგიური ტექსტი. (ამ კონტექსტში სახასიათოა, მაგალითად, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების, „შუშანიკის წამების“ შესწავლის თანმდევი პატერნები. შუშანიკი განიხილება როგორც წმინდანი და არა როგორც პერსონაჟი, მისი ქცევის, ხასიათის, გადაწყვეტილებების განხილვის დროს ამოსავალი წერტილი არის ის, რომ შუშანიკი წმინდანადაა შერაცხული და მასზე, როგორც ქალზე, საინტერესო პერსონაჟზე საუბარი დაუშვებლადაა მიჩნეული).

ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესწავლისას საკმაოდ დიდ სირთულეს ქმნის ძველი ქართული ენით დაწერილი ტექსტების გაგება. ტექსტის ლექსიკურ დონეზე დამუშავებას, შინაარსის გაცნობას იმდენად დიდი დრო მიაქვს, რომ მსჯელობა, ტექსტის გააზრება და განხილვა სათანადოდ ვერ ხერხდება. ჩნდება კითხვა – რამდენად მიზანშეწონილია ძველი ტექსტების ამ მოცულობით შესწავლა? რა მიზანი აქვს ისეთი ტექსტების დიდი ხნის განმავლობაში დამუშავებას, რომელთა ლექსიკურ დონეზე ანალიზიც საკმაოდ რთული და შრომატევადია? ხომ არ აფერხებს ტექსტის გაგების ბარიერი პროცესის სწორად წარმართვას და ხომ არ რჩება ყურადღების მიღმა უამრავი მნიშნელოვანი თემა, საკითხი, პრობლემა, რაზეც თავად ამ ტექსტებშივეა ყურადღება გამახვილებული?

მისაღწევ მიზანთაგან ერთ-ერთი მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირების გააზრებაა. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში კი მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები ძალზე შეზღუდულადაა წარმოდგენილი. ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა ქართული კულტურის კუთვნილებაა, სხვადასხვა ეთნიკური თუ ნაციონალური კუთვნილებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და მულტიკულტურულ განათლებას კი ეს ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს. მცირე გამონაკლისების გარდა, შერჩეული ტექსტები და სავარჯიშოები არ იძლევა განსხვავებული ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების შექმნის შესაძლებლობას, სხვა ქვეყნების ლიტერატურული თუ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებით დაინტერესების საშუალებას.

სტატიას კი ნოამ ჩომსკის ციტატით დავასრულებ. ეს საინტერესო მოაზროვნე განათლების ორგვარ დანიშნულებაზე მსჯელობისას აღნიშნავს:

„პირველი კონცეფცია განათლების დანიშნულების შესახებ მოდის განმანათლებლობის ეპოქიდან, რომელიც ამბობს, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის წარსული მიღწევების კვლევა-ძიება, იმის შეთვისება, რაც შენთვის ყველზე მნიშვნელოვანია, შემდეგ კითხვების დასმა და შემოქმედებითობა. ამ კონცეფციის მიხედვით, განათლების მიზანია, დაეხმაროს მსწავლელს ისწავლოს, როგორ ისწავლოს დამოუკიდებლად. ეს შენ მსწავლელი წყვეტ როგორ, რა მეთოდებით ისწავლი, როგორ შექმნი რაიმე ახალს. მნიშვნელოვანი ასპექტები ამ სახის განათლების იმპულსების გაძლიერებაა, რომელიც ყველანაირ ავტორიტეტს, მოძღვარს, სისტემას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ფიქრობს კრიტიკულად და ქმნის კარგად ნაცადი მოდელების ალტერნატივებს.

მეორე დანიშნულება განათლების სისტემისა არის ინდოქტრინაცია, რაც გულისხმობს, რომ ბავშვობიდან ახალგაზრდები მოქცეული უნდა იყვნენ გარკვეულ ჩარჩოებში, სადაც ისინი დაემორჩილებიან ბრძანებებს, მიიღებენ მოცემულ ჩარჩოებს, არ დასვამენ შეკითხვებს, იქნებიან პასიურები და კომფორმისტები... ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება იმას, რასაც ტრადიციული განათლება ეწოდება...“

მარიამ გოდუაძე

სკოლა და პლაგიატთან ბრძოლის ხუთი სტრატეგია

პლაგიატი სენია და მასთან ბრძოლა ისეთივე აუცილებელია, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის დაავადებასთან. სამწუხაროდ, მისით ბევრია ავად როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. განსხვავება ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში პლაგიატი ისჯება, ჩვენთან კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. უფრო მეტიც, არასრულყოფილი საკანონმდებლო ნიადაგის გამო პლაგიატის შემთხვევები არათუ კლებულობს, არამედ მატულობს, და სავსებით შესაძლოა, დღისით და მზისით ყოველგვარი ნებართვისა და მითითების გარეშე სხვისი სახელით საკუთარ შემოქმედებას გადაეყაროს კაცი. არადა, ჩვენში კანონმდებლობის უვარგისობისა და სხვა მიზეზთა გამოც მხოლოდ მოკრძალებულ მხილებას თუ დავჯერდებით. ესეც, თავის მხრივ, დიდ გამბედაობას ითხოვს. ფაქტი კი მაინც ერთია, თაობები რომ არ დაგვიავადდეს, ყველას და, განსაკუთრებით პედაგოგებს, ფრიადი სამკალის მომუშაკება მოგვეთხოვება.

მეთოდურ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ პლაგიატთან ბრძოლის სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც, უმთავრესად, მაღალკლასელებთან და სტუდენტებთან მუშაობისთვისაა გამიზნული, მაგრამ, ალბათ, უკეთესი შედეგის მისაღწევად აჯობებდა, მოსწავლეებისთვის დაწყებითი კლასებიდანვე გაგვეაზრებინა პლაგიატის უარყოფითი მნიშვნელობა, აგვეხსნა მისი ისტორია. თუკი სკოლაში ბავშვებს საფუძველშივე მივაჩვევთ სხვისი აზრის პატივისცემასა და ხაზგასმას, რომ ესა თუ ის აზრი სხვისია და არა საკუთარი, ეს ჩვენ მიზანთან მიგვაახლოებს. საჯარო თუ კერძო სკოლების მე-5 კლასელებთან ურთიერთობით გამოიკვეთა, რომ სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლეებს არ უჭირთ ავტორის დამოწმება. მაგალითად, ტექსტის გაშინაარსებისას ან ანალიზისას თუკი ვასწავლით, რომ შესავალშივე მოიხსენონ ტექსტის ავტორი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერთი ნაბიჯით წინ ვართ. არადა, ამ საფეხურზე ბავშვებს სკოლებში ძალიან ხშირად შინაარსს აწერინებენ ისე, რომ არსად ჩანს, თუ ვის ტექსტს ეხება საქმე.

პლაგიატთან ბრძოლისას უმთავრესად ინფორმირების, გაფრთხილების და გამოაშკარავების ცნებები (ჰარისი, 2015) გამოიყენება. მათი გათვალისწინებით შესაძლებელია სკოლაში ანტი-პლაგიატის შემდეგი სტრატეგიების ჩამოყალიბება:

სტრატეგია პირველი: **ინფორმირება** – იგი პლაგიატთან დაკავშირებული თვითშეგნების ამაღლებას უწყობს ხელს. მოსწავლეებზე (თუნდაც მაღალკლასელებზე) დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი საკითხის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციით შემოიფარგლებიან. მათმა უმრავლესობამ მხოლოდ თეორიულად თუ იცის, რომ პლაგიატი სხვისი აზრის მიტაცებაა, მაგრამ ის, რომ Plagiarium ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გამტაცებელს, მაცდურსა და მძარცველს აღნიშნავს, რომ plaga – ხელში ჩაგდება, დაპყრობა, მიტაცება, მახეში გაბმაა, და თანამედროვე მნიშვნელობით ამ სიტყვის გამოყენება ევროპულ ენებში XVII საუკუნეში დაიწყეს, ამის შესახებ

ცოდნა არ აქვთ. ბავშვებს დააინტერესებთ იმის გაგებაც, რომ რომაულ სამართალში ტერმინი plagium (სიტყვასიტყვით – მოტაცება) აღნიშნავდა თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვას, რისთვისაც გარდაუვალი იყო გარიზგვა. (ad plagas). ამ მნიშვნელობით ვიქტორ ჰიუგო რომანში „კაცი, რომელიც იცინის“, ამ ტერმინს ბავშვის ქურდობასთან დაკავშირებით იყენებს. ლიტერატურული საკუთრების ქურდობამ კი სახელწოდება plagium litterarium მე-17 საუკუნეში მიიღო. (https://ru.wikipedia.org/wiki/Плагиат)

სტრატეგია მეორე: ვისწავლოთ და ვასწავლოთ, რა არ არის პლაგიატი.

პლაგიატად ვერ ჩაითვლება ამბის, სიუჟეტის, ფაბულის გამეორება. ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთან პარალელის გავლებისას სკოლის მოსწავლეები და სტუდენტებიც კი ხშირად კითხულობენ, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს უნებლიე პლაგიატად გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და თომას ელიოტის „ფუტურო ადამიანები“, აკაკის „სულიკო“ და ედგარ ალან პოს „ანაბელ ლი“, იმავე ავტორის „ყორანი“ და ბარათაშვილის „მერანი“..., ვეუბნებით, რომ – არა, რომ მისწრაფება დაკარგული „სამშობლოს“ პოვნისა ყველა რომანტიკოსს გულით აერთიანებს, რომ „ბოდლერის მეთოდი“ (თ. ჩხენკელი), შექმნას პოეზიის ისეთი სამყარო, სადაც ზმანება ბატონობს, საზიაროა ყველა სიმბოლისტისათვის, რომ „სიცოცხლის სიიაფე“ (კ. მაკ კულერსი) რეალიზმის კუთვნილებაა. აუცილებელია, კარგად განისაზღვროს რემინისცენციისა და ალუზიის არსიც, დადგინდეს მიმართება შემოქმედებით გავლენასა და პლაგიატს შორის. ბავშვებისთვის საინტერესოა იმის გაგება, რომ გალაკტიონის „ათი ქალწული“ ბიბლიური იგავის რემინისცენციაა და არა პლაგიატი, რომ სურამის ციხის მოტივზე არაერთი ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას, რომ, ზოგადად, მითები კვებავს ხელოვნებას (ა. ბაქრაძე)... რომ ვაჟა ალუდას დახასიათებისას მომაკვდავ თინიბექაის აცოცხლებს და თავად ალუდას უკვდავებას ანიჭებს. სიტყვა გამექცა, მაგრამ დაუვიწყარი ტაეპებია: „ვერვინ მაჰრივა იღბალი, ვერავინ უყვა ავია, გველმა ვერ გასჭრა ლიბოი, დღესაც ცოცხალი არია“ (შდრ. „თინიბექაურთ ციხესა ლიბოში გველი სძვრებისა“)... და ეს მითოსური ალუზიაა.

სტრატეგია მესამე: მოვაწყოთ საკლასო, ინტერდისციპლინური დისკუსიები პლაგიატის შესახებ. გავაცნოთ მოსწავლეებს პლაგიატის სახეები და შემთხვევები. ვასწავლოთ, რა არის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი პლაგიატი, თვითპლაგიატი, მოზაიკური, სტრუქტურული

> **პლაგიატი სენია და მასთან ბრძოლა ისეთივე აუცილებელია, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის დაავადებასთან. სამწუხაროდ, მისით ბევრია ავად როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. განსხვავება ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში პლაგიატი ისჯება, ჩვენთან კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.**

> **მოვაწყოთ საკლასო, ინტერდისციპლინური დისკუსიები პლაგიატის შესახებ. გავაცნოთ მოსწავლეებს პლაგიატის სახეები და შემთხვევები. ვასწავლოთ, რა არის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი პლაგიატი, თვითპლაგიატი, მოზაიკური, სტრუქტურული და შემთხვევითი პლაგიატი.**

და შემთხვევითი პლაგიატი. მიიჩნეულია, რომ მოსწავლეებში საზროვნო ტრანსფერების განვითარება ხელს უწყობს მაღალი დონის, სინთეზური აზროვნების ჩამოყალიბებას. თუკი ტრანსფერი ხორციელდება გაკვეთილზე განხილული თემის ანალოგიურ თემებთან მიმართებით, მასწავლებელი მოსწავლეს ნასწავლ საკითხს აკავშირებინებს სხვა სფეროებში არსებულ ცოდნასთან ან ლიტერატურულ ნაწარმოებში არსებული ფაქტებისა და პრობლემების ამოცნობას შეაძლებინებს და ავალებს სხვა ტიპის ტექსტზე, მაგ. ისტორიულ წყაროზე დაკვირვებით შეასრულოს იგივე ამოცანა, აუცილებელია, დაზუსტებით დავასახელებინოთ ესა თუ ის წყარო თუ ავტორი.

სტრატეგია მეოთხე: **გაფრთხილება** – ვუთხრათ უარი პლაგიატს, ვისწავლოთ მისგან თავდაცვა. აუცილებელია საკლასო მუშაობის დროს, ყოველთვის – იქნება ეს წერა თუ ზეპირმეტყველება – მივაჩვიოთ ბავშვები ავტორისა და წყაროების დამოწმებას. ვასწავლოთ, რა არის ციტირება, რა არის პერიფრაზი, შევქმნათ სქემები, სლაიდები, ვუჩვენოთ მაგალითები, გამოვუმუშაოთ პერიფრაზირებისა თუ ციტირების უნარი და ვავარჯიშოთ.

სტრატეგია მეხუთე: **გამოაშკარავება**, რაც გულისხმობს ერთმანეთის ნააზრევის თუ ნაწერების ხმამაღლა გაცნობისას სასწავლო წლის მანძილზე მუდმივად პლაგიატის გამოვლენაზე ორიენტირებას, Google-ისა და სხვა მძებნელების გამოყენებას, საკლასო გარემოში პლაგიატის დასჯის წესების გაცნობას და საკუთარი წესების შემუშავებას.

დაბოლოს, ძვირფასი ბავშვები ხალისიანი ინტერპრეტაციით იმეორებენ ხოლმე „ევას დღიურებში“ ჩაწერილ ფრაზას: ადამი ნამდვილად იღბლიანი ადამიანი იყო, არც სხვის ხუმრობებს იმეორებდა და არც პლაგიატისგან სჭირდებოდა დაცვაო, მაგრამ თუ ამ საკითხს ყველაზე წინა პლანზე წამოვწევთ და სასწავლო წლის დასაწყისშივე, ვიდრე ხელში კალამს ავაღებინებთ, სათანადოდ მოვახდენთ აქცენტირებას, საქმე მათაც გაუიოლდებათ და ჩვენც ზნეობრივად ჯანსაღ თაობებს აღვზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გოდუაძე, პერიფრაზისა და პარაფეზისათვის, ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი, თბ., 2015. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=941
2. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, III-IV, თბ., 1989;
3. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, თბ., 2007;
4. ლ. წულაძე, აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბ. 2007.

სასარგებლო ელ-რესურსები:

1. http://abacus.bates.edu/cbb/quiz/intro/types.html
2. http://www.readwritethink.org/classroom-resources/lesson-plans/exploring
3. plagiarism-copyright-paraphrasing-1062.html
4. http://abacus.bates.edu/cbb/quiz/intro/types.html
5. https://ru.wikipedia.org/wiki/Плагиат
6. http://www.theguardian.com/books/2005/nov/23/comment.stephenmoss
7. www.collegeboard.com;
8. www.plagiarism.org;
9. www.hnn.us;www.wikipedia.org;

უდისციპლინობის ფენომენი

მაია ჯალიაშვილი

მოსწავლის ქცევისა და ემოციების მართვა უმნიშვნელოვანესია სწავლებისას. ამაზე ზრუნვა დაწყებითი კლასებიდანვე იწყება და სკოლის დამთავრებამდე გრძელდება. ხანდახან ადამიანი მოზრდილობის ასაკშიც ვერ მართავს თავს, ე.ი. არ არის თავისუფალი. ასეთი ადამიანი კი სხვის თავისუფლებასაც იოლად შელახავს და საზოგადოების თავსატეხად იქცევა.

მაშ, როგორ უნდა მოიქცეს სკოლა, ზოგადად, და კონკრეტულად - მასწავლებელი, რომ მოსწავლე იყოს ყურადღებიანი, მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული, იმედით აღსავსე, ხალისიანი და გამარჯვების მისაღწევად განწყობილი?

თანამედროვე აღმზრდელობითი სისტემები თუ დიდაქტიკური ტექნოლოგიები დიდ ადგილს უთმობენ სასკოლო დისციპლინის საკითხებს. ცნობილია გამოთქმა: ბავშვმა თუ სკოლაში არ იგრძნო თავი, როგორც მასზე მზრუნველ და მშობლიურ გარემოში, მაშინ ის აირჩევს ქუჩას, საიდანაც ისევ სკოლაში შემოიტანს აგრესიულობასა და არსებობისთვის, გადარჩენისთვის ბრძოლის იმგვარ მეთოდებს, რომლებიც ნაკლებად ეთანხმება ზნეობრივ-ეთიკურ წესებსა და კანონებს. ცნობილია, რომ დისციპლინა არ არის თანდაყოლილი ფენომენი, ის აღზრდის შედეგია; ამიტომაც დღემდე არ წყდება დისკუსიები იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს დისციპლინას, რა ახდენს მასზე მავნე თუ კეთილისმყოფელ ზეგავლენას. დისციპლინა გარკვეული წესრიგის მორჩილებას ნიშნავს, შესაბამისად, ხანდახან უდისციპლინობა გაიგება, როგორც ნორმისგან გადახვევა, ერთგვარი თავისუფლება. რა თქმა უნდა, დისციპლინა არ უნდა იყოს ასოცირებული შეზღუდვასა და დასჯასთან, თუმცა ასეც ხდება ხოლმე და დისციპლინა უარყოფით ემოციებს უკავშირდება.

დოქტორი რიჩარდ ქარვინი, მოსწავლეთა ქცევის მკვლევარი, წერს: როდესაც ზიგმუნდ ფროიდმა განაცხადა: „ზოგჯერ სიგარა სიგარაა“, აქ გასაღები სიტყვა არის „ზოგჯერ“, რადგან სიგარა ზოგჯერ უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, სიგარა. ასევეა, როდესაც ჩვენ მოსწავლეთა ცუდ ქცევას ვაფასებთ. ხანდახან უდისციპლინობის მიზეზი სულ სხვაა, ვიდრე ჩვენ გვგონია და სულ სხვაგვარ შეფასებასა და ჩარევას საჭიროებს. ხშირად რთული განსასაზღვრი და გასაანალიზებელია, რატომ იქცევიან ბავშვები ამგვარად თუ იმგვარად. რიჩარდ ქარვინს მოჰყავს მოსწავლეთა უსაქციელობის მაგალითები და მათ სრულიად ახალი რაკურსით განიხილავს. მისი გამოცდილება, რა თქმა უნდა, საინტერესო, საგულისხმო და გასაზიარებელია. ყოველი მოცემული შემთხვევის დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია. ზოგიერთი მოსწავლე ქრონიკული უდისციპლინობით გამოირჩევა. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ იქცევიან ისინი არასასკოლო, სახლის ვითარებაში; რა განაპირობებს მათ უხეშობასა თუ უზრდელობას; როგორი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, სხვა უფროსებთან. მისი აზრით, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ვითარებისთვის საუკეთესო პასუხები უფრო იოლი საპოვნელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

> საკლასო გარემო ორმხრივი ურთიერთობით იქმნება. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, უფრო დიდი პასუხისმგებლობა აქვს, სწორად და ზუსტად გააანალიზოს კლასში მიმდინარე ფარული თუ ზედაპირული პროცესები და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

რიჩარდ ქარვინის კლასიფიკაცია ასეთია:

1. ხანდახან მოსწავლის უდისციპლინობის, არასათანადო ქცევის მიზეზი მასწავლებლის სიყვარულია.

შეიძლება ზოგიერთმა მოსწავლემ მასწავლებელთან ურთიერთობისას იმგვარი ფსიქიკური ტრავმა, სულიერი ტკივილი განიცადა, რომ კედელი ააგო საკუთარ თავსა და სხვებს შორის. რაც უფრო უახლოვდებით ასეთ მოსწავლეს, მით მეტ ტკივილს აყენებთ. რაც უფრო ძლიერია ეს ტკივილი, ის მით უფრო გკრავთ ხელს, ცდილობს თქვენგან დაშორებას. ასეთ შემთხვევაში, თქვენ დაასკვნით, რომ ან არ მოსწონხართ, ან პატივს არ გცემთ. ბევრი მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ეს სტრატეგია თუ ამართლებს ბევრ მოსწავლესთან, შეიძლება გამოჩნდეს ორიოდე ისეთი შემთხვევაც, როცა სიახლოვე აშინებს მოსწავლეს და იწვევს უხეშობასა და სხვაგვარ თავხედურ ქცევას.

2. ხანდახან მოსწავლეს უნდა, რომ დაგიმტკიცოთ რაიმე, გაჩვენოთ თავდაჯერებულობა.

ზოგიერთ მოსწავლეს ჰგონია, რომ ყველაფერი მაშინ იქნება კარგად, როცა ყველაფერი უარესად იქნება. თანამედროვე თავისუფალი აღზრდის სისტემაში ბავშვები ხშირად ასე ფიქრობენ. ამგვარივე განცდა აქვთ მოსწავლეებს, რომელთაც მასწავლებლები სულ მცირე მიღწევისთვის აქებდნენ, აჯილდოებდნენ თუ ახალისებდნენ იმ სტრატეგიით, რომ შემდეგ ამგვარ მიდგომას შეწყვეტდნენ. ხანდახან გაყრილი მშობლების შვილები თავს მოტყუებულად და მიტოვებულად გრძნობენ. სანამ მოგენდობიან, ისინი ხელს გკრავენ, თანაც სულ უფრო ძლიერ და ელიან იმის გარკვევას, თქვენც ასევე მოიქცევით თუ არა.

საუკეთესო მიდგომა ორივე სიტუაციაში მსგავსია. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ იქცევიან, მიენდეთ, გჯეროდეთ მათი, თუნდაც ძალიან სერიოზული და უხეში დარღვევა ჰქონდეთ. უთხარით: „რაც ჩაიდინე, მიუღებელია ჩვენი კლასისთვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ისევ შენს მხარეს ვარ. მე არასოდეს შევწყვეტ თუ გადავიფიქრებ შენს ნდობას“. ამ მიდგომაში ორი საშიშროებაა:

1. თქვენ ამის თქმისას ნამდვილად გულწრფელი უნდა იყოთ. როგორც ნელ პოსთმენმა თქვა ერთხელ: მათ თითქოს ბუნებრივად აქვთ სიყალბის დეტექტორები. თქვენი ნდობა ნამდვილი უნდა იყოს. რასაც ამბობთ, იმას ნამდვილად უნდა განიცდიდეთ.
2. თუ ნათქვამს გადაუხვევთ, მაშინ თქვენც იმ უფროსთა რიგებში ჩაგწერენ, რომლებმაც მათგან პირი იბრუნეს. ეს კი მათგან უფრო დაგაშორებთ. თუ რაიმე ვალდებულებას აიღებთ, უნდა შეასრულოთ კიდეც და უარი არ თქვათ რაიმე გამამართლებელი მიზეზის გამო (რომელსაც ყოველთვის გამოძებნით). ნებისყოფა და მოთმინება უნდა გეყოთ, უერთგულოთ თქვენს ნათქვამს. რაც უფრო გულწრფელი იქნებით, მით უფრო გაგიიოლდებათ ეს საქმე.

3. ზოგჯერ მოსწავლეებს გარეგნობით იზიდავთ.

ბევრი მასწავლებელი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ცდილობენ, ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს დიდი ასაკობრივი სხვაობა არ იყოს მათსა და მოსწავლეებს შორის, აწყდებიან პრობლემებს მოსწავლეთა ქცევის მხრივ. როდესაც მოსწავლეებს მასწავლებელი იზიდავთ, მაშინ მათი მიზნებიც საერთო ხდება. ცხადია, ისინი ურთიერთობაში გამორიცხავენ რომანტიკულ დონეს (თუმცა ზოგიერთი შეიძლება ამას ცდილობდეს). ასე რომ, მასწავლებელთან მათი კავშირი ხორციელდება იმ გზებით, რომლებიც მათთვის გახსნილია. უფრო მცირე ასაკის მოსწავლეებს მასწავლებელი სხვაგვარად შეიძლება იზიდავდეთ, თუმცა ამგვარივე შედეგით. ისინი მასწავლებლებს უყურებენ, როგორც თავიანთ დედებს ან მამებს. ვფიქრობ, არაერთ თქვენგანს, რომლებიც დაწყებით კლასებს ასწავლით, ბავშვები ხშირად შეცდომით დედას გეძახიან.

ბევრი ახალგაზრდა მასწავლებელი, ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს, რომ ჩაიცვას აკადემიურად, არაგამომწვევად, უარი თქვას, მაგალითად, ჯინსებსა და მაისურზე, ან იმგვარ ჩასაცმელზე, რომელიც მათ ბავშვებთან გარეგნულად აახლოებს. ზომიერი მაკიაჟი გაიკეთეთ. კაცმა მასწავლებელმა კარგია, იაროს ჰალსტუხით ან ჩაიცვას სპორტული პიჯაკი. იყავით მოსწავლეებთან მეგობრული, მაგრამ არ გახდეთ მათი მეგობრები. თქვენ შორის უნდა იყოს გამოკვეთილი პროფესიული ზღვარი. არ მისცეთ საკვები მათ ფანტაზიას თქვენთან ურთიერთობაში.

4. ხანდახან მოსწავლეებს სურთ, რომ შეამჩნიონ

ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ფსიქოთერაპევტმა, როლო მეიმ თავის ნაშრომში „სიყვარული და მოვალეობა“ გამოთქვა ერთი უბრალო, მაგრამ ღრმა თვალსაზრისი: ყურადღება რაღაც ცუდის მიმართ უკეთესია, ვიდრე გულგრილობა ყველაფრის მიმართ. ეს თეორია ნაწილობრივ ხსნის ბოლო დროს სკოლაში გამოვლენილი ძალადობის შემთხვევებს. არავის სურს, რომ იყოს შეუმჩნეველი ან ანონიმური. მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ვერ ამჩნევენ, ცუდი ქცევა არის დროშის აფრიალება ყვირილით: „შემამჩნიეთ, მე ვარსებობ!“ ასეთ მოსწავლეებს ხშირად ვერ ამჩნევენ არა მხოლოდ თანატოლები და მასწავლებლები, არამედ ახლობლები და მშობლებიც.

ამ მოსწავლეებს შეიძლება იმით დავეხმაროთ, რომ ხანდახან მთელი კლასის თანდასწრებით კარში შემოსვლისას მივესალმოთ, ხშირად მივმართოთ, ვთხოვოთ, რომ დაგვეხმარონ სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისას, დაფასთან გამოვიძახოთ და დავაწერინოთ, ამა თუ იმ საკითხზე აზრი გამოვათქმევინოთ. მათი სახელები დავიმახსოვროთ, დერეფანში მივესალმოთ. ხანდახან სკოლის სხვა ადგილებშიც (ეზოსა თუ სასადილოში) მოვძებნოთ და რაიმე საკითხზე მოკლედ გავესაუბროთ.

ზემოთ მოყვანილი სიტუაციების ანალიზი შეიძლება გარკვეულწილად დაგეხმაროთ. თუ თქვენ ბავშვის ქცევას რაიმე თვალსაზრისით აფასებთ, სჯობს, რომ ეს უთხრათ პირადად და არა – მთელი კლასის თანდასწრებით. საჯაროდ არასოდეს გააკეთოთ მსგავსი კომენტარი: „მე არ მომწონს, როგორ ზის ალენი“. არანაირი მიზეზით არ დაწეროთ მათი სახელები დაფაზე. არასოდეს არ განიხილოთ მათი ქცევა სხვა მოსწავლეებსა თუ სხვა მშობლებთან. როდესაც ასეთი მოსწავლეების მშობლებს ესაუბრებით, არასოდეს დაადანაშაულოთ არც ბავშვები და არც მშობლები. იყავით უფრო შეუპოვრები, ვიდრე თქვენი ქრონიკულად უდისციპლინო მოსწავლეები და არასოდეს შეურიგდეთ შექმნილ ვითარებას, ყოველთვის გქონდეთ იმედი მათზე რაიმე ხერხით ზეგავლენისა და სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვისა.

მოსწავლეთა უდისციპლინობის რიჩარდ ქარვინისეული ანალიზი, ვფიქრობთ, მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, ნაცნობ პრობლემას ახალი რაკურსით შეხედონ და საგულისხმო დასკვნებიც გააკეთონ.

„მობრუნდა თუ არა კოლდუელი, იმწამსვე კოჭში ისარი შეესო. კლასში ხარხარი გაისმა. ტკივილი აჰყვა წვივის სიფრიფანა შუაგულს, მუხლის ბოლო გაბურღა და გამძვინვარებული,

„დღეს უამრავი ლიტერატურაა, მათ შორის, ავტობიოგრაფიული, რომლებშიც წარმატებული ადამიანები სხვებს უზიარებენ განვლილ გზას. სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებისას მოსწავლეებზე უფრო იმოქმედებს თანამედროვე ადამიანთა გამოცდილება, ვიდრე შორეული წარსულის მაგალითები, რომლებითაც ხშირად ამაოდ ცდილობენ ხოლმე მათ დარწმუნებას.“

მუცელში ეძგერა. კოლდუელმა თვალი დააშტერა დაფას, რომელზედაც ის-ის იყო ცარცით დაწერა 5 000 000 000 – სამყაროს არსებობის სავარაუდო ხანა. კლასის სიცილი, გაოცებით აღმომხდარ წკმუტუნს რომ ჰგავდა, თავაშვებულ ხორხოცად იქცა“, – ასე იწყება ჯონ აპდაიკის სახელგანთქმული რომანი „კენტავრი“, რომლის მთავარი გმირიც ისტორიის მასწავლებელი კოლდუელია. რომელიღაც მოსწავლემ ჟანგიანი წვეტიანი ისარი კოჭში ესროლა და საშინელი ტკივილი მიაყენა, მაგრამ მან არ იცის, რომელმა ჩაიდინა ეს. „რამდენიმე ბიჭი ასაკეც მერხებზე ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით ახტა და გამომწვევი ზიზღით უცქერდა მასწავლებელს. შეუძლებელი იყო ამ აურზაურის ატანა. კოლდუელი კოჭლობით წავიდა გასასვლელისკენ და გაშმაგებული ზარზეიმი უკან მოიტოვა“.

ამ შემთხვევაში, მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის სრული გაუცხოებაა, არა იმიტომ, რომ მასწავლებელს პროფესიონალიზმი აკლია, ან ბავშვები არიან გამორჩეულად გულგრილნი და სასტიკნი. პრობლემა სულ სხვა რამაა. ეს „სხვა რამ“ მასწავლებლის სკოლასთან, საზოგადოებასა და მოსწავლეებთან დამოკიდებულებაა. კოლდუელი გაუცხოებულია საკუთარი თავისა და სამყაროსგან, დაეძებს ყოფიერების საზრისს და, შესაბამისად, გაურბის რეალობას. მოსწავლეები გრძნობენ, რომ მასწავლებელი მათთან არ არის, უფრო მეტიც, საერთოდ არ აინტერესებს მათი ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, თავს არ ზოგავს. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სწორედ ეს კომუნიკაციაა მთავარი, რომლის შექმნასა და გამუდმებით სრულყოფაზეც უნდა ზრუნავდეს მასწავლებელი. პედაგოგს აქვს თავისი ღირებულებები, რომლებიც განაპირობებენ მის შეხედულებებსა და მოსწავლეებთან დამოკიდებულებას. საკლასო გარემო ორმხრივი ურთიერთობით იქმნება. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, უფრო დიდი პასუხისმგებლობა აქვს, სწორად და ზუსტად გააანალიზოს კლასში მიმდინარე ფარული თუ ზედაპირული პროცესები და სათანადო დასკვნები გამოიტანოს. მხოლოდ ამგვარი ანალიზის საფუძველზე უნდა შეცვალოს თავისი ქცევა თუ სწავლების მეთოდები. ყველა პედაგოგს ჰქონია „გამარჯვებისა“ თუ „დამარცხების“ პერიოდები, თუმცა არც ერთმა და არც მეორემ არ უნდა გამოიწვიოს „თვლემა“, უმოძრაობა. მოსწავლეებთან ურთიერთობა ისეთივე რთული, მოულოდნელობებითა და უცნაურობებით აღსავსეა, როგორიც – ცხოვრება.

მასწავლებელი ყოველი გაკვეთილის წინ უნდა ეკითხებოდეს თავს, აქვს თუ არა შემართება, რომ მოსწავლეები განაწყოს სწავლისთვის, „ცოცხალი“ გაკვეთილისთვის. თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი ისე წავა, როგორც პედაგოგმა დაგეგმა, მაგრამ თუ მასწავლებელმა ვერ შეძლო საკლასო ოთახის ზღურბლთან თავისი უხალისობის, მოდუნებულობის, დაუკმაყოფილებლობის და სხვა ასეთი დეპრესიული შეგრძნებების დატოვება, მაშინ კლასსაც გადაეცემა ეს ვირუსივით და არ დაინთება ის ნაპერწკალი, რომელიც აუცილებელია მაღალი ხარისხის სწავლებისთვის.

თუ მოსწავლეები სწავლისთვის არ იქნებიან მოტივირებულნი, მაშინ გაუჩნდებათ სხვა მოტივაციები, მათ შორის, უდისციპლინობისა. როგორც განათლების ექსპერტი ბენ ჯონსონი ამბობს, მოსწავლეს ისე უნდა უნდოდეს ცოდნის შეძენა, როგორც სუნთქვა. ის მოიხმობს ამგვარ მეტაფორას: წყალში ჩავარდნილს, უპირველესად, სუნთქვის აუცილებლობა უჩნდება. ცხოვრებაც ასეთი მდინარეა, რომელმაც შეიძლება ჩაძიროს ადამიანი, თუ არ ისუნთქა და იმოძრავა. მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ რასაც პედაგოგი ასწავლის, სწორედ ეს სუნთქვაა, რომელმაც უნდა გადაარჩინოს. ბენ ჯონსონის აზრით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს სწავლის ძლიერი მოტივაციის შექმნა.

რისთვის უნდა ვისწავლო? ამ კითხვას თანამედროვე ცხოვრების შესაბამისი პასუხი უნდა მოეძებნოს. შეიძლება მოსწავლე სრულიად ვერ ხედავდეს და ვერ აცნობიერებდეს სწავლის მიზანს, ან ერთმანეთთან ვერ აკავშირებდეს, ვთქვათ, მილიონერობასა და განათლებას. დღეს უამრავი ლიტერატურაა, მათ შორის, ავტობიოგრაფიული, რომლებშიც წარმატებული ადამიანები სხვებს უზიარებენ განვლილ გზას. სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებისას მოსწავლეებზე უფრო იმოქმედებს თანამედროვე ადამიანთა გამოცდილება, ვიდრე შორეული წარსულის მაგალითები, რომლებითაც ხშირად ამაოდ ცდილობენ ხოლმე მათ დარწმუნებას.

უდისციპლინობა ხანდახან ბავშვის პასუხია სამყაროს (ამხანაგის, პედაგოგების, მშობლების და სხვ.) უსამართლობასა და შეურაცხყოფაზე, ამიტომ უპირველესია ზრუნვა იმგვარი სასკოლო გარემოს შექმნაზე, სადაც უმთავრესი ღირებულებები იქნება სხვების აზრის პატივისცემა, ღირსების დაფასება, მოსმენა, თანაგრძნობა.

აქციეთ მოსწავლეები საკუთარი პრობლემების ექსპერტებად

ცვატა ბერძენიშვილი

ჭადრაკის ოსტატთა ცოდნის კვლევისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ოსტატმა იცის ჭადრაკის ფიგურების დაფაზე განლაგების დაახლოებით 50 ათასი ვარიანტი. მას შეუძლია, რამდენიმე წამში დაიმახსოვროს თითოეული მათგანის ადგილმდებარეობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი „ლექსიკური მარაგი“ 50 ათასი ნიმუშისგან/მაგალითისგან შედგება. დიახ, ფიგურათა კომბინაციები ჭადრაკის ოსტატისთვის ერთგვარ პროფესიულ ლექსიკას წარმოადგენს. თუ წამით დახედავთ ნაცნობ სიტყვას, შეძლებთ მის დამარცვლას, რადგან გეცოდინებათ, რომელ ასოს რა მოსდევს, მაგრამ თუ სიტყვაში ასოები არეულია, ერთი შეხედვით მათი თანმიმდევრობის დამახსოვრება გაგჭირდებათ. ასევეა ჭადრაკშიც. როდესაც ფიგურები ყოველგვარი წესის დარღვევითაა განლაგებული დაფაზე, ჭადრაკის ოსტატი ჩვეულებრივი მოთამაშისგან არაფრით განსხვავდება. ოსტატის მეხსიერება შედგება იმ მოდელებისგან, რომლებსაც ლოგიკური მნიშვნელობა აქვს და რომლებიც თამაშის დროს შეიძლება შეხვდეს მოთამაშეს.

ასეთივე ფენომენთან გვაქვს საქმე სხვა პროფესიების შემთხვევაშიც. მიხვედრა, როგორ გადავჭრათ ესა თუ ის პრობლემა, ემყარება წარსულის გამოცდილებას/ნიმუშს. გამოცდილი ფიზიკოსები, ახალბედებისგან განსხვავებით, თავიანთ ცოდნას განალაგებენ ცენტრალური პრინციპების გარშემო, მაშინ როდესაც ახალბედები პრობლემის სპეციფიკურ, უმნიშვნელო დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, რომელიმე ფიზიკური ამოცანის ამოხსნისას თავჩენილი პრობლემების კლასიფიკაციის დროს ახალბედა ფიზიკოსები გარე, ეგრეთ წოდებული მეორეხარისხოვანი მახასიათებლების შესწავლას იწყებენ (მაგალითად, რა ტექნიკური დეტალი, აპარატია გამოსაყენებელი), მაშინ როდესაც ექსპერტები პრობლემებს აჯგუფებენ ფიზიკის პრინციპების (როგორიცაა, მაგალითად, ნიუტონის კანონი) მიხედვით, რაც აუცილებელია ამ ამოცანის ამოსახსნელად.

ექსპერტებს შეუძლიათ პრობლემის სწრაფი პრეზენტაცია და მომდევნო ეტაპების სწრაფი დაგეგმვა. მათ მეხსიერებაში აკუმულირებული ნიმუშები/სქემები ეხმარება. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის აღქმისა და მისი გადაჭრის სტრატეგიის დადგენა სინქრონულად, ავტომატურად მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპერტს უნდა ჰქონდეს დიდი რაოდენობის მოდელი/ნიმუში/სქემა. ექსპერტის დონის ცოდნა მოითხოვს კონკრეტულ სფეროში საჭირო ცოდნის შეძენას/აკუმულირებას. ამისთვის საჭიროა კონკრეტულ სფეროში არსებული პრობლემებისა და დაგროვილი გამოცდილების გაცნობა. ექსპერტად გახდომისთვის ადამიანს თავადაც მრავალი პრობლემის გადაჭრის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ექსპერტად რომ ჩაითვალოს, სპეციალისტს დაახლოებით ათწლიანი კვლევის ათი ათასი საათი სჭირდება.

> ექსპერტი გეგმავს, ხშირად ამარტივებს საკითხებს მუშაობის პროცესში და აწარმოებს პროგრესის მონიტორინგს – ამრიგად, დრო ფუჭად არ იკარგება – დასაწყისშიც და მერეც მთელი პროცესის განმავლობაში ხდება სუსტი იდეებისა და არასწორი მიდგომების უკუგდება.

ექსპერტების ცოდნის მდიდარი მარაგი გამყარებულია თეორიულად და პრაქტიკაშიც დანერგილია. აქედან გამომდინარე, ადვილია გრძელვადიან მეხსიერებაში არსებული ცოდნის საჭიროების შემთხვევაში აღდგენა და გამოყენება. ექსპერტებს შეუძლიათ, თავიანთი ექსტენსიური ცოდნა გამოიყენონ ინფორმაციის უფრო ადვილად შესწავლისა და აღდგენისთვის. მაგალითად, შევადაროთ მე-4 კლასის მოსწავლეები, რომლებიც ცუდად იცნობენ ფეხბურთის წესებს, მათსავე თანატოლებს, რომლებსაც ამ სფეროში ექსპერტის დონის ცოდნა აქვთ. ეს უკანასკნელნი უფრო ადვილად იმახსოვრებენ ფეხბურთთან დაკავშირებულ ახალ ცნებებს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფის მოსწავლეებს



სხვა სფეროში ინფორმაციისა და ცნებების შესწავლისა და დამახსოვრების ერთნაირი უნარი აქვთ. ფეხბურთის ექსპერტები ფეხბურთის სფეროსთან დაკავშირებული ცნებების კლასიფიკაციას ახდენენ და მათთვის ადვილია მეხსიერებიდან ერთხელ ნასწავლი ტერმინის გამოყენება. მცირე ასაკის ბავშვებიც კი, რომლებსაც კონკრეტულ სფეროში ექსპერტის დონის ცოდნა აქვთ, თავიანთი ცოდნის ორგანიზებისას სტრატეგიებს იყენებენ.

ცოდნის ორგანიზებული ფორმით ჩამოყალიბებასთან ერთად ვითარდება დაგეგმვისა და მონიტორირების უნარიც. ექსპერტები ბევრ დროს უთმობენ პრობლემის ანალიზს, დიაგრამების შედგენას, კომპლექსური პრობლემების მცირე საკითხებად/ ნაწილებად დაშლასა და გეგმის შედგენას, მაშინ როდესაც ახალბედები იწყებენ ფორმულის ამოხსნით, რასაც მალევე მოსდევს ნაშრომის პირველი პარაგრაფიც. ექსპერტი გეგმავს, ხშირად ამარტივებს საკითხებს მუშაობის პროცესში და აწარმოებს პროგრესის მონიტორინგს - ამრიგად, დრო ფუჭად არ იკარგება - დასაწყისშიც და მერეც მთელი პროცესის განმავლობაში ხდება სუსტი იდეებისა და არასწორი მიდგომების უკუგდება.

> ექსპერტებს შეუძლიათ პრობლემის სწრაფი პრეზენტაცია და მომდევნო ეტაპების სწრაფი დაგეგმვა. მათ მეხსიერებაში აკუმულირებული ნიმუშები/სქემები ეხმარება. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის აღქმისა და მისი გადაჭრის სტრატეგიის დადგენა სინქრონულად, ავტომატურად მიმდინარეობს.

ჩიმ, გლასერმა და ფარიმ ჩამოაყალიბეს ექსპერტთა ზეუნარების ნუსხა, რომელიც ასე გამოიყურება:

ექსპერტები

1. ახდენენ კონკრეტულ ინფორმაციაში დიდი, მთავარი მნიშვნელობის ნიმუშების იდენტიფიკაციას;
2. ამოცანას ასრულებენ სწრაფად და თითქმის უშეცდომოდ;
3. პრობლემებს განიხილავენ სიღრმისეულად;
4. ახდენენ ინფორმაციის აკუმულირებას მუშა და გრძელვადიან მეხსიერებაში;

5. ბევრ დროს უთმობენ პრობლემის ანალიზს;
6. უფრო ეფექტურად ახდენენ თავიანთი აქტივობების მონიტორინგს.

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება პრობლემის გადაჭრის სფერო, ისეთი, როგორიცაა, ვთქვათ, ჭადრაკი, ფიზიკა ან კომპიუტერული პროგრამირება, ექსპერტების ზემოაღნიშნული უნარ-ჩვევები თანამიმდევრულად ამოქმედდება. მაგრამ თუ პრობლემის გადაჭრის სფერო ზუსტად არ არის გამოკვეთილი და არც მთავარი პრინციპებია დადგენილი, განსაკუთრებით – ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, ეკონომიკა და ფსიქოლოგია, განსხვავება ექსპერტებსა და დამწყებ სპეციალისტებს შორის არც ისე დიდია.

მეცნიერები, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში ექსპერტსა და ახალბედა სპეციალისტს შორის განსხვავებას იკვლევდნენ, საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ფიზიკის სფეროდან. ახალბედა სპეციალისტთა უმრავლესობა ფიზიკის სფეროს მცდარი ინფორმაციით განიხილავს. ასე უმეტესად იმიტომ ხდება, რომ ინტუიციური იდეები ფიზიკური სამყაროს შესახებ არასწორია. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამა თუ იმ საგნის დასანახად ის ადგილი უნდა გავანათოთ, სადაც საგანია მოთავსებული. ე.ი., მათი აზრით, სინათლე საგნის დანახვაში გვეხმარება. მოსწავლეები ვერ ხვდებიან, რომ საგანი აირეკლავს სინათლეს და ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ ვხედავთ მას. ეს ცნება არ შეესაბამება მათ ყოველდღიურ გამოცდილებას, როცა ვანთებთ შუქს ბნელი სივრცის „გასანათებლად“.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის ალბათ ფრიად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რა ინტუიციური მოდელები აქვთ მათ მოსწავლეებს ძირითადი ცნებების შესახებ. თუ მოსწავლის ინტუიციური მოდელი ბევრ მცდარ და არაზუსტ შეხედულებას შეიცავს, მას პრობლემაზე არაადეკვატური და მცდარი წარმოდგენა შეექმნება. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ იყენებს ტერმინს „მცდარი წარმოდგენა“. ისინი ამა თუ იმ სფეროში მოსწავლის საწყის ცოდნას გულუბრყვილო ან ინტუიციურ შეხედულებას უწოდებენ. ახალი ინფორმაციის გასაგებად და პრობლემების გადასაჭრელად ხშირად საჭიროა, მოსწავლეებმა დაივიწყონ მიღებული იდეები. რა თქმა უნდა, ცნებების შესახებ ინტუიციური შეხედულებების შესაცვლელად საჭიროა მოტივაცია. იმისთვის, რომ ადმიანებმა შეცვალონ ძირითადი ცნებები, საჭიროა ოთხი ძირითადი პირობა:

1. მოსწავლეებმა უნდა შეიცვალონ დამოკიდებულება არსებული ცნების მიმართ; ეს ცნება განხილულ უნდა იქნეს როგორც არაზუსტი, დაუსრულებელი ან გამოუსადეგარი;
2. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ ახალი ცნება;
3. ახალი ცნება უნდა იყოს დამაჯერებელი, ის უნდა მოერგოს მოსწავლეთა ცოდნის ჩარჩოებს;
4. ახალი ცნება უნდა იყოს სასარგებლო – ის წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი და კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოსადეგი.

რეკომენდაციები

ჰკითხეთ მოსწავლეებს, დარწმუნებულნი არიან თუ არა, რომ კარგად ესმით პრობლემის არსი:

- შეუძლიათ თუ არა, გამოყონ ინფორმაციის რელევანტური და არარელევანტური ნაწილები?
- კარგად აქვთ თუ არა გააზრებული თავიანთი გადაწყვეტილებების ლოგიკა?
- დაეხმარეთ, მოახდინონ პრობლემის ვიზუალიზაცია დიაგრამებისა თუ ნახაზების საშუალებით.
- სთხოვეთ, მოახდინონ პრობლემის პრეზენტაცია სხვების წინაშე. როგორი იქნება კარგი გადაწყვეტილება?
- ურჩიეთ, სხვადასხვა კუთხით განიხილონ და შეაფასონ პრობლემა.
- დაასახელეთ რამდენიმე შესაძლებლობა და სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.
- ავარჯიშეთ მოსწავლეები თავიანთი მოსაზრებების გამოთქმასა და დაცვაში.
- მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ. ნუ მიაწვდით მათ მზა პასუხებს.
- შესთავაზეთ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პრობლემები, რათა თითოეულ მოსწავლეს მიეცეს მუშაობის შანსი.
- ლმობიერად მოექეცით მოსწავლეებს, თუ ისინი ასაბუთებენ პრობლემის გადაჭრის „მცდარ“ გზას.
- არ მისცეთ ჩიხში შესულ მოსწავლეებს დანებების საშუალება. აცადეთ ფიქრი. არ დაინანოთ მინიშნებები.
- დაეხმარეთ ალტერნატივების ანალიზის უნარის ჩამოყალიბებაში.
- პრობლემის გადაჭრისას იფიქრეთ ხმამაღლა.
- ჰკითხეთ: „რა მოხდება, თუ?..“
- ჩამოწერეთ მოსაზრებები.

დავით ბოლქვაძე

სიკეთე სასწავლო პროცესში

> მშობლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბავშვმა შეიძლება თავი დაიდანაშაულოს მის სიკვდილში. თუ ბავშვთან უშუალო კავშირში მყოფი ადამიანები შეძლებენ ამ განცდის განეიტრალებას, ბავშვის რეაბილიტაციის პროცესი უფრო გაიოლდება.

ადრეული ბავშვობიდანვე გვასწავლიან, რომ სიკეთე, თანაგრძნობა, დახმარების გაწევა საუკეთესო ადამიანური თვისებებია. მოგვიანებით ოჯახთან ერთად მოზარდებში ამ კეთილშობილური თვისებების განვითარებაზე სკოლაც ზრუნავს. ბავშვობისა და მოზარდობისას უამრავ ინფორმაციას (ანდაზები, ხალხური გამონათქვამები, ლექსები, მოთხრობები და ა.შ) ვეცნობით სიკეთის არსზე, მის დანიშნულებაზე, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე და სიკეთის უცილობელ გამარჯვებაზე.... ამასობაში ჩვენც გავდივართ ცხოვრების გზაზე და უკვე პრაქტიკაში გვიხდება მოსმენილის თუ ნასწავლის გადამოწმება. ზოგჯერ ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, ზოგჯერ სიამოვნების გრძნობითაც ავივსებით ხოლმე. თუმცა მოდით, ისევ სკოლას მივუბრუნდეთ. როგორც ირკვევა, მოსწავლეებში სიკეთის გრძნობის გაღვივება არა მარტო მათი სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისთვისაა აუცილებელი, არამედ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახლავთ აკადემიური მოსწრების დონის ასამაღლებლად. სიკეთის გამოვლინების თითოეული აქტი, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, კმაყოფილებას ანიჭებს როგორც მის ადრესატს, ასევე გამცემს. ყოველი კეთილი საქციელი დადებითი ფსიქოლოგიური სტიმულია ბავშვისთვის, დადებითი ემოციური განწყობა კი ხელს უწყობს სწავლის პროცესს. ამგვარად, რაც უფრო ხშირად მოიმოქმედებს ბავშვი რაიმე კეთილ საქციელს, მით უფრო მეტად იცვლება მისი ხასიათი და აზროვნება უკეთესობისაკენ.

რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „ფსიქოლოგიის მეცნიერებაში“ გამოქვეყნდა 1,5-2 წლის ბავშვებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. პატარებს აჩვენებდნენ ოთხ თითქმის იდენტურ სურათს, სადაც ცენტრში მათთვის კარგად ნაცნობი საგანი (მაგ; ჩაიდანი) იყო გამოსახული, თუმცა ნაცნობ ნივთთან ერთად სურათებზე 4 განსხვავებული კომპოზიცია იყო მოცემული: კუბიკები, ორი ერთმანეთისაკენ მომზირალი თოჯინა, ერთი თოჯინა და ორი ერთმანეთისკენ ზურგით მდგომი თოჯინა. გამოირკვა, რომ მსგავსების მიუხედავად ის სურათი, რომელზეც ორი თოჯინა ერთმანეთს უყურებდა, დანარჩენ სამთან შედარებით სულ ცოტა სამჯერ მეტმა ბავშვმა მოიწონა. მეცნიერების აზრით, ეს ფაქტი თავაზიანად შეგვახსენებს, რომ თანადგომა ადამიანებში თავიდანვე კოდირებული თვისებაა და მას მხოლოდ ხელშეწყობა და განვითარება სჭირდება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ძალისხმევა, რადგანაც კეთილი, ემპათიის მქონე მოსწავლეები

„ყოველი კეთილი საქციელი დადებითი ფსიქოლოგიური სტიმულია ბავშვისთვის, დადებითი ემოციური განწყობა კი ხელს უწყობს სწავლის პროცესს. რაც უფრო ხშირად მოიმოქმედებს ბავშვი რაიმე კეთილ საქციელს, მით უფრო მეტად იცვლება მისი ხასიათი და აზროვნება უკეთესობისაკენ.“

აღწევენ უკეთეს აკადემიურ შედეგებს, ჰყავთ უფრო მეტი მეგობარი, კარგ ურთიერთობას ამყარებენ მასწავლებლებთან. გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდებულ მარტივ რჩევას, რომლებიც შესასრულებლად საკმაოდ იოლია, თუმცა ეფექტური შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს:

ა. სასწავლო წლის დასაწყისში საკლასო ოთახის მოწყობისას აუცილებლად შეარჩიეთ ერთი ისეთი პოსტერიც, რომელზეც ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან. როგორც კვლევა გვიჩვენებს, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ სურათსაც კი, რომელზეც უბრალოდ ორი ერთმანეთისაკენ მომზირალი ადამიანია გამოსახული, შეუძლია ბავშვებში წარმოშვას ურთიერთდაკავშირებულობის გრძნობა და ხელი შეუწყოს სიკეთის გაძლიერებას. ამასთანავე ხაზი ესმება მასწავლებლის მხრიდან ურთიერთანადგომისა და დახმარების გამოვლინების დაფასებას.

ბ. ყველა მასწავლებელი განსაკუთრებულად გულითადად ესალმება მოსწავლეებს სწავლის დაწყების პირველ დღეს. შემდეგ დღეებში მისალმების პათოსი კლებულობს და ზოგჯერ შესაძლოა მოსწავლესთან შეხვედრისას საერთოდ დაგვავიწყდეს კიდეც. არადა, გულწრფელი მისალმება ყოველდღე აუცილებელია, მთელი სასწავლო წლის მანძილზე. ეს მარტივი საქციელი მოსწავლეებში მიკუთვნებულობის გრძნობას ავითარებს და მოსწავლე-მასწავლებლის თანამშრომლობას უწყობს ხელს.

გ. შეეცადეთ, აკონტროლოთ საუბრის მანერა. მაქსიმალურად შეინარჩუნეთ პოზიტიური, თბილი ხმის ტონი. არ არის მართალი, რომ მოსწავლეებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გავუღიმოთ. როცა მასწავლებელი თავაზიან საუბრის ტონს ირჩევს მოსწავლეებთან, იზრდება იმის შანსი, რომ მოსწავლეებიც ასეთივე ტონს აირჩევენ ერთმანეთში საურთიერთობოდ.

დ. ხშირად მიეცით მოსწავლეებს ერთმანეთის დახმარების შანსი. ეს შესაძლებელია აკადემიური აქტივობების დროსაც მოვახერხოთ. მაგალითად, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ჯგუფური მუშაობის დროს მათ არა მარტო დავალების შესრულება, არამედ ერთმანეთის დახმარებაც ევალებათ. კვლევები აჩვენებს, რომ კოოპერატიულის წავლების დროს აქტიური ბავშვები არასასწავლო გარემოშიც დიდი მონდომებით ცდილობენ სხვების დახმარებას.

ვიდრე ისევ სკოლას დავუბრუნდებით, ორიოდე სიტყვით შევეხოთ უცხოეთში საკმაოდ პოპულარულ საზოგადოებრივ მიმდინარეობებს, რომლებსაც საფუძვლად სიკეთის კეთება უდევს. განსაკუთრებით საინტერესო გახლავთ მოძრაობა „გადაუხადე სხვას“ (pay it forward). ჩვენთან ის ნაკლებად ცნობილია, მაგრამ მას თავისი საკმაოდ ხანგრძლივი, საინტერესო ისტორია და ორგანიზე-

> **კარგად განვითარებული თანამშრომლობის უნარი ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, მათ შორის, სასწავლო პროცესშიც.**

ბული სამოქმედო სქემაც აქვს. მოძრაობაში ჩართულმა ადამიანმა სამი ისეთი კეთილი საქმე უნდა გაუკეთოს სხვებს, რომლის განხორციელება იმ ადამიანებს თავად არ შეუძლიათ. ხოლო მას, ვისკენაც მიმართული იქნება კონკრეტული მოქმედება, ევალება, თავის მხრივ, სხვას გაუწიოს რაიმე დახმარება და ა.შ. ამგვარად, ის ერთგვარი ფილოსოფიური მიმდინარეობა გახლავთ, რომლის შემქმნელების სურვილია სიკეთის საყოველთაო გავრცელების შედეგად დედამიწა გაცილებით უკეთეს ადგილად გადააქციონ, ვიდრე ის დღეს არის (დამეთანხმებით, ძალიან კეთილშობილური მისიაა, თუმცა რთული სათქმელია, რამდენად შესაძლებელია საბოლოო მიზნის მიღწევა). რაც შეეხება მოძრაობის ისტორიას, გაწეული დახმარების მესამე პირისათვის გადახდის იდეა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შექმნილ ნაწარმოებებში გვხვდება. ფილოსოფიური დანიშნულება კი მას პირველად ბენჟამინ ფრანკლინმა ბენჯამინ ვებისადმი 1784 წელს მიწერილ წერილში მისცა. თუმცა იქ მხოლოდ ნასესხებ ფულზე იყო საუბარი, რომელიც ვებს ფრანკლინისათვის კი არ უნდა დაებრუნებინა, არამედ სხვა პატიოსანი ადამიანისათვის ესესხებინა იმ პირობით, რომ ის სხვას ასესხებდა და ა.შ. მანამ, სანამ ვინმე არამზადა არ გაწყვეტდა ამ ჯაჭვს. ფრანკლინი თვლიდა, რომ ასეთი საქციელით შედარებით მცირე თანხით ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. ტერმინი "pay it forward" განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1951 წელს, ფანტასტი მწერლის რობერტ ჰეინლეინის წიგნის „პლანეტებს შორის" გამოქვეყნების შემდეგ. ჰეინლეინი აქტიურად მოღვაწეობდა ამ მიმართულებით. მას ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. დღეს მისი სახელობის რამდენიმე საქველმოქმედო ფონდი და პროგრამა მოქმედებს. 2000 წელს გამოვიდა კატერინ რაიან ჰაიდის ნოველა, რომელსაც "pay it forward" ერქვა. მალე ნოველის მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმიც გადაიღეს. სწორედ ამ ნოველის და ფილმის შემდეგ მიიღო მოძრაობამ დასრულებული სახე და პოპულარული გახდა. სხვებისთვის დახმარებაზეა ორიენტირებული სხვა მსგავსი მოძრაობებიც, მაგ; „სპონტანური სიკეთის გამოვლინება" (random acts of kindness), „შემომიერთდი" ("join me"), რომლებზეც ამჯერად აღარ შევჩერდებით და ისევ სასწავლო პროცესს დავუბრუნდებით. სტატიის დასასრულ, ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ რამდენიმე გარემოებაზე, რომლებშიც კარგად იკვეთება ჩვენ მიერ განხილული თვისებების უშუალო კავშირი სწავლის პროცესთან და აკადემიურ შედეგებთან.

თანამშრომლობის უნარის გაძლიერება. კვლევები აჩვენებს, კეთილი, ემპათიის უნარის მქონე ბავშვები უფრო მეტი ხალისით თანამშრომლობენ სხვებთან. ამას ხელს თანატოლებში მათი პოპულარობაც უწყობს. კარგად განვითარებული თანამშრომლობის უნარი ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, მათ შორის, სასწავლო პროცესშიც.

გაუმჯობესებული თვითშეფასება. კვლევები ამტკიცებს, რომ ბავშვების მიერ კარგი საქმეების გაკეთებიდან განცდილი კმაყოფილების შეგრძნება ქმნის და აძლიერებს საკუთარი თავით ჯანსაღი სიამაყის გრძნობას, რაც მოსწავლეებს ოპტიმისტურად განაწყობს და ამაღლებს მოზარდების თვითშეფასებას.

გაუმჯობესებული კონცენტრაციის უნარი. დადგინდა, რომ იგივე განცდა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოზარდის ჯანსაღ ძილს, რაც პოზიტიურად აისახება მოზარდის მეხსიერების უნარზე. შედეგად მოსწავლე არა მარტო ყურადღების უკეთესად კონცენტრირებას ახერხებს, არამედ იწყებს გაცილებით კრეატიულად აზროვნებას.

დამატებით, სიკეთეზე ორიენტირებული მიდგომა ბავშვებში ამცირებს ბულინგის შემთხვევებს, წარმატებით ებრძვის დეპრესიას, ამარცხებს სტრესს, აყალიბებს მადლიერების გრძნობას და ზოგადად – განაპირობებს ბედნიერ ბავშვობას.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. http://www.edutopia.org/blog/sel-teaching-kindness-maurice-elias
2. http://www.huffingtonpost.com/david-r-hamilton-phd/kindness-benefits_b_869537.html
3. http://www.psychologytoday.com/blog/positive-psychology-in-the-classroom/201302/the-positive-psychology-kindness
4. http://phys.org/news191601357.html
5. http://www.plosone.org/article/ info%3Adoi%2F10.1371%2Fjournal.pone.0051380
6. https://en.wikipedia.org/wiki/Pay_it_forward

რა იზიდავს ბავშვებს გაკვეთილზე

თარგმნა **ლევან ალფაიძემ**

ეზერ უოლპერტ-გავრონი, საშუალო სკოლის მასწავლებელი აშშ-დან, პროექტებზე დამყარებული სწავლების აქტივისტი, მრავალი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი, ბლოგერი:

– ამას წინათ მკითხეს: „რა იზიდავს ბავშვებს გაკვეთილზე?“ რა თქმა უნდა, შემეძლო გამეცა ჩვეულებრივი პასუხი ჩემი სასკოლო გამოცდილებიდან და მომეყოლა რომელიმე ეპიზოდი სასკოლო ცხოვრებიდან, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ. გადავწყვიტე, რომ აჯობებდა, ეს კითხვა ჩემი მერვეკლასელებისთვის დამესვა. პასუხები, რომლებიც 220 მოსწავლისგან მივიღე, დაახლოებით 10 კატეგორიად ჩამოყალიბდა, რომლებიც რამდენიმე მთავარ თემას გამოხატავდა:

1. თანატოლებთან ერთად მუშაობა

„საშუალო სკოლის მოსწავლეები მზად არიან ახლის შესასწავლად; მათ სჭირდებათ და სურთ ურთიერთქმედება სხვებთან, თანატოლებთან, საკუთარი პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად“.

„მოზარდებისთვის უფრო საინტერესო და ამაღელვებელია, როდესაც რამის კეთებისას საუბრის საშუალება აქვთ. კამათი და დისკუსია გვეხმარება სასკოლო ოთახის დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვაში და საშუალებას გვაძლევს, თავად მივიღოთ მონაწილეობა შესწავლის პროცესში“.

2. ტექნოლოგიებთან მუშაობა

„მგონია, რომ „სწავლა კეთებით“ ტიპის აქტივობებში მონაწილეობა უფრო მეტად გვეხმარება ახლის ათვისებაში. ტექნოლოგიების გამოყენება ამ პროცესში ძალიან სასარგებლოა. მოსწავლეები ყოველთვის ინტერესით ვიყენებთ სხვადასხვა ტექნოლოგიას რამის კეთებისას“.

„ჩვენ უკვე ვიდეოს ციფრულ ეპოქაში, ფეისბუქის, თვითერის და სხვა ვირტუალური პლატფორმების სამყაროში ვცხოვრობთ. ისინი უკვე იქცნენ მოზარდების და, საზოგადოდ, მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად. როდესაც ტექნოლოგიებს ვიყენებ, ისინი უფრო და უფრო მეტად მიზიდავს და საშუალებას მაძლევს, ესა თუ ის წარმოდგენა-კონცეფცია უფრო ნათლად გავიაზრო“.

3. რეალური სამყაროსა და ჩვენი სამუშაოს ერთმანეთთან დაკავშირება (პროექტებზე დამყარებული სწავლება)

„მიმაჩნია, რომ ყველაფერი ურთიერთობაზეა დამოკიდებული. არ ვგულისხმობ ურთიერთობას მასწავლებელსა და მოსწავლეს ან მოსწავლეებს შორის – ვფიქრობ, ეს არის ურთიერთობა ტექსტსა და გარე სამყაროს შორის. მაგალითად, ისტორიის მასწავლებელი გვიყვებოდა, რა ხდებოდა მსოფლიოში შუა საუკუნეებში და რენესანსის დროს. ყოველი გაკვეთილის, თხზულებისა თუ დავალების შემდეგ მასწავლებელი გვეკითხებოდა: „რა კავშირი აქვს ამ მოვლენას დღევანდელ დღესთან?“ ამ კითხვამ დამაფიქრა, შემაძლებინა წარსულის დღევანდელობასთან დაკავშირება და დამანახვა მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი“.

„თუ საგანს მოსწავლეთა ცხოვრებას დაუკავშირებ, ეს კონცეფციას უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის“.

„მოსწავლეები მეტი ინტერესით ეპყრობიან შესასწავლ მასალას, თუ სასწავლო პროგრამა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი. თუ ისეთ პროექტებს დაგვავალებენ, რომლებიც სხვა საგნებსაც ეხება და ჩვენგან დაფიქრებას მოითხოვს, ეს მოწოდებული ინფორმაციის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება“.

„ვფიქრობ, მოსწავლეებს ყველაზე მეტად რეალურ, ცხოვრებისეულ დილემებთან ურთიერთობა დააინტერესებთ... ალბათ, მათთან

გამკლავების შესწავლაც. მიმზიდველია ისეთი პროექტებიც, რომლებიც შინაარსით უნიკალურია და სხვა სკოლებში არასოდეს მოაფიქრდებოდათ. მოსწავლეებს, ჩემი აზრით, მიიზიდავდა ისეთი ამოცანებიც, რომლებიც ადვილი გადასაწყვეტი არ არის, რომლებიც გამოსცდიდა ჩვენს, როგორც მოსწავლეების, შესაძლებლობებს და სტიმულს მისცემდა ჩვენს აზროვნებას. ყველაფერი ეს კი სამომავლოდ, როდესაც ზრდასრულები გავხდებით და სამუშაო გვექნება, მსგავსი პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარებოდა. ვგულისხმობ რაღაც ისეთ საინტერესოს, რაც არასოდეს დაგავიწყდება“.

„მე უფრო მეტი მაინტერესებს, ვიდრე სასკოლო სახელმძღვანელოები გვთავაზობს. მაგალითად, საკუთარი ხელით რამის შექმნა, როგორც პროექტების შესრულებაზე დამყარებული სწავლებისას ხდება. როგორ პროექტსაც არ უნდა ვასრულებდე, იმ დროს შესწავლილი მასალა ყოველთვის უკეთ მამახსოვრდება, ვიდრე უბრალოდ სახელმძღვანელოში წაკითხული თუ ნასწავლი“.

„გაცილებით ღრმა კავშირს ვპოულობ, როდესაც ვხედავ იმას, რის შესწავლასაც ვცდილობ. როდესაც ყველა დეტალსა თუ კონტურს ვხედავ, უფრო ადვილადაც მამახსოვრდება და უფრო მეტადაც მაინტერესებს. ალბათ, გაგების უნარი და არსებულ მომენტთან

მისი დაკავშირებაა ის, რაც მოსწავლეს ტაიმზ ნიუ რომანის (პოპულარული კომპიუტერული შრიფტი, – ლ.ა.) შავ-თეთრი ტექსტის მიღმა სამჯერ მეტ ენთუზიამს გაუღვივებს შესასწავლი მოვლენის მიმართ“.

4. გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ

„მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობა ხშირად სერიოზული გამოწვევაა, და თუ მონოტონურ, ერთფეროვან ახსნაში „გაიჩხირებით“, ეს უფრო მეტად გააუარესებს მდგომარეობას. მასწავლებელმა რობოტივით კი არ უნდა ილაპარაკოს, არამედ ისე, რომ მოსწავლე მიხვდეს: მასწავლებელს ასახსნელი თემისადმი მართლაც მგზნებარე დამოკიდებულება აქვს. ამ დროს შეიძლება ჩავატაროთ ე.წ. „დამოკიდებულების ტესტი“ – თუ მასწავლებელს ეტყობა, რომ რასაც აკეთებს, დიდად არ აინტერესებს, მოსწავლეების რეაქციაც ასეთივე იქნება; თუ მასწავლებლის მონათხრობი გვაგრძნობინებს, რომ ის „იქ არის“, რაზეც გვიყვება, ჩვენც ავდგებით და „გავყვებით“ მას“.

„მე მჯერა, რომ საკლასო ოთახში ენთუზიაზმის ატმოსფერო სტუდენტებს საკლასო დისკუსიაში ჩართვისკენ უბიძგებს. მასწავლებელს შესაძლოა შესანიშნავი ინფორმაცია ჰქონდეს საკითხის შესახებ, მაგრამ მან უნდა გვაგრძნობინოს ამ საკითხით თავისი დაინტერესებაც. სხვაგვარად მოსწავლეებს თემისადმი ინტერესს ვერ გაუღვივებს. მჯერა, რომ ენთუზიაზმი და აფექტაცია გადამდებია“.

„საგანი ან ნიშნები მოსწავლეს ვერ დაინტერესებს უფრო მეტად, ვიდრე თავად მასწავლებელი. როცა მასწავლებელს მართლა სურს, ცოდნა გადასცეს მოსწავლეებს – არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის გამო, არამედ მათი განათლების სურვილით, ეს მოსწავლეებზე სასიკეთო გავლენას ახდენს. მე ვნების, გრძნობის შესახებ ვლაპარაკობ. ეს დამატებითი ძალისხმევა გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ნასწავლის გამოყენება მომავალში“.

5. მომეცით სკამიდან ადგმის საშუალება!

„როდესაც მოსწავლეები აქტიურობენ, სწავლების პროცესი უფრო ღრმაა, ვიდრე პასიური მოსმენისი დროს. მაგალითად, ერთხელ, ისტორიის გაკვეთილზე, დებატები გვქონდა POPA-ს და SIPA-ს ფედერალური კანონპროექტების შესახებ. კითხვა ასე ჟღერდა: „კარგია თუ ცუდი ასეთი კანონების ამოქმედება?“ მასწავლებელმა მომხრეები და მოწინააღმდეგეები საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეებში დაგვაყენა და კამათის საშუალება მოგვცა. ამის წყალობით გავიგე ყველა ჩემი თანაკლასელის აზრი ამ საკამათო საკითხის შესახებ“.

6. გამოიყენეთ ვიზუალური საშუალებები

„მომწონს სურათების თვალიერება, რადგან ეს საგნის უკეთ გაგებაში მეხმარება. ვიზუალური გამოსახულება ჩემს გონებაში აღიბეჭდება“.

„ვინტერესდები, როცა გაკვეთილს თან მდიდარი ვიზუალური ინფორმაცია ახლავს. პრეზენტაციები ფაუერ-ფოინთით კარგია, მაგრამ მოსაწყენი ხდება, როცა გვერდზე ბევრი პუნქტია ჩამოწერილი. ნახატები და სურათები საუკეთესო საშუალებაა ყურადღების მისაპყრობად“.

7. მოსწავლის არჩევანი

„ვფიქრობ, თავისუფლებას დავალების შერჩევისას, პროექტის მიმართულებების განსაზღვრისას და, საზოგადოდ, მრავალფეროვან არჩევანს შეუძლია, მეტად დაინტერესოს მოსწავლეები. მრავალფეროვნება უდრის მეტ სივრცეს შემოქმედებისთვის“.

„არჩევანის თავისუფლება გვეხმარება ჩვენი ძლიერი მხარეების უკეთ გამოყენებაში. ასევე, ეს ხელს უწყობს პროექტის განვითარებას ჩვენი სურვილისა თუ ხედვის თანახმად. როდესაც იმას ვაკეთებთ, რაც მოგვწონს, უფრო მეტად ვართ ფოკუსირებულნი და სკოლაში ყოფნაც უფრო მეტად გვიხარია“.

„კიდევ ერთი გზაა სასწავლო პროგრამის მოქნილობა მოსწავლეთა უკეთესი/უარესი მოსწრების შესაბამისად. შეიძლება, არსებობდეს საპროექტო დავალებების სია და მოსწავლეებს შეეძლოთ მათგან სასურველის არჩევა თავიანთი მოსწრების დონის შესაბამისად“.

> **მასწავლებელს უნდა ესმოდეს, როგორ მუშაობს ბავშვისა თუ მოზარდის გონება და მათთან კავშირის უზრუნველყოფა შეეძლოს. ეს აუცილებელია, რათა ყველა ბავშვმა თავი კომფორტულად იგრძნოს, ხელი ასწიოს კითხვების დასასმელად და მოითხოვოს დახმარება, როცა სჭირდება.**

8. გესმოდეთ თქვენი კლიენტების – ბავშვების

„ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს, ხმამაღლა გამოთქვან თავიანთი აზრი – ვინ იცის, რა შეიძლება ისწავლოთ მათგან“.

„თუ მასწავლებელი გვიჩვენებს, რომ სჯერა ჩვენი, გამოხატავს კეთილგანწყობასა და გულითადობას, ჩვენც გვემატება თავდაჯერება რთული ამოცანების გადაწყვეტისას. იმის თქმა მინდა, რომ სტუდენტები უფრო მეტად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, როდესაც მასწავლებლისგან „პარტნიორობას“ გრძნობენ“.

„პირადად მე მიმაჩნია, რომ მოსწავლეებს მაინცდამაინც არ მოსწონთ, როდესაც მათ „მოსწავლეებივით“ ექცევიან. მასწავლებლებმა უნდა გაარკვიონ, რას ვფიქრობთ პროექტზე, გამოცდასა თუ სხვა ამოცანებზე. მათ თავიანთ თავს უნდა ჰკითხონ: „როგორ ვიგრძნობდი თავს ამ მოსწავლისი ადგილას?“ შეხედეთ მოვლენებს ჩვენი თვალით და გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა“.

„მოსწავლეებს სწავლა მაშინ იზიდავთ, როდესაც მასწავლებლები კავშირს ამყარებენ მათთან და კლასს თავს „ერთ დიდ ოჯახად“ აგრძნობინებენ. მასწავლებელს უნდა ესმოდეს, როგორ მუშაობს ბავშვისა თუ მოზარდის გონება და მათთან კავშირის უზრუნველყოფა შეეძლოს. ეს აუცილებელია, რათა ყველა ბავშვმა თავი კომფორტულად იგრძნოს, ხელი ასწიოს კითხვების დასასმელად და მოითხოვოს დახმარება, როცა სჭირდება“.

„მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ბავშვი, რომელსაც კი ასწავლიან, სხვადასხვანაირია“.

9. შემატეთ საქმიანობას მრავალფეროვნება

„არ მომწონს გამუდმებით ერთი და იმავე საქმის კეთება... მრავალფეროვნება თემისადმი ინტერესს მიჩენს. ეს მარტო სამუშაოს არ ეხება – გამუდმებით ერთი და იმავე კერძის ჭამა საერთოდ გაგიქრობს მადას“.

„სახალისო ექსპერიმენტები მეცნიერების გაკვეთილზე, სცენების დადგმა-გათამაშება ჩვენი ისტორიიდან... თუ გსურთ, მოსწავლეებს რამე დაამახსოვრდეთ, მოამარაგეთ ისინი ვიზუალური საშუალებებით, ხმოვანი გაკვეთილით და ემოციებით“.

„კომედიის გათამაშებისას შეუძლებელია რამე დააშავო – სიცილი ყველას უყვარს... კიდევ ერთი რამ, რაც მე მიზიდავს, ჯგუფური თამაშებია. ერთხელ, ენის ხელოვნების გაკვეთილზე, ვთამაშობდით „გავარდნაზე“ – ერთმანეთს თითო ჯერზე თითო სიტყვას „ვესროდით“; თუ სიტყვის „მიმღები“ სიტყვის მნიშვნელობას გამოიცნობდა, „მსროლელი“ თამაშს ტოვებდა. ამ დროს მოსწავლეებს კარგად ამახსოვრდებათ, რა შეეშალათ ან რა არ იცოდნენ“.

10. იყავით ადამიანური

„არ დაივიწყოთ თვითირონია“.

მსურს, ეს წერილი კიდევ ერთი ციტატით დავასრულო. ციტატის ავტორია ჩემი მოსწავლე შერონი: „საქმე ის არის, რომ ყოველი მოსწავლე სხვადასხვანაირად ინტერესდება... მაგრამ არა უშავს, ყოველთვის არსებობს გზა, გაკვეთილზე მოსწავლე დაინტერესო, ყურადღება არ მოუდუნო, თან წაიყოლო განათლების გრძელ გზაზე. „ნეტავ რა გზაა ეს?“ – იკითხავს ზოგიერთი მასწავლებელი. ახლა ყურადღებით წაიკითხეთ... მზად ხართ? ეს გზა კითხვების დასმაა. ჰკითხეთ, მიაღებინეთ მონაწილეობა სწავლის პროცესში. ეს ადვილია.

გააგრძელეთ. სცადეთ. ჰკითხეთ.

ავტორი: ჰეზერ უოლპერტ-გავრონი

წყარო: *http://www.edutopia.org/blog/student-engagement-stories-heather-wolpert-gawron*

ნაირა ცხვედიანი

განათლების სივრცის „ახალი ენა“

ახალი სიტყვებისა და ტერმინების შესვლა და დამკვიდრება ნებისმიერ ენაში ჩვეულებრივი და ბუნებრივი პროცესია. თუ განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცესი მეტ-ნაკლებად რეგულირდება, პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ენობრივი კოლონიზაცია უფრო ადვილია, რადგან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც წინ აღუდგება ამ შემოტევას. ის ტემპი, რომლითაც ეს პროცესი დღეს ჩვენს ენაში მიმდინარეობს, იმდენად სწრაფია, რომ არა თუ მართვა, ფაქტობრივად, თვალის მიდევნებაც კი ძნელია. უცხოური ტერმინებისა და შესიტყვებების სიუხვე თვალშისაცემია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და, რაღა თქმა უნდა, არც განათლების სისტემაა გამონაკლისი. ჩვენ თვალწინ თანდათან იქმნება განათლების სივრცის „ახალი ენა“, რომელიც ამ სფეროს დოკუმენტებით, სისტემაში დასაქმებულ ადამიანთა გამოსვლებით, განათლების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა ნაწერებით ფორმირდება და თავის ძალაუფლებას ყოველდღიურად განამტკიცებს. ეს არაა მხოლოდ უცხოური სიტყვები და ტერმინები, თვალშისაცემია ისიც, რომ ბევრი ჩვენთვის ნაცნობი და მშობლიური სიტყვა „ახალ შინაარსს“ იძენს და აქამდე უცნობი ფუნქციითა და მნიშვნელობით გვევლინება. იქმნება საშიშროება იმისა, რომ ე.წ. „ენჯეოშნიკური“ მეტყველება გააღარიბებს და გააუხეშებს ქართულ ენას.

განათლების სივრცის „ახალი ენის“ ჩამოყალიბება თანამდევი აღმოჩნდა იმ რეფორმებისა, რომლებიც წლების წინ დაიწყო სისტემაში და დღემდე გრძელდება. რადგან ახალი იდეები გამოხატვის ახალ ფორმებს მოითხოვს, თანდათან გამოიკვეთა ის ენობრივი რესურსები, რომლებითაც რეფორმატორებმა განათლების სფეროში დასაქმებულ ათასობით ადამიანს ახალი იდეები ახალი ტერმინებით გააცნეს. რეფორმატორთა სურვილი, ძირფესვიანად შეცვლილიყო სწავლების ძველი სისტემა, არა მხოლოდ სწრაფ ქმედებებში გამოიხატა, არამედ აგრესიულ ლექსიკაშიც. საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად გაისმა სიტყვები: „წვრთნა“, „აღჭურვა“, „გონებრივი იერიში“, „პილოტირება“, „ინტერვენცია“, „სტრატეგიების მოდიფიცირება“, „ექსტრემალურად პოზიტიური სცენარი“, „კლასის დაძლევის ბარიერის დადგენა“, „საველე გასვლითი სამუშაო“... და უამრავი სხვა. გავეცნოთ ციტატას ერთ-ერთი საგანმანათლებლო ტექსტიდან: „მონაცემთა გაანალიზებისა და პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების შემდეგ დგება ინტერვენციის ეტაპი, როდესაც პედაგოგს საშუალება აქვს, მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშაოს სტრატეგია და გადაჭრას პრობლემა“. რეფორმების გარიჟრაჟზე ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, ასე მგონია, ჯარში გამიწვიეს და მეთაურის საბრძოლო ბრძანებებს ვისმენო. თუმცა შემდეგ ყური თანდათან შეეჩვია ახალ ტერმინებს და დღეს ყველა პედაგოგმა იცის, რომ მასწავლებელი უნდა გაიწვრთნას, რათა შემდეგ მოსწავლე გაწვრთნას. ტერმინი „დახელოვნება“ თანდათან განიდევნა საგანმანათლებლო სივრციდან და მისი ადგილი „გაწვრთნამ“ დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტერმინი შინაარსობრივად მსგავსია, განსხვავებული ნიუანსები აქვს. პირველი ინდივიდის სუბიექტურ არჩევანსა და შემოქმედებით აქტიურობას მოიაზრებს და სინონიმადაც სიტყვა „დაოსტატება“ უფრო მიესადაგება, ხოლო მეორე ტერმინი უფრო მეტად გარკვეული ჩვევების უპირობოდ მიღებას გულისხმობს, პედაგოგს პროცესების ობიექტად აღიქვამს და სინონიმადაც „დაგეშვა“ უფრო მოუხდება. აკი, ასედაცაა ეს სიტყვა გამოყენებული ხალხურ მეტყველებაში: „კაი ყმა, მგელი, არწივი არცერთი არ გაიწვრთნების“. ზემოთ განხილულ ტერმინთა მსგავსად, განსხვავებული ნიუანსები აქვს ორ გამოთქმას – „მასწავლებლის პროფესიაში შესვლა“ და „მასწავლებლის პროფესიის დაუფლება“. გამოთქმა „პროფესიაში შესვლა“ ბოლო დროს გავრცელდა განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჩინოვნიკების გამოსვლებში, რაც არა მარტო სტილისტურადაა გაუმართავი, არამედ არაკორექტულიცაა. ასევე არაკორექტულია გამოთქმა – „მასწავლებელი ზე-

დამხედველობას უწევს“. უმჯობესია გამოთქმები: „მასწავლებელი აკვირდება, თვალყურს ადევნებს, ხელმძღვანელობს“ და სხვა. მასწავლებლისა და მოსწავლის თანაბარუფლებიანი ურთიერთობის აღსანიშნავად, ალბათ, უფრო შესატყვისი ტერმინი „თანამშრომლობაა“.

განათლების „ახალი ენის“ შექმნაში განსაკუთრებული როლი იმ ადამიანებმა იტვირთეს, რომლებმაც სარეფორმო დოკუმენტები მოამზადეს, სავარაუდოდ, თარგმნეს უცხოური ენებიდან. საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრდა გამოთქმები: ინტერაქტიური სწავლება, გრიფირებული სახელმძღვანელო, აბიტურის საათი, ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია, რელევანტურობა, რეზიუმირების უნარი, მოქმედების მარკერები, ახალი ცოდნის გენერირება, სერტიფიცირება, ფასილიტატორი, მონიტორინგი, საიდენტიფიკაციო კომისია, მენტორი მასწავლებელი, კრედიტქულა, პორტფოლიო, კრეატიულობა, კურიკულუმი, მეტაკურიკულუმი, ტრენინგი, ინტეგრირებული სწავლება, ჰეტეროგენური კლასი, ტუტორი, აპროქსიმაციის პრინციპი, ბულინგი, ინტერაქცია, პროგრამის მოდიფიცირება, საგნობრივი ჯგუფის სწავლების კომპეტენცია, ბაკალავრი, მასწავლებელთა მომზადების საკვალიფიკაციო ჩარჩო, ინკლუზიური განათლება, მულტილინგვური განათლება, სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება, ჰოლისტური მიდგომა, სწავლების ტრანსფარენტული მეთოდი, სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდი და ასე შემდეგ. უამრავი ამგვარი ტერმინის მოხმობა შეიძლება განათლების დოკუმენტებიდან. ამ ტერმინებიდან ზოგიერთი მართლაც საჭირო და მისაღებია, ზოგიერთი კი – დასახვეწი ან უარსაყოფი. ახლა მთავარი ისაა, რამდენად შესაძლებელია ამ ტერმინთა დახარისხება, სადაც შესაძლებელია, ქართული შესატყვისების მოძიება, რა ინტელექტუალური და ფინანსური რესურსია საჭირო იმისათვის, რომ ჩვენმა პედაგოგებმა აღარ იკითხონ ასეთი ტექსტები: „ხდება სასურველი განწყობის ფონზე მუშა მეხსიერების აქტიური ჩართულობის შედეგად ინფორმაციის ღრმად გონებაში განთავსება და შესაბამის სიტუაციაში გონივრულად ტრანსფერირება“ ან „კონსტრუქტივისტულ აზროვნებაში ძალიან მნიშვნელოვანია სკაფოლინგი“.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ასევე გავლენას ახდენს „ახალი ენის“ ფორმირებაზე, კომპიუტერის ენაა. ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ტერმინების შემოტანის აუცილებლობა განაპირობა და ვერც ამის საპირწონედ კეთდება ბევრი რამ. ცოდნის გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია და ის სხვა ფორმებთან ერთად საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გზასაც აქტიურად გამოიყენებს. რაღაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართული ენა საერთოდ მოუმზადებელი არ შეხვდეს ამ პროცესს. განათლების მიღების ისეთი ფორმები, როგორიცაა ღია ონლაინ კურსები, ადაპტირებული სწავლება, გეიმიფიკაცია, ჰიბრიდული სწავლება და სხვ., კიდევ უფრო დააშორებს განათლების ენას რეალურ მეტყველებას. ეს დიდი საფრთხე იქნება იმ ენისათვის, რომელმაც დაშეარებას, ლინკს, დრაივერს, ბრაუზერს, აპლიკაციას, დასეივებას და სხვა ტერმინებს ვერაფერი მოუხერხა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინთაგან ზოგიერთს აქვს ქართული შესატყვისი, უმრავლესობა უპირატესობას მაინც უცხოურ ფორმებს ანიჭებს. ასე რომ, არა მხოლოდ ქართული ტერმინების შექმნაა საშური საქმე, არამედ მათი დამკვიდრების ფორმების მოძიებაც.

განათლების სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერების სხვა დარგებთან და ბუნებრივია, რომ ბევრი ტერმინი მომიჯნავე მეცნიერებებიდანაც შემოდის და რადგან არც იქ არის კარგი მდგომარეობა, განათლების სივრცის ენა კიდევ უფრო მძიმდება უცხოური სიტყვებითა და გამოთქმებით.

გავეცნოთ კიდევ ერთ ამონარიდს საგანმანათლებლო ტექსტიდან: „ითვლება, რომ მოსწავლეს, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, შეუძლია დაგეგმოს, აწარმოოს მონიტორინგი და შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი. საჭიროების შემთხვევაში კი, მუშაობის დროს გამოყენებული სტრატეგიები შეცვალოს ან მათი მოდიფიცირება მოახდინოს“. ავტორის სათქმელი მეტ-ნაკლებად გასაგებია: მოსწავლეს, რომელიც კარგად აზროვნებს, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესი გონივრულად მართოს. მოსაზრება, რომელიც შეიძლება ნათლად ჩამიყალიბდეს ტექსტში, ზოგჯერ უცხოურ ტერმინთა ლაბირინთებში იკარგება. პედაგოგს კი მკაფიოდ და გასაგებად დაწერილი ტექსტი უფრო დაეხმარება პრაქტიკულად გამოიყენოს ახალი მეთოდები და მიდგომები, უფრო უმტკივნეულოდ შეძლოს სიახლეების ათვისება და პროფესიული დაოსტატება.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებით ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი – უამრავი პედაგოგი, მოსწავლე, მშობელი – არის დაინტერესებული, განათლების ენაც მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ რიგითი მოქალაქისთვისაც. ვფიქრობ, პედაგოგებსაც უფრო გაუადვილდებათ „ეროვნული სასწავლო გეგმის“, „მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის“, პედაგოგიკური და მეთოდიკური ლიტერატურისა თუ სხვა ოფიციალური დოკუმენტების აღქმა და განხორციელება, თუ ჩვენი მდიდარი ენის შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებენ ის ადამიანები, რომელთაც ამ ტექსტებზე მუშაობა უწევთ. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ

> **„განათლების სივრცის „ახალი ენის” ჩამოყალიბება თანამდევი აღმოჩნდა იმ რეფორმებისა, რომლებიც წლების წინ დაიწყო სისტემაში და დღემდე გრძელდება. რადგან ახალი იდეები გამოხატვის ახალ ფორმებს მოითხოვს, თანდათან გამოიკვეთა ის ენობრივი რესურსები, რომლებითაც რეფორმატორებმა განათლების სფეროში დასაქმებულ ათასობით ადამიანს ახალი იდეები ახალი ტერმინებით გააცნეს.“**

„განათლების სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერების სხვა დარგებთან და ბუნებრივია, რომ ბევრი ტერმინი მომიჯნავე მეცნიერებებიდანაც შემოდის და რადგან არც იქ არის კარგი მდგომარეობა, განათლების სივრცის ენა კიდევ უფრო მძიმდება უცხოური სიტყვებითა და გამოთქმებით.“

ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის პირველი საფეხურის (I-IV კლასები) სამუშაო ვარიანტი ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ამჟამად მოქმედი სტანდარტია.

მართებულად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება კიდევ ერთ საკითხზე. განათლების ენაში თვალშისაცემად დამკვიდრდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „პროფესიული განვითარების საჭიროებები“, „მაღალი მოლოდინები“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“, „გაზომვადი სასწავლო მიზნები“, „თვითეფექტიანობის განცდის ჩამოყალიბება“, „ცოდნის გაახლება“, „მზაობის გამოვლენა სიახლეების მიღებისადმი“, „მასწავლებელი ღიაა რეკომენდაციების მიმართ“, „მომსახურებას აქვს საგაკვეთილო სახე“, „მოსწავლე უნდა იყოს ქმედობაუნარიანი“, „შინაარსიანი კონტექსტი“, „მოქნილი კითხვა“, „გრაფიკული მაორგანიზებლები“, „კითხვის მთლიანობითი მეთოდი“, „ადრეული ცოდნა“, „სავარჯიშოებში სტიმულირებული რეალური საკომუნიკაციო სიტუაცია“ და ა.შ. როცა ნაცნობი სიტყვების ახლებურ გაგებაზე ვსაუბრობდი, სწორედ მათ ასეთ უჩვეულო კონტექსტს ვგულისხმობდი. მართალია, გვიმტკიცებენ, რომ „ახალი გაგება“ სულ მალე „მშობლიურად“ იქცევა და თავს ისე იგრძნობს ენაში, როგორც „არსებული“ გაგება გრძნობს, მაგრამ „ცოდნის გაახლებას“, ალბათ, მაინც „ცოდნის გაღრმავება“ სჯობს და „რეკომენდაციების მიმართ ღიაობას“ – „რეკომენდაციების მიღება/გაზიარება“, „მზაობის გამოვლენას სიახლეების მიღებისადმი“ – „სიახლეების გაცნობის სურვილი“... და ა.შ.

არასწორი ტერმინებისა და გამოთქმების მიმართ უყურადღებობა და უმოქმედობა სახიფათოა, რადგან ისინი ისე სწრაფად მკვიდრდებიან მეტყველებაში, რომ შემდეგ არასწორ გამოთქმებთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება. ჩვენ თვალწინ დამკვიდრდა „ამბობს“ ნაცვლად „იძახის“, „ადრეული ბავშვობის” ნაცვლად – „ღრმა ბავშვობა“, „გარდაიცვალას“ ნაცვლად – „დაიღუპა“ და ა.შ. აბიტურიენტთა ნაწერებში ხომ პირდაპირ სარკესავით არის არეკლილი ჟურნალისტთა და პოლიტიკოსთა უხეირო მეტყველება.

როცა სკოლაში მეთორმეტეკლასელებს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ – ვასწავლი, პირველი თავის წაკითხვის შემდეგ ვთხოვ დაახასიათონ ხელმძღვანელი მისი მეტყველების მიხედვით. უმეტესობა წერს, რომ პერსონაჟი განათლებული კაცია, ლოგიკურად მსჯელობს, იყენებს უცხოურ ტერმინებს; იცის მსჯელობისათვის საჭირო ისეთი ენობრივი მახასიათებლები, როგორიცაა: ჯერ ერთი, მეორე, მესამე...; მისი საუბრის სტილი მეცნიერულია და ა.შ.

გავიხსენოთ, როგორ საუბრობს ხელმძღვანელი: „ადამიანის ცხოვრებისეულ მოქმედებაში წარმოების გარეთ, მისი საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრებაში. და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე _ რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება ადამიანზე სასარგებლო ზემოქმედების მნიშვნელოვანი მექანიზმების გამოვლენაში მთლიანად; დაა, მესამე _ რომ ეს სფერო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ეკონომიური და სოციალური განვითარების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენეტები”.

პერსონაჟის მეტყველებაში მოსაწონი ნამდვილად არაფერია. ახალგაზრდები, რომლებიც უმეტესწილად კრიტიკულები არიან, მის საუბარს არ იწუნებენ. ეს მით უფრო საკვირველია, რომ, როცა ტექსტის დეტალურ განხილვას ვიწყებთ ხოლმე, აღმოჩნდება, რომ ხელმძღვანელის ნათქვამის შინაარსის გაგებაც კი უჭირთ. „ის რთულად საუბრობს, იმიტომ რომ განათლებულია“, არ იტყვს ინტიბარს ზოგი. როგორც ჩანს, რაღაც ხიბლი მართლაც აქვს ბუნდოვნად და „რთულად“ საუბარს, რადგან განათლებულობის შთაბეჭდილებას ქმნის. უმეტესწილად ამგვარი ხელმძღვანელები ქმნიან „ახალ ენას“.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს გულწრფელად სურს საგანგაშო პროცესებს წინ აღუდგეს, გათითოკაცებულად ბევრის არაფრის გაკეთებაა შესაძლებელი. ერთ-ერთი გზა არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ პროტესტია, რაც მხოლოდ „გულის ფხანაა“ და რეალურად ვერაფერს ცვლის. საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა, შესაბამისი კანონმდებლობა, მატერიალური რესურსები, რაც სპეციალიტებს საშუალებას მისცემს არსებული მდგომარეობა გამოიკვლიონ, სათანადო რეკომენდაციები შეიმუშაონ და მოსალოდნელი საფრთხეები აგვაცილონ. გვესმის, რომ ენის ლექსიკა მუდმივად უნდა მდიდრდებოდეს, რადგან მისი ძალა სწორედ ამგვარ განვითარებაშია. განვითარებისთვის ხელის შეშლა კი შეუძლებელია, მით უფრო დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში. საუბარი ხელის შეშლაზე არც არის, საუბარი პროცესების გონივრულად მართვას ეხება, რადგან XXI საუკუნეში, შესაძლოა, ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი სწორედ ქართული ენის ყოფნა-არყოფნა აღმოჩნდეს.